ლიბერალი

№ 64 / 21 -27 თებერვალი / 2011

გვჭირდება თუ არა შემოქმედებითი კავშირები? გვ. 06

საიდუმლო საჯარო დოკუმენტები გვ. 25

ნაკლები მარილი, მეტი თევზი გვ. 37

ცეკვა სიკვდილის შემდეგ, განქორწინება სიკვდილამდე გვ. 45

სექსუალური ცხოვრების თავისებურებანი გვ. 50

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528

9 771987 752008

პაპისებული ინდუსტრია

ეროთი მოდა - ოჩი ტვიჩული

გვ. 32

მთავარი თემა: სოფლის მეურნეობა

გვ. 14-21

FM
ჩანაწერი
98.0

ლიბერალი

№ 64 / 21 -27 თებერვალი / 2011

ფოტო: თეიმურ ბარქინგაშვილი

რკინიგზის ცენტრალური სადგური, თებერვალი 2011

ნომერში:

02 ლიბერალის ვებგვერდიდან
04 მოკლედ
06 **ორი აზრი**
გვჭირდება თუ არა შემოქმედებითი კავშირები?
მსოფლიო
08 კრემლის აღმოსავლური ექსპრესი
10 **ეგვიპტე**
დემოკრატიის მირაჟი „თაჰრირის რესპუბლიკაში“
მეზობლები
14 ყამირი მინა
მთავარი თემა
12 ბიზნესის კეთება ქართულად
20 **სოფლის მეურნეობა**
ბურები საქართველოს დასახმარებლად
ეკონომიკა
22 მცირე ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოება და საქართველო
მედია
25 საიდუმლო საჯარო დოკუმენტები
ურბანისტიკა
28 თბილისში რკინიგზის გაუქმებას აპირებენ. გავაუქმებინოთ?
საზოგადოება
32 ო, მოდა, მოდა!
ჯანმრთელობა
37 ნაკლები მარილი, მეტი თევზი
თვალსაზრისი
39 ინიციატივები, გეგმები და კლიმატი
მარკ მალენი
41 **ინტერვიუ**
ქვრივის ბრძოლა მემკვიდრეობისთვის
ინა გუდავაძე
43 **თვალსაზრისი**
ახალი მედიის ოპტიმისტები და პესიმისტები
კულტურა
45 ცეკვა სიკვდილის შემდეგ, განქორწინება სიკვდილამდე
48 **ტექნოლოგიები**
50 **თვალსაზრისი**
სექსუალური ცხოვრების თავისებურებანი
ფეხბურთი
51 ყველა უნდა იცნობდეთ **ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
52 რა ემართება ვაჟას?

გარეკანზე:
არარსებული ინდუსტრია

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

დაკავებულები ვიდეო თვალში

სამწუხაროდ, პოლიციამ ისევ დაიწყო ქუჩაში „შეყენებები“, თან სრულიად უაზროდ: უბრალოდ, სახეზე არ მოეწონები ან შენს კითხვაზე – გაანდო ვინაობა და ძალოვანი ორგანოს თანამშრომლობის დამადასტურებელი მოწმობა წარგიდგინოს – გეტყვიან, რომ უზრდელი ხარ და განყოფილებაში უნდა წაგიყვანონ, გზად ერთი-ორ მუჯლუგუნს გითავაზებენ და „საქებარი“ სიტყვებითაც შეგამკობენ. მე მაშინ ადმინისტრაციულ სანქციას გადავურჩი. მაგრამ ხვალ...

სტუმარი

ეს პირველი შემთხვევა არაა. ბოლო დროს საგრძნობლად გახშირდა ასეთი შემთხვევები. ჩემი ნაცნობი სრულიად უმიზეზოდ გააჩერეს და „წვერებზე“ დაუწყეს გატრაკება, რატომ გაქვს მოშვებულიო. რა არის ეს? პასიური ტერორის ფორმა?

გიორგი კიკონიშვილი

17 კვადრატული ხუთსულიან ოჯახზე



ის სასტუმრო საერთოდ დასანგრევია. რა უნდა იქ ხალხს? არაადამიანური პირობების საცხოვრებლად გაუმართავი შენობაა.

შსს-ს რეაქცია ვიდეომასალაზე

საქართველო გახდა პოლიციური სახელმწიფო. ეს ის ქვეყანაა, სადაც პატრულს და პოლიციას ყველაფერი ეპატიება მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დაწესებულებაში მუშაობენ. რომ არა სათვალთვალო კამერა, ხელოვნურად შეთითხნილი ბარლდებით ეს ბიჭები ბრალდებულებად დარჩებოდნენ. თუმცა ესეც იშვიათი გამონაკლისია, როცა მტკიცებულებების საფუძველზე პოლიციელი დაადანაშაულეს და მოქალაქე გაამართლეს. იმდენად იშვიათი, რომ არ მეჯერება.

ქეთი

გამართლებულია თუ არა მთავრობის მიერ 20-ლარიანი ვაუჩერების დარიგება?

გილაური-ბაინდურაშვილი-ქადაგიძე თავისი არაკომპეტენტურობით მიაღწევენ იმას, რაც აქამდე ოპოზიციამ ვერ შეძლო – ხელისუფლებას შეცვლიან.

ბაინდურა

ლიბერალი

ეჰ,შალვა! შეიძლება შენ კი გაქვს ვინმეს და რაიმეს მასწავლებლობის პრეტენზია, მაგრამ შენი მოწაფეები წარსულში დარჩნენ – ზვიოდან დაწყებული და მიშათი დამთავრებული. შეიძლება გინდა კიდეც დაბრუნება, მაგრამ მდინარეში შესვლა-გამოსვლის შესახებაც გექნება გაგონილი. განსაკუთრებით შენი „იმედში" შესვლა-გამოსვლა იყო შთამბეჭდავი. იქნებ ტაიმ აუტი აგეღო, ჰა�ა???!!!

სტუმარი

ეეეჰ ტაბულა/ლიბერალი ლიბერალი/ტაბულა.. პეპსი-კოლა/კოკა-კოლას ბაზარია ეგა.

სტუმარი

„ალიაში“, რა თქმა უნდა, რეკლამას დებენ, იმიტომ, რომ „ალიას“ არავის ეშინია, სერიოზულად არ აღიქვამენ, ბანძი კომიქსების გაზეთია, იყიდება, რეკლამა იაფია... „ლიბერალი“ კი ნაღმია და რეკლამა „ლიბერალში“ ცუდ ტონად ითვლება. შალვა სასპენსი თუ გინდა, თავგადასავალი, სისხლი, ვნება, ეროტიკა მაშინ „იმედზე“ მიუჯექი იმ წითელ სკამს და დეტექტორზე მიბმული ადამიანების საცოდაობით დატკბი.

ვიკილიქსი

დილა და საუზმე საქართველოში

რამდენჯერ მიფიქრია ამ საკითხზე და რამდენჯერ შემშლია ხელი საქმეში ამ უაზრო დაუდევრობის გამო. დღე და სამუშაო ვითრება ნებისმიერ ორგანიზაციაში 12-მდე პრაქტიკულად არ იწყება. ისეთ დაწესებულებებშიც კი, როგორიც ბანკებია, მუშაობა 10-იდან იწყება უმეტეს ფილიალში და 10 საათზე დაწყებაც თითქმის გამორიცხულია, 20 წუთით დაგვიანება ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც 10-15 წუთით ადრე სამუშაო დღის დასრულება.

N

ტონინო გუერა რო იყო ჩამოსული, კინოს სახლში ლექცია უნდა წაეკითხა და დილის 10-ზე დავიწყებო, თქვა, ორგანიზატორებმა უთხრეს 2-ზე ჯობიაო, იმიტომ რომ 10-ზე ძინავს ხალხსო. აი, ასე, გაგიჟდა კაცი, ჩამოვიდა თავისი ცოდნა უნდა გაეზიარებინა, ჩვენ კიდევ გვძინავს.

სტუმარი

6 საათზე რატომ უნდა გავიღვიძო, ვერ გავიგე რა, ჯარში ვართ? თუ ჩარხი ვარ – 6 საათზე ჩამრთონ და 9-ზე გამომრთონ.

რატი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარეული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექეშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

ჩოსა ინფლაციის პრ ბეშინია

ნინო ბექიშვილის ბლოგი

ეკონომიკისა არაფერი გამეგება, ამიტომ არ ვიცი, ებრძვიან თუ არა ინფლაციას მსოფლიოში სადმე ისე, როგორც დღევანდელ საქართველოში – ვაუჩერებით. რატომღაც მგონია, რომ აქ ხელისუფლებას საავტორო უფლებებში ვერავინ შეეცილება. სამაგიეროდ, ვიცი – ინფლაციისა არ უნდა მეშინოდეს. იმათ უნდა ეშინოდეთ, სხვებს, ლონდონელებსა და პარიზელებს, იმათ, ვისაც მზრუნველი და კეთილი მთავრობა არ ჰყავს. მე – არა.

როცა ორი დღის წინ ჩემმა მეზობელმა, ყველა სადარბაზოში რომ ნაციონალური მოძრაობის წევრი ქალბატონები არიან, სწორედ იმან, დენის 20-ლარიანი ვაუჩერი მოგვიტანა, თანაც დაგვპირდა, მალე სურსათის 30-ლარიან ვაუჩერსაც მოგართმევთო, ერთი რამ გამახსენდა – კარაქის ყვითელი და შაქრის ვარდისფერი საბჭოთა ტალონები. მაშინ, როცა ამ ტალონებს გასტრონომში დავატარებდი, ინფლაციაზე წარმოდგენა არ მქონდა, მარტო ის ვიცოდი, რომ ქვეყანაში ყველას სამყოფი კარაქი არ იყო, ჩვენ სულზე 200 გრამი გვეკუთვნოდა და რომ არა ბებია და მისი სოფლიდან გამოგზავნილი ნობათი, 800 გრამი კარაქი ნამდვილად არ გვეყოფოდა მთელი თვე.

ჰო, ცხადია, ისიც ვიცოდი, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ტალონები არ არსებობდა, მაღაზიები სავსე იყო, მაგრამ მაშინდელი ტელევიზორი ამბობდა, რომ იქ ხალხი შიმშილობდა და უმუშევრობით კვდებოდა. აჩვენებდნენ ხოლმე უმუშევართა რიგებს და კიდევ, ვიღაც ბედოვლათ ამერიკელს, რომელიც თეთრი სახლის წინ წამოგორებულიყო და პროტესტის ნიშნად, მგონი, ერთი წლის განმავლობაში შეუწყვეტლად შიმშილობდა.

ილუსტრაცია: სერგო ქირთაძე / წიგნის სახლიდან

როცა ძვირფას ქაღალდზე, ლამაზად დაბეჭდილი დოკუმენტის მიღება-ჩაბარების ფურცელზე ვაწერდი ხელს, უკვე ვიცოდი, რომ ვაუჩერი ვინმე ჩემზე გაჭირვებულისთვის უნდა გადამეცა.

სწორედ ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც ტელევიზორიდან უკვე ერთი კვირაა მასწავლიდნენ – დეპუტატები და მინისტრები ყოველდღიურად დაიარებიან ღარიბ-ღატაკებთან და თავიანთ ვაუჩერებს საზეიმოდ გადასცემენ. ხელისუფლება მარტო ინფლაციის დასაძლევად კი არ მუშაობს, მასწავლის, რა უნდა ვქნა; იმასაც მასწავლის, ვის უნდა მივბაძო, ვინაა ყველაზე კეთილი და მზრუნველი. თანაც ყოველ დღე – ერთნაირი სიჯიუტითა და ერთნაირი სიუჟეტებით.

თუკი მასწავლიან და მიკარნახებენ, მოვიქცევი ზუსტად ისე კარგად, როგორც 30 წლის წინ ვიქცეოდი, როცა ტალონებით გასტრონომში წასული შინ აუცილებლად კარაქით ვბრუნდებოდი. მაშინ არავის უთქვემს, რომ ჩემი ტალონი გაჭირვებულისთვის უნდა დამეთმო. ახლა ინსტრუქცია მაქვს და თან ადვილია – მოვნახავ ვინმეს და დავაბინავებ მთავრობისგან ნაჩუქარ 20 ლარს.

უკვე ისიც ვიცი, რა უნდა ვუყო მთავრობის კიდევ ერთ საჩუქარს – სურსათის 30-ლარიან ვაუჩერს. ამისთვის სულაც არ დამჭირდება ყოველ დღე „რუსთავი2"-ს ვუყურო და ვნახო, როგორ იხდის ცრემლიან მადლობას მარტოხელა მოხუცებული ან მრავალშვილიანი დედა. მე კი უკვე ვისწავლე, მაგრამ სხვებზეც იზრუნებენ – ბევრჯერ აჩვენებენ, როგორ დაიარება ჩინოვნიკურ-დეპუტატური ელიტა გაჭირვებულებთან და კიდევ ბევრჯერ შეგვახსენებენ, ვინაა ყველაზე მოწყალე და მზრუნველი.

P. S. ჰო, იმასაც ამბობენ, რომ ვაუჩერები ყველას არ შეხვდა. მხოლოდ იმათ, ვინც ბევრს ხარჯავს. ვაუჩერების ამ წესით გადანაწილებაც ჩვენი ხელისუფლების გამოგონება უნდა იყოს.

ვაუჩერად შეფუთული 30 ლარი

20-ლარიანი ენერგოვაუჩერების შემდეგ, პრეზიდენტის ინიციატივით, ხელისუფლება კიდევ ერთ – 30-ლარიან სასურსათო ვაუჩერებს დაარიგებს.

პარლამენტის წინაშე ანგარიშის წარდგენისას, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ვაუჩერებს მარტის თვიდან საქართველოს ყველა ოჯახი მიიღებს იმავე პრინციპით, როგორითაც ენერგოვაუჩერები დარიგდა. თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ამ ფასიანი ქაღალდის განაღდება ბანკში იქნება შესაძლებელი. მისივე თქმით, ენერგოვაუჩერების მსგავსად, სასურსათო ვაუჩერის მფლობელებსაც ექნებათ საშუალება, სურვილის შემთხვევაში, ის სხვა ოჯახს გადასცენ.

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლიდან 1 კვირის შემდეგ, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე ჯერ არც ვაუჩერების გაცემის ზუსტი თარიღია დადგენილი, არც ის, თუ რომელი უწყება დაარიგებს მათ და არც ვაუჩერების მიმღებთა ზუსტი სიაა ცნობილი. თუმცა, პრეზიდენტის პრესმდივანი, ნათია ბანძელაძე აცხადებს, რომ „ინიციატივა უკვე ამოძრავებულია“. მისივე თქმით, შესაძლოა, სასურსათო ვაუჩერები, ენერგოვაუჩერების მსგავსად, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტომ დაარიგოს, შესაძლოა, ტენდერი გამოცხადდეს.

მთავრობის არგუმენტს, რომ ამ ვაუჩერებით მოსახლეობისთვის ინფლაციის გავლენის ნაწილობრივი კომპენსირება მოხდება, ექსპერტები არ იზიარებენ და მიიჩნევენ, რომ ამ ვაუჩერების დარიგება ინფლაციის ზრდის მასტიმულირებელ რისკს წარმოადგენს.

„სასურსათო ვაუჩერები ვიღაცებმა კუპონიზაციას შეადარეს. ქართულ ვალუტას დღეს მყარი კურსი აქვს. განსხვავებით იმისგან, რაც 90-იან წლებში იყო, ეს არის მყარი ვალუტა. ჩვენ ამ ვაუჩერს მოსახლეობას ვაძლევთ იმისათვის, რომ ცოტათი მაინც მოხდეს იმ შოკის ანაზღაურება, რომელიც მოიტანა სურსათის გაძვირებამ“, – განაცხადა კრიტიკის პასუხად პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

20-ლარიანი ენერგოვაუჩერების დასარიგებლად მთავრობამ 20 მილიონი ლარი გამოყო. ვაუჩერი იმ ყველა, ანუ მილიონამდე აბონენტმა, უნდა მიიღოს, ვინც ბოლო 6 თვის განმავლობაში 200 კილოვატი ელექტროენერგია მოიხმარა.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ, პრეზიდენტის თქმით, მოსახლეობა სასურსათო ვაუჩერებსაც ენერგოვაუჩერების მსგავსი პრინციპით მიიღებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამისთვის ბიუჯეტიდან 30 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ვაშაძე-ჰილარი კლინტონის შეხვედრა

საგარეო საქმეთა მინისტრი აშშ-ს სახელმწიფო მდივანს შეხვდა.

ამერიკის შეერთებული შტატები „უაღრესად ერთგულია საქართველოსთან ჩვენი ძალიან ძლიერი ურთიერთობების,“ – განაცხადა აშშ–ის სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა შეხვედრის დაწყებამდე.

ვაშაძის თქმით, შეხვედრაზე აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია, ავღანეთის ოპერაციაში საქართველოს ჩართულობა და საქართველოს ნატოსკენ სვლის დეტალები განიხილეს. მან ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფო მდივანს ინფორმაცია მიაწოდა რუსეთის სამხედრო გაძლიერების დეტალებზე სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის ბანაკვეთს 8%-მდე ზრდის

ინფლაციაზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ოქტომბრის შემდეგ შენარჩუნებული 7.5%–დან 8%–მდე გაზარდა.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა განაცხადა, რომ ინფლაციის დონე, რომელმაც იანვარში 12.3% შეადგინა, აღემატება ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელს.

ევროპის თვალით დანახული საპაკეტო

გერმანული გამოცემა Die Welt, Wikileaks-ზე დაყრდნობით საქართველო-რუსეთის ომის დროს ნატოში მიმდინარე პროცესებზე სტატიას აქვეყნებს. სტატიაში სათაურით „ნატო შვილიან ოჯახს თამაშობს“, აღწერილია ომის დროს ნატოში მიმდინარე დავები იმაზე, თუ როგორ უნდა აეცილებინა ალიანსს ომი თავიდან. სტატიის ავტორების თქმით, საქართველო-რუსეთის ომმა ნათელი მოჰფინა ნატოს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის არსებულ პრობლემებს. ამავე სტატიაში საუბარია ევროპელების განწყობებზე საქართველოს და ქართველი ლიდერის მიმართ: „ჰოლანდიელები საქართველოს „მოუმწიფებელ დემოკრატიას“ უწოდებდნენ, პრეზიდენტ სააკაშვილს – „ემოციური და უმნიშვნელო სახელმწიფოს კორუმპირებულ ლიდერს“, გერმანელები კი მას „გიჟს და სახიფათოს“ უწოდებდნენ“, – ნათქვამია სტატიაში.

ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია

პარლამენტი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის განხილვას იწყებს. განსხვავებით წინა – 2005 წლის – კონცეფციისაგან, დოკუმენტში რუსეთი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ იქნება მოხსენიებული. დოკუმენტის თანახმად, რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ოკუპაცია წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს საქართველოს სუვერენიტეტისათვის. უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, ეკა ტყეშელაშვილის თქმით, ეს ცვლილება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა განაპირობა. კონცეფციის განხილვებში მონაწილეობას არ მიიღებენ „ახალი მემარჯვენეები" და „რესპუბლიკელები". დავით გამყრელიძის თქმით, მათ საკუთარი წინადადებები უკვე წარადგინეს და თუ ხელისუფლებას მათი გაზიარება სურს, ეს კონსულტაციების გარეშეც მოხერხდება.

იარაღის შესყიდვები "ვიკილიქსის" "ქართულ დოსიეში"



„ვიკილიქსის“ პარტნიორმა გამოცემამ „რუსკი რეპორტიორ"-მა აშშ-ს ყოფილი ელჩის, ჯონ ტეფტის საიდუმლო მიმოწერა გამოაქვეყნა, რომელშიც ტეფტი საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის საჭიროებაზე წერს. თავდაცვის მინისტრის მოადგილის ოთარ ბერძენიშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ტეფტი წერს, რომ საქართველოს კონტრაქტი აქვს სეიშელის კუნძულებზე დარეგისტრირებულ უკრაინულ კომპანია „ბელ ტრეიდინგ"-თან. მიმოწერის თანახმად, „ბელ ტრეიდინგ" თავისთან იტოვებდა კონტრაქტის მთელ ღირებულებას იმის მიუხედავად, განახორციელებს თუ არა იარაღის მიწოდებას და კონტრაქტის პირობების შესრულებას განზრახ აჭიანურებდა. ჯონ ტეფტის ამ საიდუმლო მიმოწერას საიდუმლოების გრიფი 2019 წლის 18 აგვისტოს უნდა მოხსნოდა.

ციფრები

578 443
ლარი გასცა თბილისის მერიამ პრემიის სახით 2010 წელს.

5,7
მლნ ლარის მითვისებისთვის სუბსიდიების სააგენტოს16 წარმომადგენელი დააკავეს.

15
ქართველი დააკავა ესპანეთის პოლიციამ ბინების ჯგუფური ძარცვისთვის.

500
მილიარდი ევრო გამოიყოფა ევროს დახმარების ფონდისთვის.

სიტყვები

„მცირე ქვეყნებმა, რომელთა შორის არის საქართველოც, გამოიჩინეს დიდი თავგანწირვა ავღანეთში. ისინი უნდა ამაყობდნენ იმით, რაც გააკეთეს“.
ბრიტანეთის თავდაცვის სახელმწიფო მდივანი, ლაიამ ფოქსი, ავღანეთის ოპერაციაზე საუბრის დროს.

„რუსეთის მთავარი მიზანი საბჭოთა კავშირის აღდგენაა“
მიხეილ სააკაშვილი აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუსთან შეხვედრისას

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ თურქეთთან მოლაპარაკებები ადრე უნდა დაგვემთავრებინა“
საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციაზე

კი
გია გუგუშვილი
მხატვარი, „მხატვართა კავშირის“ თავმჯდომარეობის კანდიდატი

ბვჭიhდებ
შემოქმედებით

არ გამოვრიცხავ, რომ ახლაც არის ხალხი, ვისაც თავი ელიტაში, კავშირის ადმინისტრაციაში წარმოუსახავთ და სხვის ხარჯზე პირადი კეთილდღეობის მოწყობა განუსაზღვრავთ. თუმცა, მხოლოდ ასეთი ხალხის არსებობის გამო თავად კავშირების არსებობაზე უარი არ უნდა ვთქვათ.

თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეთა ჯგუფს სრული უფლება აქვს, გაერთიანდეს ნებისმიერ კავშირში, იქნება ეს პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ პროფესიული.

ამ შემთხვევაში შემოქმედებითი კავშირი ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც მოქალაქეთა ჯგუფის პროფესიული ნიშნით გაერთიანება, რომელშიც პროფესიონალები საკუთარი სურვილით წევრიანდებიან.

ასეთ გაერთიანებებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნიათ – ჩვენ გვახსოვს ვაჭართა ამქრები და სხვა მრავალი პროფესიული ნიშნით გაერთიანებები თუ გილდიები. ამ კავშირებს აქვთ პოტენციალი – სარგებლობა მოუტანონ მათ რიგით წევრებს.

ვფიქრობ, უნდა განვიხილოთ არა თავად კავშირის ყოფნა-არყოფნა, არამედ ის იდეა, რის გამოც პროფესიონალები კავშირებში ერთიანდებიან.

არის ორი მოტივი და ორივეს აქვს არსებობის უფლება:

1. კავშირში ერთიანდებიან იმისთვის, რომ ელიტამ და ადმინისტრაციამ თავის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ გამოიყენოს კავშირის მატერიალური შესაძლებლობები.

2. ან ერთიანდებიან იმისთვის, რომ კავშირის მატერიალური შესაძლებლობები მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული კავშირის წევრების პრობლემების გადაწყვეტაზე.

არ გამოვრიცხავ, რომ ახლაც არის ხალხი, ვისაც ბევრად უფრო ხიბლავს პირველი ვარიანტი. მათ თავი ელიტაში, კავშირის ადმინისტრაციაში წარმოუსახავთ და სხვის ხარჯზე პირადი კეთილდღეობის მოწყობა განუსაზღვრავთ. თუმცა, მხოლოდ ასეთი ხალხის არსებობის გამო თავად კავშირების არსებობაზე უარი არ უნდა ვთქვათ.

შეიძლება, შემოქმედებით კავშირებს შევუცვალოთ იურიდიული სტატუსი, გამგეობის ფორმა, მმართველობის სტილი. მაგალითად, ჩემი აზრით, შემოქმედებითი კავშირების ოპტიმალური ფორმა არის არასამთავრობო ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, თავად კავშირმა არსებობა არ უნდა შეწყვიტოს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ „მხატვართა კავშირს“ აქვს პოტენციალი, იყოს თანამედროვე და დემოკრატიული ორგანო, თუ ის მხატვრებზე და მათი პრობლემების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული.

ილუსტრაცია რუსლან ბერიძე

... თუ არა ... ი ხელოვნების?

■ მხატვართა კავშირის მსგავსი გაერთიანებები მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან შემოქმედების კონტროლისა და მართვის საშუალებაა. მასთან მხოლოდ მერკანტილური მიზნებით მოქმედი ან მატერიალურად ძალზე გაჭირვებული მხატვრები თუ ითანამშრომლებენ.

არა
გიორგი კევლიშვილი
მხატვარი

დავაზუსტოთ, რა არ არის მხატვართა კავშირი დღეს. იგი არაა პროფესიული კავშირი – პროფესიონალთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც დამოუკიდებლად სახავს მიზნებს და მათ მისაღწევად შრომობს თუ იბრძვის.

რა იყო მხატვართა კავშირი საბჭოთა ეპოქაში? მას ერთადერთი ფუნქცია ჰქონდა – ხელისუფლების ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა მხატვრული ცხოვრება, არ დაეშვა შემოქმედებითი აზროვნების პროცესი, მხატვარი ექცია სისტემის მორჩილ ინსტრუმენტად, რომელიც ყოფითი კეთილდღეობის მოსაპოვებლად უარს იტყოდა ინტელექტუალურ-შემოქმედებით თავისუფლებაზე.

რა არის მხატვართა კავშირის ფუნქცია დღეს? – ფუნქცია იგივეა!

შეუძლებელია მხატვართა კავშირის როლის გაგება დღევანდელი პოლიტიკური კონტექსტისგან დამოუკიდებლად. ქვეყნის მოწყობის მთავარ პრინციპად მის „თავისუფალ ბაზრად“ გადაქცევაა გამოცხადებული. თანაც, ამას გვასაღებენ როგორც ევროპულ (!) ფასეულობას (თანამედროვე ევროპისა და ამერიკის სოციალურ რეალობაში ამის არგუმენტს ვერ მოიპოვებთ). ჩვენებური ნეოლიბერალიზმის რეალური მიზანი არაა ის, რასაც იდეოლოგია აცხადებს. მიზანი ამ იდეოლოგიური „ლეგიტიმაციით“ ვიწრო ჯგუფის მიერ რესურსებისა და კაპიტალის ხელში ჩაგდებაა.

ამ პირობებში მხატვართა კავშირის მსგავსი გაერთიანებები მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან შემოქმედების კონტროლისა და მართვის საშუალებაა, მას არ შეუძლია, სხვა შედეგების მიღწევა – ხელოვნების განვითარებისათვის პირობების შექმნას, ვერ ახორციელებს ვერცერთ პროექტს, რომლზეც შეგვეძლება ვთქვათ, რომ ხელოვნებისა და კულტურის დარგების განვითარებას წაადგება. მასთან მხოლოდ მერკანტილური მიზნებით მოქმედი ან მატერიალურად ძალზე გაჭირვებული მხატვრები თუ ითანამშრომლებენ.

დავა იმაზე, პროცედურულად სწორად იყო თუ არა ჩატარებული არჩევნები, ჰქონდათ თუ არა კანდიდატებს პროგრამა, იყო თუ არა ღირსეული კანდიდატი – სრულიად უსარგებლოა. მეტიც, ეს ასე ვთქვათ, ამ ინსტიტუტის ნეგატიური ლეგიტიმაციაა – იმის აღიარება, რომ მასთან დავით, დისკუსიით თავად მას რაღაც სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მხატვრების საქმე დღეს ეს არაა. მხატვარს, ხელოვნებას მიზნები აქვს, რომელთა შესახებ მხატვართა კავშირთან დისკუსიიდან ვერაფერს შევიტყობთ.

ამიტომ მხატვრები სხვა გზას ირჩევენ. ხოლო კავშირი... დაე, მკვდრებმა იზრუნონ საკუთარ მკვდრებზე...

რუსეთი და იაპონია

ხიმღის აღმოსავლეთი ექსპესი

რუსეთის ყურადღების ახალი ობიექტი კურილიის კუნძულები გახდა. მათი ათვისება მოსკოვს ასეულობით მილიონი დოლარი და რეგიონის ყველაზე ძლიერ მოთამაშესთან – იაპონიასთან კონფრონტაციად დაუჯდება.

ვასო კუჭუხიძე

დაპირისპირებამ რუსეთსა და იაპონიას შორის კრიტიკულ ზღვარს მას შემდეგ მიაღწია, რაც 2011 წლის 9 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა მინისტრებთან შეხვედრის დროს კურილიის კუნძულები რუსეთის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა. შემდეგ კი მასზე დამატებითი სამხედრო ძალების გაგზავნისა და ახალი, S-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემის განლაგების ბრძანება გასცა. თავის მხრივ, ეს ნაბიჯი 7 თებერვალს იაპონიის მთავრობის მიერ გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა, რომელიც კუნძულების დაბრუნებას შეეხებოდა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთმა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რამდენიმე სერიოზული წარმატება მოიპოვა: საბაჟო კავშირში გააერთიანა ბელარუსი და ყაზახეთი, ისარგებლა უკრაინაში პრორუსული მთავრობის მოსვლით და სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის ყოლის უფლება 25 წლით, 2042 წლამდე გაზარდა, მოახერხა ყირგიზეთში არასასურველი ხელისუფლების დამხობა და მნიშვნელოვნად გაიმტკიცა მდგომარეობა ცენტრალურ აზიაში, სომხეთსა და სეპარატისტულ რეგიონებში ბაზების განახლებით პოზიციები გაიმაგრა კავკასიაშიც.

როგორც ჩანს, მოსკოვი მიღწეულს არ სჯერდება და ამჯერად ყურადღება შორეულ აღმოსავლეთს მიაპყრო. ამისთვის რუსეთის ხელისუფლებამ საუკეთესო დრო შეარჩია – იაპონიაში ეკონომიკური სტაგნაციაა, ორ კორეულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა კი – განსაკუთრებით დაძაბული.

კურილიის არქიპელაგი 56 პატარა კუნძულისგან შედგება, რომელიც 1200 კილომეტრზეა გადაჭიმული, კამჩატკის ნახევარკუნძულიდან ჰოკაიდომდე. თუმცა 56-დან მხოლოდ 4 შედარებით მოზრდილი სამხრეთის კუნძულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ამ კუნძულებს უდიდესი სტრატეგიული მდებარეობა გააჩნიათ, რადგანაც ისინი ოხოტის ზღვას წყნარი ოკეანიდან გამოჰყოფენ და რუსეთის აღმოსავლეთის პორტებისთვის ბუფერულ ზონას ქმნიან. გარდა ამისა, კუნძულები მოსკოვისთვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც საინტერესოა. სწორედ კურილიის კუნძულების მეჩხერ წყლებში შედის მიმდებარე წყლების თევზი ქვირითის დასაყრელად. ამიტომაც, რუსული წითელი ხიზილალის წარმოებაში კურილიის კუნძულებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს პატარა კუნძულები მდიდარია ბუნებრივი აირითა და ოქრითი. უკვე შესწავლილი სასარგებლო წიაღისეულის საერთო ღირებულება იქ 50 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

> **■ რუსეთის ელჩმა იაპონიაში მიიღო კონვერტი წარწერით „კურილიის კუნძულები მხოლოდ იაპონიას ეკუთვნის“, რომელშიც ერთადერთი რამ – ტყვია იდო.**

კურილიის კუნძულები ისტორიულად იაპონიის საკუთრებაა და მათი მითვისება რუსეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოახერხა. ომის შემდეგ არ მომხდარა სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისად, კუნძულების სტატუსიც განუსაზღვრელი დარჩა, ამიტომაც იაპონია დღესაც მათ საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს და პრეტენზია აქვს დაბრუნებაზე. 1993 წლის მოლაპარაკებით, მოსკოვი და ტოკიო მხოლოდ იმაზე შეჯერდნენ, რომ მომავალში აუცილებელი იყო კურილიის კუნძულების ბედის განსაზღვრა. თუმცა შეხვედრას ქმედება არ მოჰყოლია.

მთელი 90-იანი წლების განმავლობაში რუსეთი იმდენად იყო ჩაფლული ქვეყნის ევროპულ ნაწილში შექმნილი პრობლემებით, რომ კურილიის კუნძულების საკითხი ყურადღების მიღმა დარჩა. ამან იაპონელებს მათი დაბრუნების იმედი ჩაუსახა და ტოკიო მაქსიმალურად ცდილობდა იქ საკუთარი გავლენის გაზრდას, რის საშუალებასაც მათ კრემლთან 1992 წელს მიღწეული კუნძულებზე გადაადგილების უვიზო რეჟიმიც აძლევდა.

2010 წლიდან კი რუსეთი დიდი მონდომებით შეუდგა კურილიის კუნძულებზე საკუთარი გავლენის აღდგენის პროცესს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც იგეგმება კუნძულებზე ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 600 მილიონი დოლარის გამოყოფა.

დიმიტრი მედვედევი კურილიის კუნძულებზე, 2011

ასევე უნდა მოხდეს მოსახლეობის 19-დან 30 ათასამდე გაზრდა და რაც მთავარია, სამხედრო ბაზების პარალელურად, მოსკოვი გეგმავს ორი მისტრალის ტიპის ვერტფრენმზიდი სადესანტო ხომალდის განთავსებას მიმდებარე წყლებში, რაც იაპონიის უსაფრთხოებასა და მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

გახშირდა რუსული საპატრულო საზღვაო კატარღების თავდასხმა იაპონურ სეინერებზეც, რამაც ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის მნიშვნელოვნად გააუარესა. ამას თან სდევდა რუსი მაღალჩინოსნების გახშირებული სტუმრობები კუნძულებზე, რაც 2010 წლის ნოემბერში დიმიტრი მედვედევის ვიზიტით დაგვირგვინდა. იგი რუსეთის პირველი პრეზიდენტია, რომელიც კუნძულებს პირადად ეწვია. იაპონელებმა პროტესტი იმით გამოხატეს, რომ პარლამენტმა მიიღო დებულება, რომელიც კურილიის კუნძულებზე იაპონიის სუვერენიტეტს ავრცელებდა. საპასუხოდ დუმამ უვიზო რეჟიმის გაუქმება მოითხოვა, თუმცა არც ერთი ეს დებულება რეალობაში არ განხორციელებულა. რუსეთ-იაპონიას შორის დაპირისპირების მიუხედავად, მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა არსებობს, რომლისგანაც ორივე ქვეყანა დიდ სარგებელს ნახულობს.

რუსეთმა, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, იაპონიას შესთავაზა კუნძულების აღმშენებლობის პროცესში საკუთარი წვლილის შეტანა და ინვესტიციის სახით იაპონური კრედიტის ჩადება, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ტოკიოს მიაჩნია, რომ ამ პროცესში ჩართვა კუნძულებზე რუსეთის სუვერენიტეტის აღიარებასა და მასთან შეგუებას ნიშნავს. მოსკოვისაგან მაცდური შეთავაზების მიუხედავად, ტოკიოს სტრატეგიულმა მოკავშირე სეულმაც თავი შეიკავა ახალ პროექტში ჩართვისაგან. თუმცა რუსეთმა იაპონია-ჩინეთს შორის არსებული ბოლოდროინდელი დაპირისპირებით ისარგებლა და ჩინური ინვესტიციები მიიზიდა, რამაც ტოკიოს ორმაგი გაღიზიანება გამოიწვია.

უკვე 2011 წლის თებერვლის დასაწყისში დაპირისპირებამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ დასავლურმა მედიამ მას „სიტყვიერი ომი“ უწოდა. საპროტესტო ტალღა მთელ იაპონიას მოედო. ულტრამემარჯვენე მოძრაობების მიერ მოწყობილ გამოსვლებზე დემონსტრაციულად დაწვეს რუსეთის დროშები. 2011 წლის თებერვალში კი რუსეთის ელჩმა იაპონიაში მიიღო კონვერტი წარწერით „კურილიის კუნძულები მხოლოდ იაპონიას ეკუთვნის“, რომელშიც ერთადერთი რამ – ტყვია იდო (იაპონური ტრადიციების მიხედვით, ეს ადრესატის გარდაუვალ სიკვდილს მიანიშნებს). რუსი ექსპერტები საპასუხოდ აღნიშნავენ, რომ იაპონია რთულ პოსტკრიზისულ ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ხელისუფლება ხელოვნურად ცდილობს ყურადღების გადატანას კურილიის კონფლიქტზე.

მართალია, ჯერჯერობით კუნძულებთან დაკავშირებული ბრძოლა დიპლომატიურ ფარგლებს არ გასცდენია, თუმცა გამორიცხული არ არის კონფლიქტში ახალი აქტორების ჩართვა და კონფლიქტის ესკალაცია. სიტუაციის დაძაბვას იაპონიის სწრაფი მილიტარიზაციაც უწყობს ხელს. რამდენიმე წლის წინ იაპონიის პრემიერმა შინცო აბემ ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაზარდა. დღეს იაპონია სამხედრო დანახარჯების რაოდენობით მსოფლიოში მეხუთე ადგილს იკავებს და რუსეთი მას 2 პოზიციით ჩამორჩება, დიდია იაპონიის უპირატესობა სამხედრო-ტექნოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც, რამაც შესაძლოა ტოკიო რადიკალური ქმედებებისკენ წააქეზოს.

ეგვიპტე

დემოკრატიის მიჩაჟი "თავხრის ჩესპუბლიკაში"

„თავისუფალი ეგვიპტის“ მომავალს ყველაზე ოპტიმისტებიც კი სკეპტიკურად აფასებენ.

დიანა მუჩანჩურაკი



ჟურნალისტი სარა ლოგანი თავდასხმამდე რამდენიმე წუთით ადრე, თაჰრირის მოედანი, 11 თებერვალი 2011

კაიროში ტრანსპორტის მოძრაობა ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა. უსასრულო საცობებში გაჭედილ ეიფორიაგამოვლილ ეგვიპტელებს ახლა ყველაზე მეტად ის აღელვებთ, თუ რა იქნება შემდეგ, რა გზებით შეეცდება კაიროს ავტორიტარული რეჟიმი ახალ რეალობასთან ადაპტირებას?

„თავისუფალმა ეგვიპტემ“ პირველი მარცხი მუბარაქის გადადგომიდან რამდენიმე წუთში, თაჰრირის მოედნის შუაგულშივე განიცადა. ამერიკელი ჟურნალისტის სარა ლოგანის წინააღმდეგ 200-მდე ეგვიპტელის მასობრივმა სექსუალურმა ძალადობამ საერთაშორისო საზოგადოების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია და არაბული დემოკრატიისადმი რწმენა კიდევ უფრო შეარყია. ლოგანის შემთხვევა ბევრმა არაბული დემოკრატიის მთავარი საფრთხეების: ძალადობის კულტის, ანტისემიტიზმის და სექსიზმის სიმბოლოდ აღიქვა.

„ლოგანის ისტორიამ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯი დაგვიტოვა: კულტურა ბედისწერაა. თუ ეს ისტორია ოდნავ მაინც არის ეგვიპტური კულტურის გამოხატულება, მაშინ ეს მხოლოდ ეგვიპტის პრობლემა აღარ არის და ჩვენც უნდა გვაღელვებდეს,“ – ამბობს გლობალური უსაფრთხოების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი გალ ლუფტი.

„ეგვიპტის შემთხვევაში მხოლოდ თეო-დემოკრატიაზე, რელიგიურ დემოკრატიაზე თუ ვისაუბრებთ. ეს ვერ იქნება ჯეფერსონისეული, მედისონისეული, ჯექსონისეული ამერიკული დემოკრატია. ისლამი პოპულარულ სუვერენიტეტს არ აღიარებს. ის არც პლურალიზმს და გაეროს ბევრ საერთაშორისოდ აღიარებულ სამოქალაქო უფლებებს სცნობს,“ – ამბობს Fox News-ის ანალიტიკოსი პიტერ ჯონსონი.

ერთი, რაც მომხდარმა უკვე დაამტკიცა, არაბული სამყაროს ავტორიტარული რეჟიმების სიმტკიცე და იოლი ადაპტაციის უნარია. კაიროს ქუჩებში ძალადობის ხელოვნურად დაშვების და შემდეგ ხალხის ამავე ძალადობისგან დაცვის დახვეწილი სტრატეგიის წყალობით, ეგვიპტელმა სამხედროებმა რეჟიმის შენარჩუნება მოახერხეს.

ეგვიპტის სამხედრო არმია, რომელიც ოპონენტებს შორის მედიატორის როლს ასრულებს, ექსპერტებს ნეიტრალურ არბიტრად არ მიაჩნიათ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას საკუთარი ინტერესები გააჩნია.

საზოგადოებაში გავრცელებული შეფასებების საწინააღმდეგოდ, ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ მუბარაქის გადაყენებით ეგვიპტეში რეჟიმის ცვლილება არ მომხდარა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ქვეყნის ცენტრალური ინსტიტუტი – სამხედრო არმია კვლავაც მმართველობის სათავეშია.

ასობით მინი-მუბარაქი – კორუმპირებული ადგილობრივი მმართველიც ჯერ ისევ აკონტროლებს ეგვიპტის პროვინციებს.

აქციების მონაწილეთა მოთხოვნები მარტივი იყო: ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმება, ახალი არჩევნების ჩატარება და პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების თავისუფლების უზრუნველყოფა. ამ მოთხოვნების შესრულება ყველა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლისთვის ქვეყნის პოლიტიკური სივრცის გახსნას გულისხმობს, რაც მხოლოდ საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ცვლილებების გზით შეიძლება, მოხდეს.

ეს კი საფრთხეს უქმნის ეგვიპტური არმიის მიერ 1952 წლის შემდეგ დადგენილ ძალთა გადანაწილების სტრუქტურას, რაც მას ქვეყანაში დომინირების საშუალებას აძლევდა. თუმცა, თუ ძალაუფლების შესანარჩუნებლად საჭირო გახდება, არმიის სათავეში მყოფნი ტოლერანტული და, ერთი შეხედვით, დამთმობი ნაბიჯების გადადგმასაც არ მოერიდებიან.

ინსტიტუციური ცვლილებების ნაცვლად, ეგვიპტის სამხედრო ძალაუფლება მასების დაკმაყოფილებას სიმბოლური ჟესტებით შეეცდება. ისინი, სავარაუდოდ, ბევრისთვის კარგად ნაცნობ მეთოდებს გამოიყენებენ: წინა სისტემის ჩინოვნიკებს და ბიზნესმენებს სახელმწიფო ფონდების და ქონების გაფლანგვისთვის კორუფციაში ამხელენ, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ კი გამოძიებას აღძრავენ – მას კრიზისის პერიოდში ქუჩებში ხელოვნური არეულობის შექმნაში და დემონსტრანტების სიკვდილში დაადანაშაულებენ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჯერ-ჯერობით არ არსებობს გარანტია, რომ „მუბარაქიზმი მუბარაქის გარეშე“ უკან დასაბრუნებელ გზებს ვერ გამონახავს. ერთადერთი, რაც თაჰრირგამოვლილ ეგვიპტელებს გააჩნიათ, იმავე მუბარაქის დატოვებული სამხედროების სიტყვიერი დაპირებაა.

ამასობაში, მათი მოთხოვნების ბოლომდე შესრულებამდე კი ეგვიპტელები ყოველ ხუთშაბათს ქუჩის აქციების გაგრძელებას აპირებენ.

„თაჰრირის მოედნისკენ მიმავალი გზა უკვე კარგად ვიცით...“ – ამბობს ერთ-ერთი კაიროელი.

არაბული რევოლუციები

ბამოსვლები ისლამურ სამყაროში

ტუნისსა და ეგვიპტეში დემონსტრანტების მიერ მიღწეულმა წარმატებამ არაბული სამყარო მასობრივ საპროტესტო აქციებში გაჰხვია.

ვასო კუჭუხიძე

გამოსვლები ყველგან ერთი სცენარით მიმდინარეობს და მოთხოვნებიც თითქმის იდენტურია. ალჟირში, მეზობელი ქვეყნების მმართველების ბედით შეშინებული აბდელ აზიზ ბუტეფლიკა გამოსვლებს მომზადებული დახვდა. აქციების დაწყებისთანავე დედაქალაქში რეგიონებიდან დამატებითი 30000 პოლიციელი ჩამოიყვანეს. პროტესტის გამომწვევი მიზეზები აქაც ავტორიტარული რეჟიმი, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და ფასების სწრაფი მატებაა. სუსტია რელიგიური მუხტი, რადგან „ისლამური ხსნის ფრონტის“ აკრძალვის გამო მოსახლეობის ფუნდამენტალისტი ნაწილის კონსოლიდაცია ვერ ხერხდება.

მიუხედავად მოამარ კადაფის დიდი მცდელობისა, საპროტესტო აქციები მოეწყო ლიბიაშიც. ქალაქ ბენღაზსა და ალ-ბაიდაში შეტაკებები პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მსხვერპლით დასრულდა. თუმცა აბსოლუტურად კონტროლირებადი მასმედიის საშუალებებით ეს ფაქტები წარმატებით მიიჩქმალა. ამას თან ისიც დაერთო, რომ კადაფის რეჟიმმა მხარდამჭერთა იმაზე დიდი მიტინგის მოწყობა შეძლო, ვიდრე ოპოზიციამ.

ლიბიის მსგავსად „მტკიცე მუშტის“ პოლიტიკა აირჩია სირიამაც. ისედაც მცირერიცხოვან დემონსტრაციას ასადის რეჟიმი სასტიკად გაუსწორდა და დამასკო კარგად გაამაგრა. სირიული მუსლიმური საძმო კი სპეცსამსახურების მიერ იმდენადაა დატერორებული, რომ დემონსტრაციების ორგანიზებას ვერ ბედავს.

ეგვიპტის პარალელურად დიდი საპროტესტო გამოსვლები იორდანიაშიც მიმდინარეობდა. სოციალური მოთხოვნების მიუხედავად, გამოსვლებს იორდანული მუსლიმური საძმო მეთაურობდა. მეფე აბდულა მეორემ, რომელსაც ყველაზე წარმატებული გამოცდილება გააჩნია ისლამისტებთან დაპირისპირებაში, დაუყოვნებლივ გადააყენა მთავრობა და ეკონომიკაში მრავალმილიონიანი სუბსიდიები განახორციელა, რითაც გამოსვლების სოციალური მუხტი შეამცირა და ფუნდამენტალისტები მხოლოდ მცირერიცხოვან აქტივისტთა იმედად დატოვა.

კრიტიკულ ზღვარს მიაღწია გამოსვლებმა იემენშიც, სადაც თავდაპირველად გამომსვლელთა რიცხვი რამდენიმე ასეულს მოიცავდა, თუმცა პოლიციის მიერ მათი დარბევის შემდეგ გამოსვლებმა მასობრივი სახე მიიღო და პრეზიდენტი ალი აბდულა სალეჰი იძულებული გახდა, უკან დაეხია. მან გაუქმებულად გამოაცხადა დებულება, რომელიც პრეზიდენტის არჩევნებზე შეზღუდვის მოხსნას ითვალისწინებდა და პირობა დადო, რომ მონაწილეობას არ მიიღებს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. გადადგომაზე კი კატეგორიული უარი განაცხადა, რადგანაც ქვეყნის უდიდესი ძალა – არმია დღემდე მისი ერთგული რჩება.

ბაჰრეინის მიმდინარე მოვლენები ერთადერთია, სადაც რელიგიური მოტივი ჩანს. შიიტი უმრავლესობა უპირისპირდება მმართველ სუნიტ უმცირესობას. 16 თებერვალს მანამაში მარგალიტების მოედანზე დაბანაკებულ დემონსტრანტებს პოლიცია სასტიკად გაუსწორდა, რამაც ათეულობით ადამიანი იმსხვერპლა. ახლა დემონსტრანტები მხოლოდ დაღუპული თანამებრძოლების დაკრძალვებზე თუ ახერხებენ მცირემასშტაბიანი გამოსვლების ორგანიზებას.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური თეირანი ეგვიპტელი მომიტინგეების მიმართ დიდ მორალურ მხარდაჭერას იჩენდა, 14 თებერვალს ირანის სხვადასხვა ქალაქში მოწყობილ საპროტესტო აქციებს ისიც სასტიკად გაუსწორდა. 2009 წელს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განხორციელებული რეპრესიების შედეგად ოპოზიცია იმდენად გატეხილია ირანში, რომ მრავალმილიონიან ქვეყანაში ათიათასიანი დემონსტრაციის გამართვაც კი უჭირს.

აზერბაიჯანი

ებვიპტე თუ ყაზაბალი

აზერბაიჯანში ცვლილებების დრო დადგა.

შაჰინ რზაევი, ბაქო

ფოტო: ფაბრიზიო ბენარიგიანი / REUTERS

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი

ორ კვირაზე მეტია, აზერბაიჯანში ქრთამს აღარ იღებენ. საგზაო პოლიცია ჯიბეში ფულის ჩაკუჭვაზე უარს ამბობს, უძრავ ქონებაზე საბუთები ნომინალური გადასახადით ფორმდება, საბაჟოზე ზედმეტს აღარ გახდევინებენ, სახელმწიფო მოხელეები ტრადიციულ „კონვერტებს“ აღარ იღებენ. მეტიც, თანამდებობებიდან ქალაქის საგადასახადოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო ქონების მართვის სამსახურის 15 თანამშრომელი და ჯანდაცვის სამინისტროს 20-მდე მოხელე დაითხოვეს.

ბაქოში, სადაც უნდა წახვიდეთ, ყველგან ერთსა და იმავე თემაზე საუბრობენ – რა არის ამ ჯადოსნური ცვლილებების მიზეზი? ნუთუ პრეზიდენტ ილჰამ ალიევს ჯაბრაილის ანგელოზი ესიზმრა და გამოღვიძებულმა საკუთარ ქვეშევრდომებს მართალი წესით ცხოვრება უბრძანა? ცხადია, ამ ვერსიის ბაქოში არავის სჯერა. ბევრად უფრო პოპულარულია მოსაზრება, რომ ალიევის ავტორიტარული ხელისუფლება ტუნისისა და ეგვიპტის მასობრივი პროტესტებითაა შეშინებული.

ოპოზიციის წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ ეგვიპტის მოვლენების ფონზე ალიევს სოციალური აფეთქების შეეშინდა და „დასწრებაზე თამაში“ გადაწყვიტა.

ეს ვერსია მიმზიდველია, თუმცა, გამომდინარე აზერბაიჯანელი ხალხის თვისებებიდან, ძალიან საეჭვო. აზერბაიჯანის ხელისუფლება კი საკუთარ ხალხს ძალიან კარგად იცნობს. ალბათ, სხვა არცერთ ერს არ აქვს ანდაზა „მთავრობის მართვა არ შეიძლება“. აზერბაიჯანში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა პოლიტიკურად ინფანტილური ან ინდიფერენტულია, სოციალური აფეთქებისთვის

ნიადაგის მომზადება ძალიან რთულია.

ტრადიციული ოპოზიცია დიდი ხანია მარგინალურ დაჯგუფებად იქცა და 5 წელიწადში ერთხელ ცოცხლდება – როცა პარლამენტში თავისუფალი ადგილების გარშემო ვაჭრობა მიმდინარეობს. სხვათა შორის, ბოლო არჩევნებზე ოპოზიციას არცერთი ადგილი არ ერგო პარლამენტში. მეორეც, ალიევს არ ეშინია სოციალური აფეთქებების და ხალხის აზრს ანგარიშს არ უწევს, რაც მან არაერთხელ დაამტკიცა, როცა არჩევნების შედეგებით უკმაყოფილოთა მიტინგი სასტიკად დაარბია. მესამე, ეგვიპტის მოვლენებში საკვანძო როლს ისლამისტები თამაშობენ, აზერბაიჯანში კი მათი გავლენა ჯერჯერობით მეჩეთის კედლებს არ სცდება. გელაპის ინსტიტუტის კვლევის თანახმად, აზერბაიჯანი მოსახლეობის რელიგიურობის მაჩვენებლით მსოფლიოს სახელმწიფოთა პირველ ათეულშია 21 პროცენტით. ეს მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი ეგვიპტეში 100 პროცენტია.

კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ კორუფციასთან ბრძოლა იმიტომ დაიწყო, რომ ახლახან დავოსში გამართულ ეკონომიკურ სამიტზე ძლიერი წნეხის ქვეშ მოხვდა. იქ აზერბაიჯანს კორუფციის დონის შემცირება კატეგორიულად მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორები ქვეყნიდან ინვესტიციების გატანით დაიმუქრნენ. ეს ვერსიაც საეჭვოა. განა ბოლო დროს მსგავსი „გაკიცხვისათვის“ რამე საბაბი ყოფილა? აზერბაიჯანი ნავთობს ზედმიწევნით ზუსტად ქაჩავს, რუსეთთან არანაირ სამხედრო თუ პოლიტიკურ ბლოკში არ შესულა, უცხოელ ინვესტორებს ქვეყანაში პრობლემები არ ექმნებათ. თუ დასავლეთს ალიევის ხელისუფლების დასჯა და გაკიცხვა რეალურად სურდა, მას ეს არჩევნების შემდეგ უნდა გაეკეთებინა, როცა ამის მიზეზები საკმარისზე მეტი იყო.

2011 წელი აზერბაიჯანში პოლიტიკურად მშვიდია. რამე მნიშვნელოვანი მოვლენა – არჩევნები თუ რეფერენდუმი – არ იგეგმება. შესაბამისად, ვერსია არჩევნების წინ ხალხის გულის მოგების თაობაზე, ასევე საფუძველს მოკლებულია.

არის კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც დამოუკიდებელი ექსპერტების მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერს მხარს – აზერბაიჯანის ხელისუფლებას მთიან ყარაბაღში „პატარა წარმატებული ომი“ აქვს ჩაფიქრებული. უკვე ორი წელია, სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა, რადგან სომხეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ეუთოს თანათავმჯდომარეების მიერ წამოყენებული ე.წ. „მადრიდის პრინციპები“. ასეთ პირობებში, არ არის გამორიცხული, არსებობდეს შეთანხმება აზერბაიჯანისთვის ერთგვარი „კარტ-ბლანშის“ მინიჭების შესახებ. რაც გულისხმობს იმას, რომ მთიანი ყარაბაღის მიმდებარე ორი-სამი ოკუპირებული რაიონის გათავისუფლების შემდეგ სომხეთის ხელისუფლება უკვე იძულებული გახდება „მადრიდის პრინციპების“ მიღებას დაეთანხმოს.

აღნიშნული „კარტ-ბლანშის“ მინიჭების წინაპირობად დასავლეთი, შესაძლოა, ბაქოს სწორედ ეკონომიკის გაჯანსაღებას, კორუფციის შემცირებასა და პოლიტიკური რეფორმების გატარებას სთხოვდეს. ეს ყველაფერი აზერბაიჯანის არასახარბიელო იმიჯის გასაუმჯობესებლადაა საჭირო. აზერბაიჯანულ ოპოზიციურ პრესაში ამ ვერსიის სასარგებლო ასეთი ფაქტი მოჰყავთ – ბოლო ორი კვირაა, ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდა. და ეს მაშინ, როცა ნავთობზე ფასები იზრდება და სახელმწიფო სტრუქტურებს მეტის ხარჯვა შეუძლიათ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანას უცებ დიდი რაოდენობის ფულის მობილიზება დასჭირდა. რისთვის, თუ არა სამხედრო მიზნებისთვის?

აზერბაიჯანულმა ოპოზიციამ ეგვიპტის მოვლენების შემდეგ ბაქოს გარეუბანში აღმართული ეგვიპტის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის – ჰოსნი მუბარაქის ძეგლის ჩამოხსნა მოითხოვა. ძეგლს ამჟამად პოლიცია იცავს.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომის განახლების საფრთხე რომ არსებობს, ამას რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიც აღიარებენ. 9 თებერვალს გამოქვეყნებულ ანგარიშში სახელწოდებით „სომხეთი-აზერბაიჯანი: ომის თავიდან აცილება“ საერთაშორისო კრიზისულმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ „2010 წელს ფრონტზე მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა“. ანგარიშის ავტორები მიიჩნევენ, რომ ვითარება ნებისმიერ წუთს შეიძლება, კონტროლიდან გამოვიდეს.

თუმცა ქრთამთან ბრძოლის კამპანია და სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ეროვნულ არმიას ჯერჯერობით არ შეეხებია. გაურკვეველია, შეიცვლება თუ არა მდგომარეობა კორუფციულ სამხედრო კომისარიატებში წვევამდელთა ახალ ნაკადთან ერთად. არმიაში ცვლილებების გარეშე ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია სულ მცირე, ალოგიკური იქნება, რადგან ჯარში გამეფებულ კორუფციასა და განუკითხაობას თავი რომ დავანებოთ, აზერბაიჯანელ ჯარისკაცთა მორალური სულისკვეთებაც ძალიან დაბალია.

რომელი ვერსიაა ჩამოთვლილთაგან უფრო რეალური, ამას დრო გვიჩვენებს. ფაქტია, აზერბაიჯანის ხელისუფლების ბოლოდროინდელი მოქმედებები არაორდინალურია. ფაქტია ისიც, რომ მთიანი ყარაბაღის გარშემო კონფლიქტის განახლების პერსპექტივა დღეს უფრო რეალურია, ვიდრე ეგვიპტის სცენარის განმეორების და ხელისუფლებით უკმაყოფილო აზერბაიჯანელების ქუჩაში გამოსვლის. ერთადერთი, რაც აზერბაიჯანულმა ოპოზიციამ ეგვიპტის მოვლენების შემდეგ მოახერხა, ის არის, რომ ბაქოს გარეუბანში აღმართული ეგვიპტის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის – ჰოსნი მუბარაქის ძეგლის ჩამოხსნა მოითხოვა. ძეგლს ამჟამად პოლიცია იცავს. პრეზიდენტებს (თუნდაც ყოფილებს) და ასევე მათ ძეგლებს აზერბაიჯანში ასე იოლად ვერ ჩამოაგდებ.

სოფლის მეურნეობა

ყამირი მინა

აქვს თუ არა მომავალი საქართველოს სოფლის მეურნეობას?

მანანა ვარდიაშვილი

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ბაზარზე სურსათის გაძვირებამ შეუქცევადი სახე მიიღო, საქართველოს პრეზიდენტი თითქმის ყველა თავის გამოსვლაში აგრარული სექტორის განვითარების აუცილებლობაზე საუბრობს: „თუ ჩვენ არ გავზარდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და ეს დაუყოვნებლივ არ გავაკეთეთ, გაზრდილი ტურიზმის პირობებში სოფელი ვერ იხეირებს. რეალურად, თავსაც ვერ გამოვიკვებავთ, აღარაფერს ვამბობ იმ 3 მილიონ ტურისტზე, რომელსაც წელს საქართველოში ველოდებით“.

პრეზიდენტის განცხადებები და მთავრობის ზოგიერთი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება ირიბად იმის აღიარებაა, რომ საქართველოს აგრარული სექტორი ღრმა კრიზისშია: მთავრობას იმედი აქვს, რომ გლობალური სასურსათო კრიზისის ფონზე, საკვებ პროდუქტებზე ფასების პერმანენტული ზრდის პრობლემას საქართველოში ბური ფერმერების ინვესტიციებისა და გამოცდილების იმპორტით დააბალანსებს.

„მთლიანობაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლისას, – სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოების გახსნის დინამიკა ძალიან ნელია. ბოლო წლებში ჩვენ არაერთხელ ვცადეთ სოფლის მეურნეობაში კერძო ინვესტიციების სტიმულირება, იქნებოდა ეს იაფი კრედიტის პროგრამა თუ რეგიონალური განვითარების ფონდები. ამ პროგრამებმა გარკვეული შედეგები გამოიღო, მაგრამ მთლიანობაში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კომპანიებ-

მა განვითარების ძალიან ნელი ტემპი შემოგვთავაზეს. ახალი ტექნოლოგიები ძნელად ინერგება. ჯერაც მცირე დოზით ხდება თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიღწევების ადაპტაცია. მაგრამ სოფელს ვერ მივატოვებთ."

ოფიციალური მონაცემებით, სოფლად საქართველოს მოსახლეობის 47 პროცენტი ცხოვრობს. ამავე დროს, ადგილობრივი აგროპროდუქციის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 8,3 პროცენტია და ის შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12 პროცენტს უზრუნველყოფს.

საქართველოში დღეს სოფლის მეურნეობის წარმატებული დარგი და რეგიონი არ არსებობს. ამ სექტორის განვითარებისთვის თანმიმდევრული პოლიტიკა სახელმწიფოს შემუშავებული არ აქვს. ხელისუფლება აგრარულ სფეროში მხოლოდ ფრაგმენტულად, სპონტანურად ერევა, ძირითადად, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით. ხოლო კერძო ბიზნესისთვის მოშლილი ინფრასტრუქტურის პირობებში სოფელი ნაკლებად მომგებიანი ინვესტიციაა.

ინვესტიციები მეტწილად მეღვინეობაში იდებოდა, რომელიც სოფლის მეურნეობის სექტორში ერთადერთი წარმატებული სფერო იყო. 2005 წელს ქართული ღვინის ექსპორტის შემოსავალი 82 მილიონ დოლარს შეადგენდა. ღვინოს საქართველოს საექსპორტო საქონლის ათეულში წამყვანი ადგილი ეკავა და მისი 74 პროცენტი რუსეთის ფედერაციაში გადიოდა.

ამდენად, მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2006 წელს საქართველოს ეკონომიკური ემბარგო დაუწესა, მოწეული ყურძნისა და ციტრუსის რეალიზაცია-დაბინავება გლეხებისა და მთავრობის მთავარი პრობლემა გახდა.

რუსეთის უმსხვილესი ბაზრის დაკარგვა ყველაზე მძიმედ კახეთზე აისახა, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 8.3 პროცენტი, ანუ 407.2 ათასი ადამიანი ცხოვრობს. საქართველოში არსებული 43 ათასი ჰექტარი ვენახიდან 35 ათასი ჰა სწორედ კახეთშია.

რუსეთის მოულოდნელი ემბარგოს შემდეგ მევენახეობა-მეღვინეობის სექტორში არსებული კრიზისის მოსაგვარებლად და გლეხებისა და ოპოზიციის ხმაურიანი პროტესტის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ ბიუჯეტიდან სუბსიდია გამოყო და უკვე ოთხი წელია,

საქართველოში სოფლის მეურნეობის წარმატებული დარგი და რეგიონი არ არსებობს. თანმიმდევრული პოლიტიკა სახელმწიფოს არ აქვს. ხელისუფლება აგრარულ სფეროში მხოლოდ სპონტანურად ერევა, ძირითადად, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით.

პრობლემას ამ გზით ებრძვის. გასულ წელს რთველის წარმატებით ჩასატარებლად და გვალვისა და სეტყვისგან განახევრებული მოსავლის დასაბინავებლად მთავრობამ 6,1 მილიონი ლარი გამოყო.

თუმცა, სახელმწიფოს ერთჯერადი დახმარება არ აღმოჩნდა ამ დარგის გადასარჩენად – წლიდან წლამდე ყურძნის ფასი კლებულობს, საწვავსა და სასუქებზე გაძვირებული ფასები კი გლეხებს თითქმის არავითარ მოგებას არ უტოვებს.

ყურძნის მოსავლის რეალიზაციის სუბსიდირება პრობლემის გადასაჭრელად რომ ყველაზე მოკლევადიანი და არაეფექტიანი გზაა, ამას სოფლის მეურნეობის ექსპერტთა დიდი ნაწილი აღიარებს.

„აგროგანვითარების ჯგუფის“ ხელმძღვანელის – ნიკოლოზ ზაზაშვილის აზრით, ამგვარი მოკლევადიანი პოლიტიკის მიზეზი ის არის, რომ „მთავრობას არ აქვს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების გრძელვადიანი

პროგრამა. სამწუხაროდ, ასეთი სტრატეგია არც მეღვინეებს და გლეხებს აქვთ. რუსეთის ემბარგოს შემდეგ 4 წელი გავიდა. მეღვინეებმა ვერ შეძლეს ახალი მნიშვნელოვანი ბაზრების მოძიება. მთავრობა მათთან არასათანადოდ მუშაობს. გლეხებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო. მაგალითად, კარგი იქნებოდა, მათთვის აეხსნათ, რომ საღვინე ყურძნის მოყვანას დღეს სუფრის ყურძნის მოყვანა სჯობს, რადგან სუფრის ყურძენზე საქართველოში დეფიციტია და ის სომხეთიდან შემოგვაქვს“.

მიმდინარე წელს ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის დაფინანსება 150 ლარით გაზარდა. სოფლის მეურნეობა ბოლო დროს პრეზიდენტ სააკაშვილის პირად ფოკუსში მოექცა და იგი ამ სფეროში რამდენიმე პირადი ინიციატივითაც გამოვიდა. მაგალითად, მან განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ხელისუფლება ფსონს მაღალი დონის სასაწყობე მეურნეობების მშენებლობაზე დებს. ასევე უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლება აქტიურად ცდილობს გლეხებს მაღალმოსავლიანი მარცვლეულის ჯიშების დანერგვის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფერმერებს ხორბლის და სიმინდის ამერიკულ სათესლე მასალას სთავაზობს.

„იმ ბაზრებზე, სადაც ჩვენ უნდა გავიდეთ, მთელი წლის განმავლობაში უნდა შეგვეძლოს ერთნაირი ხარისხის საქონლის მიწოდება. ამიტომ, ჩვენი ახალი პროგრამით, სახელმწიფოს და ბიზნესის პარტნიორობით, აშენდება სასაწყობო მეურნეობები და ლოჯისტიკური ცენტრები, რაც თვისებრივად შეცვლის ექსპორტის სტრუქტურას. ფერმერებს აღარ მოუწევთ გასაღების ბაზრების დამოუკიდებლად მოძიება, რადგან მათ პროდუქციას მიეცემა მაღალხარისხიანი სასაქონლო სახე," – განაცხადა პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში.

აგრარულ სექტორში მომუშავე ამერიკული კომპანია SJS USA-ს საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი მაგდა ქაჯაია ამბობს, რომ მის კომპანიას სამაცივრე მეურნეობის მოწყობაში 4 მლნ დოლარის ინვესტირების საშუალება აქვს, თუმცა ჯერჯერობით თავს იკავებს: „ასეთი დიდი ინვესტიცია რომ განვახორციელოთ, იქ შესანახი პროდუქტის ყიდვა უნდა შეგვეძლოს. ეს პრუდუქტი კი არ არის. აგრარული ლოჯისტიკის განვითარება სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების პარალელურად უნდა ხდებოდეს. რა აზრი აქვს ლოჯისტიკის განვითარებას, როცა წარმოება არ არსებობს?“

აგრარული წარმოების განვითარებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სჭირდება. საქართველოს სოფლის მეურნეობა დღემდე შუა საუკუნეების მეთოდებს მიმართავს – გლეხების დიდი უმეტესობა ისევ გუთნით, მამაპაპური თოხით, ბარით და ზურგზე მოკიდებული საწამლავი აპარატით მუშაობს.

ტრაქტორის საშუალო ფასი 23 ათასია ლარია. გლეხებს მისი შეძენის საშუალება არ აქვთ. ტექნიკის სიმწირე ახალი ტექნოლოგიების დანერგვას აფერხებს. 1996 წლის შემდეგ დონორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ განხორციელდა რამდენიმე პროგრამა, რომლის შედეგადაც ქვეყანაში 971 ტრაქტორი და 200 კომბაინი შემოიყვანეს. საქართველოში 3600-ზე მეტი სოფელია, რაც იმას ნიშნავს, რომ 3 სოფელზე ერთი ტრაქტორი მოდის.

გარდა ტექნოლოგიებისა, სოფლის მეურნეობის სექტორში სერიოზულ პრობლემად რჩება ჯიშების განახლება, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ აგრარული წარმოება მომგებიანი გახდეს.

ათი წლის წინ ჰოლანდიელებმა სამეგრელოში სახელმწიფოს დახმარებით 34 სუფთა ჯიშის ძროხა შემოიყვანეს და სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში ძმები ალანიების ფერმაში მოაშენეს. ჰოლანდიელებმა ქართველ ფერმერებს ახალი ტექნოლოგიები შეასწავლეს, საჭირო ინფორმაცია გაუზიარეს და წავიდნენ. ფერმერებს საკუთარი ბიზნესის წარმატებისათვის ორი უმთავრესი პირობის დაცვა მოუხდათ: სუფთა ჯიშების შენარჩუნება და ძროხების სწორი კვება.

20-წლიანი პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ სოფლის მეურნეობა აღმოჩნდა ის არაპოპულარული დარგი, სადაც კვალიფიციური კადრები, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია მსოფლიო ბაზარზე არსებული სტანდარტების შესახებ, თითქმის არ არსებობენ.

ალანიების ძროხები მთელ იმ მიდამოებში გამორჩეული იყო, რადგან ქართული კვარაცხელიას ჯიშის ძროხისგან განსხვავებით, რომელიც 300-400კგ-ს იწონის, სუფთა ჯიშის მსხვილფეხა რქოსნის წონა 700-800 კილოგრამია. თუ ქართული ძროხის მაქსიმალური წველადობა 10 ლიტრია, ჰოლანდიური საქონელი დღე-ღამეში 30-40 ლიტრ რძეს იწველება. ქართული ხბო 15-20 კილოს იწონის, სუფთა ჯიშის კი – 50 კილოს.

ალანიებს ფერმაში დღეს 170 მეწველი ძროხა ჰყავთ. რძის პროდუქტების ქარხანაც იქვე, ფერმაშია გახსნილი. შვეიცარიული და იმერული ყველი, ასევე რძის სხვა პროდუქტები აქ ნატურალურ რძეზე მზადდება. ალანიების ბიზნესი რომ კარგად წავიდა, წარმოების გაფართოების მიზნით, მათ სენაკში რძის ჩამბარებელი პუნქტებიც გახსნეს, თუმცა არ იმუშავა. ალანიები ამბობენ, რომ საქართველოში ნატურალური რძის დეფიციტია და ამ დეფიციტს მათი ფერმის მსგავსი 200 ფერმის არსებობა შეავსებს.

ანზორ ბედია ალანიების მეზობელია და ოჯახის სარჩენად დილიდან დაღამებამდე შრომობს, მიწას ამუშავებს და საქონელს უვლის, თუმცა ამ შრომით ჯერჯერობით ვერ მოაგროვა ფული ჰოლანდიური ჯიშის ძროხის საყიდლად. „ჰოლანდიური ჯიში ბევრად მომგებიანია. ტანადაც დიდია. 20-30 ლიტრს იწველება, ჩვენი კიდევ 5-10 ლიტრს. მაგრამ 2000 ევრო ღირს და ვერ ვყიდულობ. სოფლის კაცს ამის ყიდვა უჭირს, ვერასოდეს იყიდის“, – ამბობს ბედია.

ანზორ ბედიას მსგავსად საქართველოში ბევრი გლეხი თავაუღებელი შრომის მიუხედავად, ფერმერად ჩამოყალიბებას დამოუკიდებლად ვერ ახერხებს და საკუთარი შრომით ოჯახს ძლივს არჩენს.

ოფიციალური მონაცემებით, დღეს საქართველოში ხორცის პროდუქტების 90,9 პროცენტი ოჯახურ მეურნეობებში იწარმოება და მხოლოდ 9,1 პროცენტი მოდის საწარმოებზე. ოჯახური მეურნეობების წილად მცენარეთა ნათესი ფართობების 97,2 პროცენტია, წარმოებაზე კი – 2,8. სწორედ იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობა აგრობიზნესად ვერ იქცა, ყოველწლიურად იზრდება იმპორტის მოცულობა. საქართველოში 2005 წელს 434 მილიონი დოლარის სოფლის მეურნეობის

სუბსიდიები

სოფლის მეურნეობის წარმატებული პროექტების უდიდესი ნაწილი დონორი ორგანიზაციების მიერ არის დაფინანსებული. USAID-მა ბოლო 5 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში 50 მილიონი დოლარი ჩადო, ხოლო ათასწლეულის ფონდმა 15 მილიონ დოლარზე მეტი.

წარუმატებელი აღმოჩნდა საქართველოს მთავრობის დოტაცია. სახელმწიფომ 2008-2009 წლებში „იაფი კრედიტის“ ფარგლებში სოფლის მეურნეობაში 28 მილიონ ლარამდე კრედიტი გასცა, რაც 16 მილიონი დოლარის ეკვივალენტია. საწარმოთა უმეტესობას სესხის დაბრუნებისას პრობლემები შეექმნა. 2010 წელს „იაფი კრედიტის“ პროგრამა საერთოდ დაიხურა.

სოფლის მეურნეობაზე საბანკო სექტორის მხრიდან გაცემული კრედიტების 1 და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2-3 პროცენტი მოდის.

პროდუქტი შემოვიდა, 2006 წელს – 594, 2007 წელს – 762, 2008 წელს კი იმპორტმა 913 მილიონ დოლარს მიაღწია.

სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ექსპერტები ამბობენ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია მეურნეობების გამსხვილებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე.

„ერთი გლეხის მიერ ოჯახურ მეურნეობაში წარმოებული პროდუქტის თვითღირებულება მსხვილი ფერმერული მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქტის ფასზე ბევრად მაღალია. ამიტომ არის, რომ საქართველოში იმპორტით შემოსული საქონელი ადგილობრივზე ბევრად იაფია. სახელმწიფოს სტრატეგია პროდუქციის ექსპორტზე გატანა უნდა გახდეს. მთავრობამ ფერმერებს წარმოების გაზრდის სტიმული უნდა მისცეს და მათ გასაღების ბაზრების მოძიებაში დაეხმაროს,” – ამბობს მაგდა ქაჯაია.

ექსპერტების აზრით, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ამ ეტაპზე სამი პრობლემის სასწრაფოდ მოგვარებაა საჭირო.

პირველ რიგში, სახელმწიფომ თანმიმდევრული პოლიტიკა უნდა შეიმუშავოს იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობა კერძო ბიზნესისა და ინვესტორებისთვის მიმზიდველ დარგად იქცეს. ექსპერტების აზრით, ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფომ ერთჯერადი, სპონტანური ხარჯების გაწევის ნაცვლად სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის გამართვაში უნდა ჩადოს ფული. ბიზნესმენი მოერიდება ბიზნესის დაწყებას იქ, სადაც მოუწესრიგებელია საირიგაციო თუ სადრენაჟო სისტემები.

კიდევ ერთი ნაბიჯი, რაც სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვისაა აუცილებელი – გლეხებისა და ფერმერების ბანკებთან ურთიერთობაა. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ბანკებს აგრობიზნესისთვის განკუთვნილი კრედიტების გაცემის მოტივაცია ჰქონდეთ (მაგალითად, დაზღვიოს ფერმერების კრედიტები.)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი, რასაც სპეციალისტები ასახელებენ, განათლებაა. 20-წლიანი პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ სოფლის მეურნეობა აღმოჩნდა ის არაპოპულარული დარგი, სადაც კვალიფიციური კადრები, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ახალი ტექნოლოგიებისა და მსოფლიო ბაზარზე არსებული სტანდარტებისა და ტენდეციების შესახებ, თითქმის არ არსებობენ.

სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია ცალკეული, მცირემასშტაბიანი პროექტებით. სანამ ეს სფერო პრიორიტეტი არ გახდება და მთავრობა არ შეიმუშავებს კომპლექსურ გეგმას მის გადასარჩენად, პრეზიდენტს კიდევ არაერთხელ მოუწევს იმის აღნიშვნა, რომ „მთლიანობაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია”.

სტატიაში გამოყენებულია სტუდია „მონიტორის“ მასალები.

სოფლის მეურნეობა

ბუჩები საქართველოს დასახმარებლად

ქართველი ოპოზიციონერები ამტკიცებენ, რომ ჩამოსახლებულ სამხრეთ აფრიკელ ფერმერებს მთავრობა საუკეთესო მიწებს ჩალის ფასად მისცემს, ადგილობრივ გლეხებს კი მწირმოსავლიანი ფართობები დარჩებათ.

მანანა ვარდიაშვილი

ბური ფერმერების საქართველოში ჩამოყვანის იდეა სახელმწიფო მინისტრს დიასპორის საკითხებში პაპუნა დავითაიას ეკუთვნის. ფერმერებთან მოსალაპარაკებლად სამხრეთ აფრიკაშიც დავითაია ჩავიდა. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი 2010 წლის აგვისტოში ფერმერთა გაერთიანების შეკრებაზე საგანგებო მემორანდუმით მივიდა. მემორანდუმის ტექსტი ასე იწყება: „ვლოცულობთ ჩვენი ქვეყნისა და მისი ხელმძღვანელობისთვის და გთხოვთ, აკურთხოთ მათი და ჩვენი გადაწყვეტილებები...“

ბური ფერმერების საქართველოში შესაძლო ჩამოსვლის თემას მოზრდილი სტატია მიუძღვნა ბრიტანულმა გაზეთმა The Independent-მა. გამოცემის თანახმად, სამხრეთ აფრიკელი ფერმერებისთვის საქართველო შესაძლოა, ახალ თავშესაფრად იქცეს.

„ჰოლანდიიდან ჩამოსახლებულების შთამომავლები ფიქრობენ, რომ მათი პრობლემების გასაღები საქართველოშია, რომელიც სამხრეთ აფრიკას, ღვინის წარმოებისა და შფოთიანი უახლესი ისტორიის გარდა, არაფრით ჰგავს. საქართველოს ხელისუფლება მათგან მიწების სანაცვლოდ სოფლის მეურნეობაში უახლესი მეთოდების, ცოდნის და გამოცდილების დამკვიდრებას ითხოვს“, – წერს The Independent.

„სოფლის მეურნეობის სფეროში ინვესტორებს ვეძებთ. საქართველო ისტორიულად ყოველთვის მიწათმოქმედი ქვეყანა იყო, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ეს ტრადიციები დავკარგეთ“, – ამბობს დავითაია The Independent-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ „საუკეთესო ფერმერების“ და მათი ცოდნა-გამოცდილების იმპორტი სოფლის მეურნეობას და მეღვინეობას კრიზისიდან გამოიყვანს.

საქართველოს აგრარული სექტორი ღრმა კრიზისშია: სოფლის მეურნეობის სფეროში საქართველოს მოსახლეობის 40%-ია დასაქმებული. ამავე დროს, ადგილობრივი აგროპროდუქციის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 8%-ია და ის შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12%-ს აკმაყოფილებს. მთავრობას იმედი აქვს, რომ გლობალური სასურსათო კრიზისის ფონზე, საკვებ პროდუქტებზე ფასების პერმანენტული ზრდის პრობლემას საქართველოში ბური ფერმერების ჩამოსახლებით დააბალანსებს. იმ შემთხვევაში, თუ ბურები საკუთარ მეურნეობებს სამხრეთ აფრიკიდან აქ გადმოიტანენ, ხელისუფლების წარმომადგენელთა პროგნოზით, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მშპ-ში 8-დან 20 პროცენტამდე გაიზრდება, ბურების მიერ წარმოებული პროდუქცია კი ადგილობრივ ბაზარსაც გააჯერებს და ექსპორტზეც გავა.

ბურებს სამხრეთ აფრიკაში კარგად განვითარებული მეურნეობები აქვთ — ისინი საკუთარი აგროპროდუქციით მთლიანად აკმაყოფილებენ ქვეყნის 50-მილიონიან მოსახლეობასაც და სამხრეთ აფრიკაში ჩამსვლელ მილიონობით ტურისტსაც. სამხრეთ აფრიკამ ბოლო წლებში მეღვინეობის სფეროში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. თუ ბურების მიგრაცია გაამართლებს, ქართველმა მეღვინეებმა, შესაძლოა, ამ წარმატებითაც ისარგებლონ.

ჰოლანდიელი ემიგრანტების შთამომავლებს სამხრეთ აფრიკაში ახლა რთული პერიოდი აქვთ. მძიმე კრიმინოგენულ

მდგომარეობას ისიც დაემატა, რომ ახალი ხელისუფლება მიწის რეფორმის ახალი პოლიტიკის გატარებას აპირებს. რეფორმა, ძირითადად, თეთრკანიანი ფერმერებისთვის მიწის ჩამორთმევას გულისხმობს. ბევრმა ფერმერმა საკუთარი მეურნეობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ უკვე გაიტანა.

ბური ფერმერების რამდენიმე დელეგაცია ქართული მხარის მოწვევით საქართველოს უკვე 4-ჯერ ეწვია. სამხრეთაფრიკელი ფერმერების დელეგაციამ საქართველოს ყველა რეგიონი მოინახულა. ისინი მთავრობას აგრარული რეფორმის გატარებაში კონსულტაციებითაც უნდა დაეხმარონ.

სამხრეთ აფრიკული პრესის ცნობით, რამდენიმე ათეულ ბურ ფერმერს აქვს გადაწყვეტილი, გადმოსახლდეს საქართველოში ან სამხრეთ აფრიკიდან მართოს აქ საკუთარი ბიზნესი. რამდენმა ბურმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მოქალაქეობის მისაღებად ან მიმართა თუ არა საერთოდ, ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ბური ფერმერებისგან ჯერჯერობით კონკრეტული წინადადებები არ მიუღიათ.

ჯერ არც ის არის გადაწყვეტილი, ფერმერებს მიწა საკუთრებაში გადაეცემათ თუ გრძელვადიან მფლობელობაში.

სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში პაპუნა დავითაია ამბობს:

„აქ საუბარია სამხრეთ აფრიკაში წარმატებულ, ჰოლანდიური, ბრიტანული და ფრანგული წარმოშობის ფერმერებზე. მათ შეუძლიათ შექმნან უამრავი სამუშაო ადგილი საქართველოში. შექმნან ეკონომიკის საკმაოდ დიდი სეგმენტი, რომელიც ძალიან წაადგება ჩვენს ბიუჯეტს. ეს ადამიანები თავიანთი ფერმერული ბიზნესებისთვის ეძებენ დივერსიფიკაციის გზებს. ეძებენ უფრო ახლო ადგილებს ევროპულ და აზიურ ბაზრებთან და კარგი იქნებოდა თუ ისინი გადმოიტანენ თავიან მეურნეობებს საქართველოში“.

ბურებისთვის საქართველოსთან შეგუება ადვილი არ იქნება; გარდა იმისა, რომ თბილისსა და პრეტორიას შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა არ არსებობს, საქართველოში სამხრეთ აფრიკისგან რადიკალურად განსხვავებული კლიმატური პირობებია, რაც ფერმერობის სრულიად განსხვავებულ მეთოდებს მოითხოვს.

2011 წლიდან საქართველოს მთავრობამ ბურებისთვის შექმნა ინტერნეტ-საიტი „სამხრეთ აფრიკელი ფერმერები საქართველოში“ – www.boers.ge. ეს საიტი საქართველოში გადმოსახლების მსურველ ბურ ფერმერებს ონლაინ რეჟიმში აძლევს საშუალებას, პრეზიდენტს საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად მიმართონ. აპლიკანტმა ამისთვის 36 კითხვას უნდა უპასუხოს. მთავრობას აინტერესებს, აპირებს თუ არა აპლიკანტი ბიზნესის საქართველოში გადმოტანას; როგორია მისი ბიზნესის წლიური ბრუნვა და შემოსავალი; ოჯახის რამდენი წევრი აპირებს გადმოსახლებას და სურს თუ არა მიწის შერჩევაში მთავრობის დახმარება.

განყოფილებაში „ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები“ პირველი კითხვა ასეთია: რა სიტუაციაა რუსებთან დაკავშირებით? პასუხი: „... ეს პროცესი სრულად კონტროლდება ევროკავშირის, ნატოს, აშშ-ს და დასავლეთის სხვა ქვეყნების მიერ“.

სამხრეთ აფრიკული პრესის ცნობით, რამდენიმე ათეულ ბურ ფერმერს აქვს გადაწყვეტილი, გადმოსახლდეს საქართველოში ან სამხრეთ აფრიკიდან მართოს აქ საკუთარი ბიზნესი. რამდენმა ბურმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მოქალაქეობის მისაღებად ან მიმართა თუ არა საერთოდ, ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებენ.

ცნობილია მხოლოდ ბურების შარშანდელი ვიზიტის შთაბეჭდილებები, რომელიც თხუთმეტგვერდიანი წერილის სახით გამოქვეყნდა. ციტატა წერილიდან:

„დღეისათვის საქართველოში საკვები პროდუქტების 70 პროცენტი იმპორტირებულია. მთავრობას სურს, მომავალი ხუთი წლის მანძილზე, ეს ციფრი 30 პროცენტამდე შემცირდეს. საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც იმპორტიდან დიდ ფულს იღებენ, ამიტომ ისინი არ იქნებიან ბედნიერები, თუ ჩვენ საკმარის საკვებს ვაწარმოებთ და ბაზრებს დავუნგრევთ. ჩვენს ფერმერებს აქვთ საშუალება, დაკავდნენ ბიზნესით სხვა კონტინენტზე, გაცილებით უსაფრთხო გარემოში. საქართველოში არის იმის პოტენციალი, რომ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სეგმენტში შევქმნათ წარმატებული ფერმერული მეურნეობები. ჩვენ გვაძლევენ საშუალებას, საქართველოში ვიყიდოთ 80 ათასი ჰექტარი მიწა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები ქვეყნის ათივე რეგიონშია ხელმისაწვდომი.“

ყველაზე მეტ კითხვას სწორედ ბურებისთვის მიწის მიყიდვის საკითხი იწვევს. საიტზე http://www.boers.ge. გამოქვეყნებული იყო იმ მიწის ნაკვეთების ამსახველი რუკები, რომლებსაც საქართველოს მთავრობა სამხრეთაფრიკელ ფერმერებს სთავაზობდა. მას შემდეგ, რაც ბევრმა მოქალაქემ ბურებისთვის შეთავაზებული მიწის ფონდში საკუთარი მიწის ნაკვეთი ამოიცნო, საიტიდან რუკები მოხსნეს. ბურებისთვის მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემის კონტექსტში განიხილება კიდევ ერთი საკითხი: ბოლო სამი თვის მანძილზე, პროკურატურამ მთელი საქართველოს მასშტაბით, ორ ჰექტარზე მეტი, უკვე პრივატიზებული მიწის ფართობების კანონიერების შესწავლა დაიწყო.

სამხრეთ აფრიკელმა ფერმერებმა ადგილობრივი ნიადაგის შესწავლაც დაიწყეს. ბურები საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელებას წლის ბოლომდე აპირებენ. ცნობილია, რომ ბურები ინვესტიციას, პირველ რიგში, მეცხოველეობის განვითარებაში ჩადებენ.

მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოება და საქართველო

როგორ გავზარდოთ საქართველოს ეკონომიკური ძალა?

ლევან ნატროშვილი, პატერსონის დიპლომატიისა და საერთაშორისო ვაჭრობის სკოლა, კენტუკის უნივერსიტეტი, აშშ

გლობალური ფინანსური კრიზისისა და რუსეთთან 2008 წლის ომის გამო, საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანი სირთულეები შეექმნა. მათი შემსუბუქება, ძირითადად, აშშ–ს, ევროპის კავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან სერიოზული დახმარების მიღებით მოხერხდა.

კრიზისებისაგან საქართველო არც მომავალშია დაცული. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ ისეთი ეკონომიკური კურსი და პოლიტიკა შეიმუშავოს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას მაქსიმალურად უზრუნველყოფს.

ეკონომიკური უსაფრთხოება პოლიტიკური, სამხედრო თუ სოციალური უსაფრთხოების საფუძველია და ის დამყარებულია ეკონომიკურ სიძლიერეზე – ძალაზე. ეკონომიკური ძალა შეიძლება იყოს აქტიური და პასიური. აქტიური ძალა მოიცავს ქვეყნის უნარს, სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური ბერკეტის საშუალებით გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნების ქმედებებზე მათთვის ზიანის მიყენების, ზიანის მიყენების დამუქრებით, დახმარების გაწევის, ან დახმარების გაწევის შეპირებით. პასიური ძალა გულისხმობს ქვეყნის უნარს, მაქსიმალურად შეზღუდოს მასზე სხვა ქვეყნების გავლენა, ანუ თავი დაიცვას სხვა ქვეყნების აქტიური ძალისგან.

საჭიროა, განვასხვავოთ ეკონომიკური ძალა ეკონომიკური სიმდიდრისა და კეთილდღეობისგან.

ეკონომიკურად მდიდარი ქვეყანა შესაძლოა, საერთოდ არ ფლობდეს ეკონომიკურ ძალას და სხვადასხვა კრიზისის დროს მისი ეკონომიკის მდგრადობა და უსაფრთხოება ძალზე სუსტი იყოს. მაგალითად, 2008 წლის კრიზისამდე ისლანდია და ირლანდია მსოფლიოში ერთ–ერთი მოწინავენი იყვნენ, როგორც ეკონომიკის ზრდის, ისე მოსახლეობის კეთილდღეობის კუთხით, თუმცა კრიზისმა გამოაჩინა, თუ რამდენად სუსტი იყო მათი ეკონომიკური უსაფრთხოება.

მცირე ქვეყნებისთვის აქტიური ეკონომიკური ძალის ფლობა, მათი შეზღუდული შესაძლებლოების გამო, ძალიან რთულია. შესაბამისად, საქართველომ მთავარი აქცენტი პასიური ეკონომიკური ძალის ჩამოყალიბებაზე უნდა გააკეთოს.

ეკონომიკური ძალის მაჩვენებლებია:

1. ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ). მიჩნეულია, რომ რაც უფრო ნაკლებია მშპ–თან მიმართებაში საგარეო

ვაჭრობის პროცენტული მოცულობა, მით უფრო ძლიერია ქვეყნის პასიური ეკონომიკური ძალა. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული ვაჭრობაზე. შესაბამისად, სხვა ქვეყნებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ შენს წინააღმდეგ გამოიყენონ ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, როგორიც არის ემბარგო, ბოიკოტი, და სავაჭრო ბარიერები, რადგან მსგავსი ნაბიჯები დიდი ეფექტის მომტანი ვერ იქნება.

აშშ ზესახელმწიფო არა მხოლოდ იმიტომ არის, რომ ეკონომიკური დოვლათის ყველაზე დიდი მწარმოებელია, არამედ იმის გამოც, რომ მშპ–სთან მიმართებაში ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პროცენტული თანაფარდობა მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე დაბალი (დაახლოებით 25%) აქვს. ეს ნიშნავს, რომ ამერიკელი ხალხი მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების უდიდეს ნაწილს თვითონვე მოიხმარს და ნაკლებად არის დამოკიდებული, როგორც ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე, ისე იმპორტულ ნაწარმზე.

ამ კუთხით საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა. საქსტატის ბოლო მონაცემებით, მშპ–თან საგარეო სავაჭრო ბრუნვის შეფარდება დაახლოებით 110%–ია, ანუ საგარეო ვაჭრობა მშპ–ს მოცულობას აღემატება 10%–ით.

2. იმპორტსა და ექსპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობა. ეკონომიკური ძალა უფრო დიდია, თუკი შენ მიერ ექსპორტირებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნა არაელასტიკურია, ხოლო იმპორტზე – პირიქით. ელასტიკურია ისეთი საქონელი ან მომსახურება, თუკი რაიმე ფაქტორის (ფასი, ეკონომიკური კრიზისი და სხვა) ცვლილების შედეგად მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად იკლებს. ელასტიკურობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის აღსანიშნავია:

- პროდუქცია ან მომსახურება სასიცოცხლო მოხმარებისაა, თუ ფუფუნების საგანს წარმოადგენს. მაგალითად, პური არის სასიცოცხლო მოხმარების პროდუქტი, რომელზე მოთხოვნაც ყოველთვის სტაბილური იქნება, მიუხედავად მისი გაძვირების ან სხვა გარემოების ცვლილებისა. პურისგან განსხვავებით, ოქრო არ არის სასიცოცხლო მოხმარების საგანი, რომლის ყიდვისგან თავის შეკავებაც გაცილებით ადვილია. აქედან გამომდინარე, პურზე მოთხოვნა არაელასტიკურია, ოქროზე კი – ელასტიკური.
- საქონელი ან მომსახურება რამდენად არის ადვილად ჩასანაცვლებელი. თუკი მათი შემცვლელები არ არსებობს, მაშინ პროდუქცია არაელასტიკურია და მასზე დამოკიდებულებაც ძლიერია. მაგალითად, „კოკა–კოლას“ ჩანაცვლება

ეკონომიკური უსაფრთხოება პოლიტიკური, სამხედრო თუ სოციალური უსაფრთხოების საფუძველია და ის დამყარებულია ეკონომიკურ სიძლიერეზე – ძალაზე.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის უდიდესი ნაწილი იმპორტს უკავია, რაც თავის მხრივ, ძალზე ზრდის სახელმწიფოს სამომხმარებლო დამოკიდებულებას სხვა ქვეყნებზე და ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სწორედ ამ ფაქტორის გამოა, რომ მსოფლიოში სურსათზე ფასების მატებამ ჩვენს ქვეყანაში უპრეცედენტო ინფლაცია გამოიწვია.

ადვილად შეიძლება „პეპსით“ ან სხვა გაზიანი გამაგრილებელი სასმელით, ამიტომ იგი ელასტიკურია, ხოლო ნავთობს დღესდღეობით სრულფასოვანი ალტერნატივა არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. სწორედ მისი არაელასტიკურობა განაპირობებს ნავთობით მდიდარი ქვეყნების დიდ ეკონომიკურ შემოსავლებს.

საქართველოს ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფები (ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილები, შავი ლითონის ჯართი) საკმაოდ არაელასტიკურია, რაც ეკონომიკური ძალისა და უსაფრთხოებისთვის ძალიან კარგია. თუმცა ამ კუთხით ორი პრობლემა მაინც არის: პირველი, ექსპორტის წილი საგარეო ვაჭრობაში ძალიან ცოტა –24%–ია და მეორე, ექსპორტში მოცულობით მეორე და მესამე სასაქონლო ჯგუფების წილი (მსუბუქი ავტომობილები და შავი ლითონების ჯართი) მომავალში არასტაბილური შეიძლება იყოს. კერძოდ, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი სომხეთთან თურქეთისა და აზერბაიჯანის მწვავე ურთიერთობების შედეგად უფრო სულდგმულობს. თუკი თურქეთი და აზერბაიჯანი სომხეთთან პრობლემებს მოაგვარებენ, მსუბუქი ავტომობილების სეგმენტი შესაძლოა სომხეთმა წაგვართვას. რაც შეეხება შავი ლითონის ჯართს, ახლო მომავალში მოსალოდნელია მისი მარაგების ამოწურვა.

ექსპორტის მხრივ, განსაკუთრებული პერსპექტივა ელექტროენერგიით ვაჭრობაშია. ამ ეტაპზე ექსპორტში მისი წილი მხოლოდ 2.7%–ია. ახალი ელექტრო სადგურებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობაზე საქართველოს მთავრობის მიერ აქცენტის გაკეთება ნამდვილად სწორი გადაწყვეტილებაა.

ცალკე საუბრის თემაა ტურიზმი. რა თქმა უნდა, ტექნიკურად იგი ექსპორტის კატეგორიაში ვერ ჩაჯდება, მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში დახარჯული ფული ექსპორტის ეფექტის მქონედ შეგვიძლია მივიჩნიოთ. ელასტიურობის კუთხით თუ შევხედავთ, ტურიზმი აშკარად ელასტიკურია. იგი არც სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტია და ალტერნატიული შემცვლელებიც საკმაოდ ბევრი აქვს სხვა ტურისტული ქვეყნების სახით. გარდა ამისა, ტურიზმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ეკონომიკური კრიზისების მიმართ.

საგარეო ვაჭრობის მეორე კომპონენტის – იმპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფებიც არაელასტიკურია, რაც, ექსპორტისგან განსხვავებით, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის ცუდია.

საქართველო საკმაოდ დიდი მასშტაბებით ახორციელებს ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტების იმპორტს, როგორიცაა ნავთობ-პროდუქტები, ხორბალი და სხვა საკვები პროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები და ა.შ.

3. მონოპოლია. თუკი ქვეყანა გარკვეულ მნიშვნელოვან პროდუქტზე მიწოდების მონოპოლიას, ან დიდ წილს ფლობს, მისი, როგორც პასიური, ისე აქტიური ძალა იზრდება. ევროკავშირის მიმართ ბუნებრივი აირის სახით მსგავსი ტიპის ძლიერი ენერგეტიკული ბერკეტი გააჩნია რუსეთს. სწორედ ეს სიტუაცია განაპირობებს საქართველოს პერსპექტივას, ფლობდეს არამარტო პასიურ, არამედ აქტიურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას. რუსული გაზის ყველაზე რეალური ალტერნატივა „ნაბუქოს“ სახით სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი პოტენციური გაზსადენია. სატრანზიტო პოტენციალს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვნად გაზრდა შეუძლია.

მონოპოლიის მსგავსი უპირატესობების მოპოვება სპეციალური სავაჭრო შეღავათების მიღებითაც არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ევროკავშირთან თავისუფალმა ვაჭრობამ საქართველოს ეკონომიკური ძალის საგრძნობი გაზრდა შეიძლება მოუტანოს.

4. ექსპორტ–იმპორტისა და სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია. მიჩნეულია, რომ რაც უფრო ბევრი სახეობის საქონლისა და მომსახურების ექსპორტს ან იმპორტს ახორციელებს ქვეყანა, ასევე რაც უფრო მეტი სავაჭრო პარტნიორი ჰყავს, მით უფრო დიდია მისი პასიური ეკონომიკური ძალა. ვაჭრობისა და სავაჭრო პარტნიორების მრავალფეროვნება სხვა ქვეყნებს შენზე დიდი გავლენის მოპოვების საშუალებას არ აძლევს.

ჩვენი ქვეყნის ექსპორტის თითქმის 50% სულ 5 სასაქონლო ჯგუფზე და 4 სავაჭრო პარტნიორზე მოდის, რაც ძალიან ცუდი მაჩვენებელია. ასეთი ძლიერი დამოკიდებულების უარყოფითი მხარეები 2006 წელს რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესების შემდეგ გამოჩნდა, როდესაც ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი წამყვანი საექსპორტო საქონლის (ღვინო, მინერალური წყალი და სხვა) გაყიდვები კატასტროფულად დაეცა.

5. საერთაშორისო სავალუტო რეზერვები. რაც უფრო მეტ უცხოურ სავალუტო რეზერვს ფლობს ქვეყანა, მით უფრო ძლიერი ბერკეტი აქვს მას საგარეო შოკებისგან თავის დასაცავად. შესაბამისად, მისი პასიური ეკონომიკური ძალა იზრდება.

შევაჯამოთ ძირითადი საკითხები, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას:

- უნდა შემცირდეს მშპ–სთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვის პროცენტული მაჩვენებელი, განსაკუთრებით, იმპორტის ხარჯზე. საჭიროა ექსპორტ–იმპორტის დაბალანსება და შიდა მოხმარების სტრუქტურაში ადგილობრივი პროდუქციის წილის გაზრდა. ამ მხრივ, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობას;
- მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ექსპორტზე გავიტანოთ ისეთი პროდუქცია, რომელზე მოთხოვნაც არაელასტიკურია და შემოვიტანოთ ისეთი საქონელი, რომელზე მოთხოვნაც ელასტიკურია. საჭიროა, შემუშავდეს სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკა, რათა წახალისდეს პირველ რიგში ეკონომიკის ის სფეროები, რომლებიც არაელასტიკურობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.
- უმნიშვნელოვანესია ექსპორტ/იმპორტისა და სავაჭრო პარტნიორების შემდგომი დივერსიფიკაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დებულების 100%–ით შესრულება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება, თუმცა თუ გვსურს, გრძელვადიან ეკონომიკურ კეთილდღეობას მივაღწიოთ, მათი გათვალისწინება აუცილებელია. სტაბილური ეკონომიკური წინსვლა, ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოს მშენებლობა ეკონომიკური უსაფრთხოების გარეშე წარმოუდგენელია.

ჩვენი ქვეყნის ექსპორტის თითქმის 50% სულ 5 სასაქონლო ჯგუფზე და 4 სავაჭრო პარტნიორზე მოდის, რაც ძალიან ცუდი მაჩვენებელია. ასეთი ძლიერი დამოკიდებულების უარყოფითი მხარეები 2006 წელს რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესების შემდეგ გამოჩნდა.

საჯარო ინფორმაცია

საიდუმლო საჯარო დოკუმენტები

ინფორმაცია საქართველოში თავისუფალია, თუმცა, მისი განზრახ დამალვის გამო, არავინ ისჯება.

მანანა ვარდიაშვილი

ორი თვეა, ვებგვერდზე www.opendata.ge გროვდება ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც ნებისმიერ მედიასაშუალებას დიდ ძალისხმევად უჯდება და ხშირად ვერც ახერხებს.

ინფორმაცია სამინისტროებიდან, პრეზიდენტის კანცელარიიდან და სხვა სახელმწიფო უწყებებიდან – ახლად გახსნილი საიტი ერთადერთი სივრცეა, რომელიც საჯარო ინფორმაციის რეესტრის ფუნქციას ასრულებს და სახელმწიფო უწყებებიდან მოპოვებულ საჯარო ინფორმაციას აქვეყნებს.

თუმცა, პროექტის ავტორი – არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ ქართული რეალობისთვის ჩვეული და გადაულახავი პრობლემების წინაშე უკვე დადგა: მას ისევე, როგორც ბევრ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციას და მედიასაშუალებას, სახელმწიფო დაწესებულებები გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას არასრულად, ან საერთოდ არ აწვდიან.

მიუხედავად ამისა, www.opendata.ge-ს ამოქმედებას პოზიტიური შედეგი მაინც აქვს: ვებპორტალი მის მიერ მოპოვებული მწირი და არასრულყოფილი საჯარო ინფორმაციით საქართველოს მთავრობის ანგარიშვალდებულების ყველაზე ზუსტ და უტყუარ საზომს წარმოადგენს.

თუკი მის უწყებებში დაცული ინფორმაცია მოქალაქეებისთვის ხელმიუწვდომელია, ასეთ სახელმწიფოს იშვიათად უწოდებენ დემოკრატიულს. ინფორმაციის თავისუფლება, რომელიც 2005 წელს ადამიანის სხვა ფუნდამენტურ უფლებებს გაუტოლეს, დღევანდელ მსოფლიოში ის იარაღია, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს ქვეყნის მართვაში მოსახლეობის ჩართულობას და საზოგადოების მიერ ხელისუფლების მუდმივ კონტროლსაც.

ინფორმაციის თავისუფლება და, შესაბამისად, საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაცაა.

კონსტიტუციის 24-ე მუხლი: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“.

კონსტიტუციის 41-ე მუხლი: „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში

მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“.

კონსტიტუციით დამკვიდრებული პრინციპების უზრუნველსაყოფად 1999 წელს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მიიღეს. კოდექსი შეიცავს სპეციალურ თავს „ინფორმაციის თავისუფლების“ შესახებ.

ამ ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, საჯაროა: „ყველა ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „Article 19“ თავის 2005 წლის ანგარიშში – „სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ“ აღნიშნავდა, რომ: „საქართველო იყო სამხრეთ კავკასიაში მოწინავე სტანდარტების დამამკვიდრებელი ქვეყანა, რომელმაც 1999 წელს პირველმა მიიღო საკმაოდ განვითარებული ინფორმაციის თავისუფლების აქტი“.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის თავისუფლების ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, რეალურად ინფორმაციის სრული დახურვის ტენდენცია შეინიშნება.

„უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაცია საქართველოში ტოტალურად გასაიდუმლოვდა. ეს პროცესი უწყვეტად გრძელდება. რიგ შემთხვევებში ეს კანონიერად ხდება, მაგრამ უფრო ხშირად ინფორმაცია აბსოლუტურად დაუსაბუთებლად იხურება. სახელმწიფო მოხელეთა დიდი ნაწილი კანონს თვითნებურად განმარტავს“, – ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი თამარ კორძაია.

„თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროები, თბილისის მერია და საქალაქო სასამართლო – ეს ის უწყებებია, საიდანაც საჯარო ინფორმაციის მიღება ძალიან რთულია. ხოლო თუ ფინანსებთან ან სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ვითხოვ, მისი მიღება კიდევ უფრო რთულდება“, – ამბობს სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტი გიორგი მგელაძე.

„მაგალითად, გვქონდა ასეთი ინფორმაცია, რომ 2008 წლის ომის შემდეგ სახელმწიფომ რამდენიმე შპს-ს ომის შედეგად მიყენებული ზარალი აუნაზღაურა. ამ საკითხზე ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს მოვთხოვეთ, თუმცა ვერ მივიღეთ. ადმინისტრაციული საჩივარიც დავწერე, მაგრამ არც საჩივარი განიხილეს. ასეთი მაგალითი უამრავია. ყველაზე კარგ შემთხვევაში არასრულყოფილ ინფორმაციას ვიღებთ“, – დასძენს გიორგი მგელაძე.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ „დახურული“ სახელმწიფო უწყებების ჩამონათვალს შემდეგ სამინისტროებსაც უმატებს: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო.

ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, რეალურად კი ინფორმაციის სრული დახურვის ტენდენცია შეინიშნება.

თანამშრომლობის დიდი სურვილით არ გამოირჩევა არც თბილისის მერია, პრეზიდენტის კანცელარია და საქართველოს პარლამენტი.

სახელმწიფო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გაცემას ამ უწყებების პირველი პირები არეგულირებენ, თუმცა, ძირითადად – საკუთარი გუნება-განწყობისა და ინფორმაციის მომთხოვნი პირისადმი პირადი დამოკიდებულების შესაბამისად.

მინისტრებს იმის უფლებაც აქვთ, რომ კანონზე მაღლა დადგნენ. მაგალითად, არც ერთ საკანონმდებლო რეგულაციაში არ ჯდებოდა ის, რაც 2010 წლის დასაწყისში განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა ბრძანა. მან სამინისტროს თანამშრომლებს, სკოლის დირექტორებს და მასწავლებლებს ჟურნალისტებთან და სხვა გარეშე პირებთან პირდაპირი ურთიერთობა აუკრძალა. მათ ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ნებართვით შეეძლოთ. მინისტრის ამ დირექტივის უტოპიურობაზე მიუთითებს ის, რომ მისი ბრძანების პრაქტიკაში გატარება, ნაწილობრივ, შეუძლებელი აღმოჩნდა – სკოლის დირექტორებიცა და მასწავლებლებიც, ხშირ შემთხვევაში, თავიანთ სათქმელს სამინისტროს პრესსამსახურს არ უთანხმებენ, თუმცა, მედიასთან ვინაობის გამხელაზე ასეთ შემთხვევაში, უარს ამბობენ.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა სამინისტროს ოფიციალური საიტიც შეცვალა. საიტზე აღარ არის სტატისტიკური ინფორმაცია სკოლების რაოდენობის, რეგიონული განაწილების, სწავლების ენის, მოსწავლეების რაოდენობისა და სქესის მიხედვით. მოიხსნა 2004-09 წლებში გამოცემული კვლევის ანგარიშებიც, წლიური ანგარიშები, სტრატეგიული დოკუმენტები, კონცეფციები, საერთაშორისო ექსპერტების მიერ განათლების სისტემის შეფასების დოკუმენტები.

ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც დიმიტრი შაშკინის მინისტრობამდე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყო, საიტიდან გაქრა. სამაგიეროდ, გამოჩნდა ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, სადაც ის წონის დაკლების საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს.

www.opendata.ge-ის ამოქმედებით გამოიკვეთა – სახელმწიფო უწყებები საჯარო ინფორმაციას განსხვავებული სენსიტიურობით ეპყრობიან. მაგალითად, ამ პროექტის ავტორებს ინფორმაცია თანამდებობის პირთა საპრემიო

ფონდის შესახებ სრულყოფილად და დროულად მიაწოდეს: რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა. იმავე ინფორმაციის გაცემაზე კი საერთოდ უარი თქვეს: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებმა და საქართველოს პარლამენტმა. მათ კონსტიტუციის 41-ე მუხლზე მიუთითეს და განმარტეს, რომ ფინანსებთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაცია გამოქვეყნებას არ ექვემდებარება.

ARTICLE 19–ის ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის პრინციპები, 1999 წ.

ინფორმაცია დემოკრატიის ჟანგბადია. თუ ხალხმა არ იცის, რა ხდება საზოგადოებაში, თუ მმართველთა ქმედებები დაფარულია მათთვის, მაშინ მათ არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ამ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებში. ამასთან, ინფორმაცია მხოლოდ ხალხისთვის არ არის აუცილებელი – ის კარგი მმართველობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მხოლოდ ცუდ მმართველობას სჭირდება გასაიდუმლოება თავის გადასარჩენად, რადგან საიდუმლოება არაეფექტურობის, ფლანგვისა და კორუფციის გარანტია.

„ეს აპრობირებული პრაქტიკაა. სამწუხაროდ, პარლამენტმაც კი ამ მუხლზე მიგვითითა“, – ამბობს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ლევან ავალიშვილი. მისი თქმით, ჯანმრთელობის სამინისტრომ მხოლოდ ნაწილობრივ გასცა პასუხი მათ განცხადებას და კითხვას თანამდებობრივი სარგოების, ავტოპარკის ხარჯებისა და საკომუნიკაციო ხარჯების შესახებ არასრული ინფორმაციით უპასუხა. მოთხოვნა საპრემიო ფონდის შესახებ კი საერთოდ უპასუხოდ დატოვა.

2011 წლის 6 იანვარს www.opendata.ge-ს წარმომადგენლებმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კიდევ ერთხელ მიმართეს და გამოითხოვეს მინისტრის ბრძანებები მინისტრისთვის და სხვა თანამშრომელთათვის პრემიების დანიშვნის შესახებ. იგივე ინფორმაცია ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიდანაც მოითხოვეს. ორივე უწყებიდან წერილობითი უარი მიიღეს და ორივე შემთხვევაში კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით იყო დასაბუთებული: ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასა და ფინანსებთან, თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე ხელმისაწვდომი არ გახლავთ.

თუმცა, არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტიც, რომლის თანახმადაც „თანამდებობის პირის პერსონალური მონაცემები“ ღიაა. თანამდებობის პირად კი ითვლება ყველა – მინისტრი, მინისტრის მოადგილეები და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. ანუ გამოდის, რომ მათ შესახებ არსებული პერსონალური ინფორმაცია ექვემდებარება გაცემას ისე, რომ თანამდებობის პირებისგან თანხმობას არ საჭიროებს.

ამ მუხლების დაპირისპირება საკანონმდებლო ბაზაში დატოვებული ხვრელის კლასიკური მაგალითია, რითაც შემდეგ იოლად მანიპულირებენ დაინტერესებული უწყებები და პირები.

საჯარო ინფორმაციის თავისუფლება ბოლო დროს იმითაც იზღუდება, რომ სამეწარმეო რეესტრის მომსახურება ფასიანი გახდა. უკვე ერთი წელია, რეესტრიდან სულ 3-გვერდიანი ამონაწერის გაკეთებაც რომ დაგჭირდეთ, 15 ლარი უნდა გადაიხადოთ.

„ზოგიერთი ჟურნალისტური გამოძიების დროს ფირმების დამფუძნებლების ვინაობა რომ გამეგო, სამეწარმეო რეესტრიდან ინფორმაციის მიღებაში 200 ლარიც გადამიხდია. ეს დიდ ტვირთად აწვება ჩვენს ორგანიზაციას და ადმინისტრაციული ხარჯების დიდი ნაწილი სწორედ საჯარო რეესტრში მიდის“, – ამბობს გიორგი მგელაძე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირია და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, უფლება აქვს, მომსახურებაზე გადასახადი დააწესოს, თუმცა, იურისტი თამარ კორძაია მიიჩნევს, რომ ეს გადასახადი მაინც შეუსაბამოდ დიდია. „დიდია თუნდაც იმიტომ, რომ საჯარო რეესტრი მის მიერ მიღებულ ინფორმაციას ნებისმიერ შემთხვევაში ამუშავებს და მოქალაქეთა მხრიდან ინფორმაციის გამოთხოვას არ ელოდება. ასეთი დიდი მოსაკრებლის დაწესება ინფორმაციის მოპოვების შეზღუდვად უნდა განვიხილოთ“, – განმარტავს თამარ კორძაია.

ლევან ავალიშვილი ფიქრობს, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საქართველოში საჯარო ინფორმაციის მოპოვება იზღუდება, თვითონ სამოქალაქო სექტორის პასიურობაა. არასამთავრობო ფრთა არ მიიჩნევს, რომ მის მიერ არჩეული ხელისუფლება ანგარიშვალდებულად უნდა აქციოს. სახელმწიფო უწყებები კი, თავის მხრივ, მედიასაშუალებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს დაპირისპირებულ მხარედ აღიქვამენ. „როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ გარკვეული ფაქტების, მაგალითად, გაზრდილი ხარჯების გამოაშკარავება მათ იმიჯზე უარყოფითად აისახება. სამწუხაროდ, ვერ ხვდებიან, რომ საჯარო სამსახური საზოგადოების სამსახურია და რაც უფრო ანგარიშვალდებული იქნებიან, მით უფრო მეტი ნდობა ექნებათ მოსახლეობის მხრიდან“, – დასძენს ავალიშვილი.

თუმცა, ყველაზე მთავარი პრობლემა, რომლის მოგვარებაც საერთო სურათს საგრძნობლად შეცვლიდა, ერთი საკანონმდებლო ხარვეზია. ადმინისტრაციული კანონმდებლობა არავითარ პასუხისმგებლობას არ აკისრებს იმ საჯარო მოხელეებს, რომელთაც ინფორმაციის გაცემა კანონით ევალებათ. ეს დარღვევა ადმინისტრაციულ გადაცდომად არ ეთვლებათ და ამიტომ არც ინფორმაციის დახურვის გამო ისჯება ვინმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეალურად საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების დაცვის სამართლებრივი და საკანონმდებლო გარანტიებიც კი ძალზე სუსტია.

თბილისში რკინიგზის გაუქმებას აპირებენ. გავაუქმებინოთ?

ვნახოთ, რას გვპირდება რკინიგზის თბილისის ზღვის გადაღმა გადატანა.

ზურაბ ბაქრაძე, ქალაქმგეგმარებელი, არქიტექტორი

„ქალაქის ცენტრია იქ, სადაც რკინიგზის ცენტრალური სადგურია“. „გერმანიის რკინიგზის“ ეს სარეკლამო ფრაზა ზუსტად გამოხატავს დიდი ევროპული ქალაქების დამოკიდებულებას რკინიგზის მიმართ. დიდი ქალაქის ცენტრალურ სადგურში იკვეთება უამრავი ადამიანის ყოველდღიური მარშრუტი, რაზეც ვაჭრობა ბუნებრივად რეაგირებს ობიექტების დიდი კონცენტრაციით და რკინიგზის სადგურს ქალაქის ცენტრის მაცოცხლებელ, განუყოფელ ნაწილად აქცევს.

საქართველოში რკინიგზის სადგურების ქალაქურ ცხოვრებასთან ინტეგრაციის დაბალი დონე, ძირითადად, საბჭოეთის მემკვიდრეობაა. პირადი ინიციატივის ჩახშობას, სხვა მძიმე შედეგებთან ერთად, ადამიანთა მობილურობის დაქვეითებაც მოჰყვა. დღეს ჩვენთან ამას ხალხის სიდუხჭირეც უწყობს ხელს. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მოქალაქეთა თავისუფლების ხარისხის, მათი კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე მათი მობილურობაც გაიზრდება და რკინიგზაც შეასრულებს ქალაქების ცენტრებისთვის იმ მაცოცხლებელ ფუნქციას, რომელიც მას ევროპაში აქვს.

ამის მიუხედავად, თბილისის ხელისუფლება ქალაქის გამჭოლ სარკინიგზო ხაზს თავისი ცენტრალური სადგურიანად სწორედ მის ბირთვში აუქმებს, თან ამას „21-ე საუკუნის პროექტს“ უწოდებს და გვპირდება, რომ თბილისს ეს ძალიან წაადგება – დიდუბეში გამოთავისუფლებული რკინიგზის მეურნეობის 73 ჰექტარ ტერიტორიას ქალაქი უფრო ეფექტიანად გამოიყენებს, გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა, განიტვირთება და გამთლიანდება რკინიგზით გაყოფილი ქალაქი. სანაცვლოდ კი აშენდება რკინიგზის შემოვლითი ხაზი თბილისის ზღვის გადაღმა.

ეს იდეა ხელისუფლების წრეში ჯერ კიდევ ზურაბ ჭიაბერაშვილის მერობის დროს გაჩნდა. როგორც ამბობდნენ, მისი ავტორი ერთი ისრაელელი არქიტექტორი იყო, რომელიც ქალაქის ახლად მოსულ მთავრობას რჩევებს აძლევდა. საქმეში ჩახედულთათვის მაშინვე ნათელი იყო, რომ ეს რჩევები ქალაქგეგმარებით კომპეტენციას მოკლებული იყო, რაც ამ იდეაშიც კარგად ჩანდა. საქმეში ჩაუხედავებმა კი იდეა, რა თქმა უნდა, აიტაცეს. თუმცა ეს წამოწყება, ხელისუფლების კულუარებიდან გამოჟონილი ხმების მიხედვით, მაშინ იმან შეაფერხა, რომ ჭიაბერაშვილის მცდელობა, დასავლეთში მოეძიებინა პროექტის განსახორციელებელი სახსრები, უშედეგოდ დამთავრდა. და აი, შარშან გამოცხადდა, რომ რკინიგზას გადაიტანენ და ამისთვის 280 მილიონი ევროა მოძიებული: 100 მილიონი ევრო – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხი (ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, სესხს საქართველოს ცენტრალური მთავრობა იღებს, რაც, ალბათ, გადასახადების

რკინიგზის სადგური, თბილისი, თებერვალი 2011

ფოტო: თეთი ბარიშვილი

გადამხდელთა დასაბრუნებელი იქნება), 100 მილიონი – ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხი და 80 მილიონი – „საქართველოს რკინიგზის“ ინვესტიცია.

ამ თანხით ჩაფიქრებულია სარკინიგზო ხაზის აღება დიდუბისა და ნავთლუღის სადგურებს შორის, მის ადგილას კახეთის გზატკეცილისა და ცოტნე დადიანის ქუჩის შემაერთებელი ავტომაგისტრალის აშენება და გაუქმებულის ნაცვლად რკინიგზის ახალი სატრანზიტო ხაზის გაყვანა თბილისის ზღვის გადაღმა, ზემო ავჭალასა და ლილოს შორის (ტრანზიტის უზრუნველსაყოფად ასევე საჭირო გახდება ბაქოს მიმართულების დაკავშირება ლილოსთან, რომელიც რკინიგზის კახეთის მიმართულებაზეა).

პროექტირება 2010 წლის ივნისში უნდა დაწყებულიყო, მშენებლობა კი უკვე – სექტემბერში (სრულიად წარმოუდგენელია ამ ვადაში მშენებლობის დაწყებისთვის აუცილებელი ყველა საპროექტო სტადიის დამუშავება და მათი ლეგიტიმაციის აუცილებელი პროცედურების გავლა).



უფრო მეტის გაგება ამ კოლოსალური ამოცანის შესახებ, რომლის წინაშეც ხელისუფლებამ საზოგადოება დააყენა, შეუძლებელია. მოქალაქეებს არ მიეცათ საშუალება, გასცნობოდნენ ისეთ ქალაქმშენებლურ საპროექტო მასალას (ვშიშობ, რომ ასეთი საერთოდ არ არსებობს), რომელიც პროექტზე მკაფიო წარმოდგენას შეუქმნიდათ და ამ წამოწყების მიმართ პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდათ.

მოდი, იქნებ ნაწილობრივ მაინც შევავსოთ ეს ხარვეზი.

თბილისი მცხეთა-გარდაბნის აგლომერაციის ცენტრალური ნაწილია. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს ყოველდღიური სატრანსპორტო კავშირები მცხეთას, თბილისს, რუსთავსა და გარდაბანს შორის. ამ კავშირებიდან ყველაზე ინტენსიური კი თბილისის ბირთვზე, ე.ი. იმ არეალზე მოდის, სადაც რკინიგზის დიდუბე-ნავთლუღის მონაკვეთია თბილისის ცენტრალური სადგურით. ამას ემატება ასევე ყოველდღიური კავშირები საგარეჯოსთან და ბოლნის-მარნეულთან.

მსოფლიო გამოცდილების მიხედვით აგლომერაციებისა და დიდი ქალაქების შიდა კავშირებისთვის საუკეთესოა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამსაფეხურიანი სისტემა. ამ სისტემის უმაღლეს საფეხურს ქმნის საგარეუბნო რკინიგზა თავისი მაღალი სიჩქარითა და გაჩერებებს შორის დიდი ინტერვალებით. ერთი საფეხურით ქვევითაა მეტრო, ხოლო უდაბლესი

> **დიდუბიდან სარკინიგზო მეურნეობის გადატანას სარკინიგზო ხაზის გაუქმებასთან არავითარი კავშირი არ აქვს და ამის გაკეთება მისგან დამოუკიდებლადაც შეიძლება.**

დონეა ტრამვაი და ავტობუსი (ზოგან ტროლეიბუსიც).

ამდენად, თუ ამ გამოცდილებას გავიზიარებთ, არსებული გამჭოლი სარკინიგზო კავშირი მცხეთასა და გარდაბანს შორის თავისი განშტოებებით საგარეჯოსა და მარნეულისკენ, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების უმაღლესი საფეხური, აუცილებელია შიდასააგლომერაციო მიმოსვლის ოპტიმალური ორგანიზებისთვის და მისი გაწყვეტა არ შეიძლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ქალაქებისა და აგლომერაციების სატრანსპორტო მომსახურებაში გადამწყვეტი ადგილი საზოგადოებრივ ელექტროტრანსპორტს უკავია, რადგან იგი გაცილებით უფრო ეკოლოგიურია პერსონალურ და საზოგადოებრივ ავტოტრანსპორტთან შედარებით. ჩვენ, საბედნიეროდ, უკვე გვაქვს ელექტროფიცირებული რკინიგზის ქსელი სატრანსპორტო მომსახურების ზემოთ აღნიშნული უმაღლესი საფეხურის გასამართავად და მას, მოდერნიზაციის მაგივრად, გაუქმებას ვუპირებთ. ასევე გვქონდა ტრამვაის შიდასაქალაქო ქსელიც, რომელიც მოვშალეთ და ახლაღა ვიცემთ თავში ხელს, როცა ვგრძნობთ, რომ ავტობუსების გამონაბოლქვისგან სული გვეხუთება.

ახლა ვნახოთ, რამდენად მოხერხებული იქნება რკინიგზით მგზავრობა ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში. თუ გარსშემოსავლელი ხაზი ზემო ავჭალასა და ლილოს შეაერთე-

ფოტოები თეიმურ ბარქაიას(ალ)

ბს, არსებულ ხაზს კი დიდუბისა და ნავთლუღის სადგურებს შორის მოშლიან, გამოვა, რომ ავჭალა-დიდუბისა და ლილო-ნავთლუღის მონაკვეთები ჩიხებად იქცევიან. ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ მგზავრები, რომლებიც თბილისამდე ტრანზიტული მატარებლებით იმგზავრებენ (მაგ. ბაქო-სოჭი ან ფოთი-ერევანი), სხვა მატარებლებში ან ზემო ავჭალაში და ლილოში უნდა გადასხდნენ, მივიდნენ დიდუბეში ან ნავთლუღში და აქ კიდევ ერთხელ გადასხდნენ საქალაქო ტრანსპორტში ცენტრამდე მისაღწევად, ან ავჭალაშივე და ლილოშივე გადასხდნენ საქალაქო ტრანსპორტში. იგივე იქნება საპირისპირო მიმართულებით მიმავალ მგზავრთათვისაც.

რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ამას? ამით თბილისელებისა და მათი სტუმრებისთვის მატარებლით მგზავრობა საჰაერო მგზავრობისთვის დამახასიათებელ უხერხულობას შეიძენს, როცა აეროპორტში მისასვლელად ხშირად მეტი დროა საჭირო, ვიდრე – თვითონ ფრენისთვის.

რაც შეეხება საგარეუბნო მიმოსვლას, ამ ფუნქციას რკინიგზა თითქმის მთლიანად დაკარგავს, რადგან გადაჯდომების რიცხვი იმდენად გაიზრდება, რომ მატარებელი ავტობუსს კონკურენციას ვეღარ გაუწევს, რაც ისევ და ისევ ქუჩების გადატვირთვასა და გარემოს დაბინძურებაში გამოიხატება.

რა თქმა უნდა, მართალია, რომ დიდუბის სარკინიგზო მეურნეობის ქალაქის პერიფერიაზე გადატანა და ამ ტერიტორიის გონივრული გამოყენება კარგი იქნება.

მართალია, რომ ტრანზიტული სარკინიგზო ტვირთებისთვის განკუთვნილი გარსშემოსავლელი ხაზი ქალაქს განტვირთავს.

მართალია, რომ ქალაქს დამატებითი გრძივი საავტომობილო მაგისტრალი სჭირდება, რომლის ადგილიც ისტორიულ ქალაქში არაა და მისთვის რკინიგზის ზოლის გამოყენება ამ პრობლემას გადაჭრიდა.

მართალია ისიც, რომ რკინიგზით გაყოფილი ქალაქის გამთლიანება საშური საქმეა და ისიც, რომ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა გამოსასწორებელია.

ერთი რამეა მხოლოდ მცდარი – თითქოს, ამ პრობლემების გადაჭრას დიდუბე-ნავთლუღის სარკინიგზო ხაზის მოშლა სჭირდებოდეს.

დიდუბიდან სარკინიგზო მეურნეობის გადატანას სარკინიგზო ხაზის გაუქმებასთან არავითარი კავშირი არ აქვს და ამის გაკეთება მისგან სრულიად დამოუკიდებლადაც შეიძლება.

ასევეა ტრანზიტული სარკინიგზო ტვირთებისთვის გარსშემოსავლელი ხაზის მშენებლობის შემთხვევაშიც, რომელთა რაოდენობაც რკინიგზისთვის აფხაზეთის გახსნისა და ფოთი-ბურგასის საბორნო კავშირის სრული ამოქმედების მერე მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამას კი თბილისის გამჭოლი ხაზი აშკარად ვეღარ გაუძლებს.

არც ავტომაგისტრალის გაყვანას სჭირდება რკინიგზის მოშლა. ამის გაკეთება რკინიგზის ხაზთან კომბინირებითაცაა შესაძლებელი. ასეთი პროექტი, რომელიც რკინიგზას, ავტომაგისტრალსა და მასთან გადამკვეთ განივ სატრანსპორტო კავშირებს ერთ ლოკალურ სატრანსპორტო სისტემად აერთიანებდა, 70-იანი წლების ბოლოს დამუშავდა თბილისში და ცხადია, რომ დღეს მისი განხორციელება ბევრად უფრო რეალისტურია, ვიდრე – მაშინ.

რაც შეეხება ეკოლოგიურ მდგომარეობას, ბუნებრივია, რომ იგი კიდევ უფრო გაუარესდება ელექტროტრანსპორტის საავტომობილოთი ჩანაცვლების გამო.

აი, ასეთი პირი უჩანს თბილისში რკინიგზის გაუქმების საქმეს.

რა ვქნათ, გავაუქმებინოთ?

ფოტოები ზურა ქერქაძისა

ქართული მოდის ინდუსტრია

ო, მოდა, მოდა!

ქვეყანაში, სადაც მოდის კვირეულის ტრადიცია ჯერ ერთი წლისაც არ არის, ერთ თვეში რიგით მეხუთე კვირეული გაიმართება. ვიდრე მოსაწვევები გლამურულ შოუებზე დასასწრებად ისევ დარიგდება, ვნახოთ, რით ცოცხლობს კვირეულებს შორის შუალედებში ქართული მოდის ინდუსტრია.

ნინო ჩიმაკაძე, მონიკა ელენა

„მოდა სიმახინჯის ჩვეულებრივი ფორმაა, თანაც, ისეთი აუტანელი, რომ ექვს თვეში ერთხელ თუ არ გამოცვალე, ვერ გაუძლებ“.

ოსკარ უაილდის ეს სიბრძნე საქართველოში ბოლო დროს მეტად სერიოზულად აღიქვეს. მხოლოდ შარშან „ქართული მოდა“ ოთხჯერ გამოიცვალა: ჩატარდა ოთხი მოდის კვირეული, ორი სხვადასხვა ჯგუფის მიერ ორგანიზებული.

მოდის პირველი კვირეული – Georgian Fashion Week – 2010 წლის 26 მარტს გაიხსნა. ერთ თვეში ქართველი დიზაინერების შემოდგომა-ზამთრის სეზონის კოლექციები ისევ გამოიფინა, ამჯერად თბილისის მოდის კვირეულის სახელით, სხვა შენობაში და განსხვავებული ჯგუფის ორგანიზებით. თუ პირველი ღონისძიება პარიზში მოღვაწე დიზაინერმა ირაკლი ნასიძემ გახსნა, მეორის ორგანიზატორები ამაყობდნენ იმით, რომ მათ სტუმრებს ვიდეოჩანაწერით თავად რობერტო კავალი მიესალმა.

გლამურული შოუ, რომელზეც ქართველი დიზაინერები თავიანთ უახლეს ნამუშევრებს წარმოადგენენ, ერთ თვეში ისევ გაიმართება. და ისევ ორჯერ.

თუმცა, ვიდრე მოსაწვევები ხელახლა დარიგდება, საინტერესოა, შოუებს შორის პერიოდში ცოცხლობს თუ არა საერთოდ ქართული მოდის ინდუსტრია?

ქართული მოდის პარადოქსი კი ისაა, რომ ბაზარზე მოთხოვნას კლიენტები კი არა, ერთჯერადი, თუნდაც მსხვილმასშტაბიანი ღონისძიება ქმნის. დიზაინერები კი საკუთარ ნამუშევრებს წელიწადში ოთხჯერ გამართული მოდის კვირეულებისთვის უფრო ქმნიან, ვიდრე – კონკრეტული მომხმარებლისთვის.

თამუნა ინგოროყვას კოლექციიდან

გოგა ნიქაბაძის კოლექციიდან

ჭავჭავაძის გამზირზე, „პიქსელის“ სავაჭრო ცენტრში, ერთი თვეა, რაც ერთ, მომცრო ზომის ოთახში „თბილისის მოდის კვირეულის“ მაღაზია გაიხსნა. იქ კვირეულზე ქართველი დიზაინერების მიერ წარმოდგენილ უახლეს კოლექციებს ჰყიდიან. თავიდან დღე ისე გავიდოდა, რომ მათ მაღაზიაში არავინ შედიოდა, ახლა დღეში ზოგჯერ 10-15 პოტენციურ კლიენტს ან უბრალო ცნობისმოყვარეს მასპინძლობენ.

იმას, რომ ჯერ მხოლოდ 25-მდე ნივთი გაყიდეს, იმით ხსნიან, რომ მაღაზია შედარებით ახალი გახსნილია. თუმცა კლიენტურის მხოლოდ ვიწრო და ჩაკეტილი წრე ჰყავთ იმ დიზაინერების მაღაზიებსაც, რომლებიც ქართული მოდის ვეტერანებად ითვლებიან. მაგალითად, მოდის ბიზნესს საქართველოში უკვე წლებია, ავთანდილ ცქვიტინიძის ერთი მაღაზიაც ჰყოფნის, მისი კოლექციების უდიდესი ნაწილი კი არა ქართველ კლიენტურაზე, არამედ ყაზახეთში, უკრაინაში და იაპონიაშიც კი საღდება.

„ინდუსტრია კრეატიულობასა და საქმეს, სილამაზეს და მომქანცველ შრომას ნიშნავს. ინდუსტრია – ეს მხოლოდ პოდიუმები, ახალი ტენდენციები და სტილი არაა. ეს არის შექმნა, ყიდვა და გაყიდვა“, – ამბობს ცქვიტინიძე.

ქართული მოდის პარადოქსი კი ისაა, რომ ბაზარზე მოთხოვნას კლიენტები კი არა, ერთჯერადი, თუნდაც მსხვილმასშტაბიანი ღონისძიება ქმნის. დიზაინერები კი საკუთარ ნამუშევრებს წელიწადში ოთხჯერ გამართული მოდის კვირეულებისთვის უფრო ქმნიან, ვიდრე – კონკრეტული მომხმარებლისთვის.

ქართველი დიზაინერების კიდევ ერთ მაღაზიაში (FLABOUR), რომელიც დიზაინერმა გვანცა ჯანაშიამ გახსნა, ფასები 70-დან 600 ლარამდეა. Atelie 10ა-ს მწვანე ფარჩისა და შიფონისგან შეკერილი კაბა აქ 430 ლარი ღირს, ქეთი ჩხიკვაძის შავი აბრეშუმის კაბა 340 ლარი, Atelier Informal-ის კრემისფერი შარვალი – 230 ლარი, აკა ნანიტაშვილის შავი პალტო – 500 ლარი. მაღაზიის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ექსპონატი ნინო ჩუბინიშვილის, იგივე CHUBIKA-ს აბრეშუმის ბლუზია, ის 600 ლარი ღირს. ჩუბინიშვილი მალე პიერ კარდენის მოდის სახლისთვის სპეციალურ ხაზს შექმნის. 23 იანვარს ხელმოწერილი კონტრაქტის მიხედვით, კარდენის ახალ ბრენდს „Chubika for Pierre Cardin“ ერქმევა და მისთვის ქართველი დიზაინერი რეგულარულად იმუშავებს. ჩუბიკას მსგავსად მეორე წელია, სულ უფრო პოპულარული ხდება ქართულ-კანადური დუეტი Gaudet, რომლის პროდუქციასაც Made in Georgia ნაწი-

ლობრივ სიმბოლურად აწერია (მაღალი ტექნოლოგიებით დამუშავებული ფერადი პალტოები კანადაში იკერება და ვრცელდება, მაგრამ ქართული თექისგან მზადდება). Gaudet–მა გასულ წელს ტორონტოს მოდის კვირეული გახსნა.

თუმცა ქართველი დიზაინერების ეს ცალკეული წარმატებები ქართულ ბაზარზე არ აისახება. ადგილობრივი წარმოება ჯერჯერობით არ ვითარდება და დიზაინერების უმეტესობა ისევ მხოლოდ იშვიათი კერძო შეკვეთების იმედზეა.

შესაბამისად, ქართველი დიზაინერების მაღაზიასთან შედარებით, გაცილებით მეტი კლიენტი ჰყავს იმავე შენობაში მდებარე მსხვილ ბრიტანულ სავაჭრო ქსელს NEXT-ს. გამოდის, რომ თბილისელი მომხმარებელი არჩევანს მაინც ფასზე აკეთებს და არა – სამოსის ექსკლუზიურობასა და ხარისხზე, თუმცა, ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

გოგონა, რომელმაც ეს-ესაა ასევე პოპულარულ ქსელ MANGO-ში იყიდა კაბა, როგორიც შეიძლება, ბევრ სხვასაც ეცვას, ამბობს: „ქართველი დიზაინერების შემთხვევაში, ხარისხი ფასზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. მინახავს მათი ნამუშევრები და ხშირად დამრჩენია ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს, ზოგიერთ დიზაინერს საკერავ მანქანასთან ახლოსაც არ ჩაუვლია და ხატვის გარდა, არაფერი იცის. არიან ქართველი დიზაინერები, რომელთა მოდელების დათვალიერებისას საერთოდ არ მაქვს ექსკლუზიურობის განცდა. ამიტომ მირჩევნია, ისევ ეს კაბა ვიყიდო“.

ინფორმაცია დიზაინერების შესახებ თბილისში, ძირითადად, კლიენტების მონაყოლით ვრცელდება. შემთხვევამ, რომელიც ერთ-ერთ გოგონას ქართველ დიზაინერთან საქორწილო კაბის შეკვეთისას გადახდა თავს, შეიძლება, ამ დიზაინერს საგრძნობლად შეუმციროს კლიენტურის წრე: გოგონას მოდელის შერჩევისას უთხრეს, რომ კაბის მთავარი ღირსება ბაფთა იქნებოდა, რომელსაც საფრანგეთიდან გამოწერილი ძვირფასი ქსოვილით შეკერავდნენ. კაბის ფასს სწორედ ეს ქსოვილი ცვლიდა, თუმცა, პატარძალი დათანხმდა, საკმაოდ სოლიდური თანხა ერთ ექსკლუზიურ დეტალში გადაეხადა. რამდენიმე დღის შემდეგ, სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ეს ქსოვილი თბილისშიც იყიდება და ერთი მეტრი 11 ლარი ღირს.

სამოსელი პირველი



ფოტო: ბარბარა ქორბაშვილი

„სამოსელი პირველის“ მაღაზია ჭავჭავაძის გამზირზე, თბილისი 2011

გასულ გაზაფხულზე ჭავჭავაძის გამზირზე ქართული ტრადიციული სამოსის მაღაზია „სამოსელი პირველი“ გაიხსნა. ორსართულიანი მაღაზიის ეფექტური ექსტერიერი პირველი შეხედვისთანავე იპყრობს ყურადღებას. ეს ერთადერთი მაღაზიაა თბილისში, რომლის ვიტრინაში მდგომ მანეკენებსაც ტრადიციული ქართული სამოსი აცვიათ.

პირველ სართულზე, ძირითადად, აქსესუარები იყიდება: ქამრები, სარტყელები, ქისები, საბრძოლო აღჭურვილობა – ყველაფერი, რასაც ტრადიციულად ქართველი კაცი იყენებდა და რაც თანამედროვე ქართველი მამაკაცებისთვის, წესით, გამოუსადეგარი უნდა იყოს.

თუმცა ასე არ ფიქრობს „სამოსელი პირველის“ დირექტორი და თანადამფუძნებელი, ლუარსაბ ტოგონიძე. როცა არ უნდა მიხვიდეთ მის მაღაზიაში, მასპინძელი ჩოხაში გამოწყობილი შეგებებებათ.

მეორე სართულზე უკვე იმ სამოსს იხილავთ, რითაც ჩვენი წინაპრები იმოსებოდნენ: ჩოხა-ახალუხი, ყაბალახი, ფაფანაკი, ჩექმები და ფეხსაცმელები.

ლუარსაბ ტოგონიძე ამბობს, რომ ეს კოსტუმები სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის და სხვადასხვა კვლევის შედეგად შექმნეს. მაღაზიის დამფუძნებლების სურვილია, ქართული ნაციონალური კოსტიუმებისადმი საზოგადოებაში ინტერესი დააბრუნონ. სამოსი თანამედროვე ადამიანისთვისაც მოსახერხებელი გახადონ ოღონდ ისე, რომ ტანსაცელმა ძველი იდენტობა არ დაკარგოს:

„სამუზეუმო ექსპონატებს არ ვაკეთებთ. გვინდა, რომ ეს ადამიანებმა ჩაიცვან. თუმცა კონსერვატორული სტილი შენარჩუნებულია. თანამედროვე ელემენტების შეტანა შეიძლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხასიათი დაიკარგოს. გვინდა, იყოს თანამედროვე, ლამაზი, მოსახერხებელი, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა იყოს ქართული, ფუნდამენტური ჩარევების გარეშე“, – აღნიშნავს ტოგონიძე.

აქამდე მაღაზიაში მხოლოდ მამაკაცის ტანსაცმელი და აქსესუარები ჰქონდათ, თუმცა სულ ახლახან ქალის ხაზის განვითარებაც დაიწყეს. ამ ტანსაცმლის შესაქმნელად მაღაზიაში დიზაინერთა ექვსკაციანი ჯგუფი მუშაობს.

ჯერჯერობით, ძირითადად ,კერძო შეკვეთებს იღებენ, რადგან მასობრივი წარმოება,

ქართველი დიზაინერების სასარგებლოდ არც მსგავსი ფრაზები მოქმედებს: „ძალიან კარგი კვირეული იყო, ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა შრომატევადიც იყო, თითქმის ყველაფერი ბოლო ერთ კვირაში შევკერე“. უფრო პირიქით – ასეთი განცხადებები, რომლებიც ბოლო კვირეულის დასრულების შემდეგ ტელეეთერში ხშირად ისმოდა, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სიჩქარეში შექმნილ ნამუშევრების ხარისხი დიზაინერისთვის პრიორიტეტი სულაც არ არის.

უცხოური მაღალი კლასის ბრენდების მაღაზია PRIVE-ს პიარ მენეჯერი დალი ჩიტალაძე ფიქრობს, რომ აქ როგორც ხარისხის, ისე ინდივიდუალიზმის დეფიციტია: „აუცილებელია მოდის კვირეულებზე დიზაინერებმა უფრო მკაცრი კასტინგი გაიარონ. არ შეიძლება ყველაფრის ჩვენება. ყველა, ვისაც რაღაცის შეკერვა შეუძლია, დიზაინერი არ არის. ან ახალი უნდა გააკეთო რამე, ან ძალიან ხარისხიანი უნდა იყოს. მე რასაც ვუყურე ბოლო მოდის კვირეულებზე, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ახალი არაფერი იყო. ეს კოლექციები აბსოლუტურად არაფერს ნიშნავდა“.

„დღეს ქართული მოდა ტრიალებს პატარა, დახშულ წრეში – ეს არის ჩვენება, მერე არის ტელეშოუ და მერე ისევ ჩვენება. ეს არ არის არც შემოქმედებითი პროცესი და არც კომერციული“, – ფიქრობს სიმონ მაჩაბელი, ახალგაზრდა დიზაინერი, რომელმაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული „სენტ მარტინის“ კოლეჯის ასპირანტურა დაამთავრა ლონდონში, ტანსაცმლის დიზაინის სპეციალობით.

მაჩაბელი ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე საქართველოში ტექნიკური ცოდნის მიღება უფროა შესაძლებელი, ვიდრე იდეების კონცეპტუალური განვრცობა და შემოქმედებითი უნარის განვითარება: „ახალგაზრდები აქ, ძირითადად, ინტერნეტის საშუალებით არიან ინფორმირებულები და ეს არ არის საკმარისი. საჭიროა მეტი განათლება, მეტი მოგზაურობა, საჭიროა, იყო გახსნილი და ხედავდე ბევრ რამეს“, – აღნიშნავს დიზაინერი.

„მოდას სჭირდება ფული და შთაგონება, მაგრამ ორივე მხოლოდ მასშტაბით მიიღწევა: ფული – დიდი გაყიდვებით, შთაგონება – ბევრი მოგზაურობით, პროფესიული პრაქტიკის გავლით და, რაც მთავარია, მაღალი რანგის ჩვენებებზე დასწრებითა და,

პროდუქციის სიძვირის გამო, კომერციულად არამომგებიანი იქნება. მაგალითად, ჩოხის ფასი 250 ლარიდან იწყება და 1000 ლარს აღწევს. როგორც მაღაზიაში ამბობენ, მათ ტანსაცმელს ან ქორწილისთვის, ანდა სასცენო შესრულებისთვის უფრო ყიდულობენ.

ერთ-ერთ ასეთ ექსკლუზიურ შეკვეთას „სამოსელ პირველს“ ჩვენი სტუმრობისას მომღერალი ნინო ქათამაძე აძლევდა. „ყველაფერს ვუკვეთავ, რისი შეკვეთაც შეიძლება ჩემი კონფიგურაციის ადამიანისთვის: ჩოხას ქალისთვის, ფეხსაცმელს, ყაბალახს, ქამრებს. წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასე მრავალმხრივად შეიძლებოდა ამის გამოყენება“, – აღნიშნა მომღერალმა და დასძინა, რომ აპირებს, ეს სამოსი როგორც სასცენო ჩაცმულობაში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენოს: „ძალიან ლამაზია, მივხვდი, რომ აუცილებელია ჩემთვის, ხასიათს გიყალიბებს, უფრო მობილიზებულს გხდის... ეს არის ჩასაცმელი, რომელიც გახსენებს შენს წარმოშობას“, – ამბობს ნინო ქათამაძე.

ჩვენებაც „სამოსელმა პირველმა“ 6 თებერვალს გამართა. 40-ზე მეტი კოსტიუმი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ასახავდა. აჭარული, აფხაზური და მოხევური, თავადური და ქართული კაბები ჩვენებაზე მისულ ქალბატონებს განსაკუთრებით მოეწონათ. მათ პოპულარიზაციას მანამდე სატელევიზიო ტოკ-შოუც მიეძღვნა. სტუდიაში მიწვეული სტუმრები ამბობდნენ, რომ გათანამედროვებულ ქართულ კაბებს საზეიმო დღეებში აუცილებლად ჩაიცვამენ და მაყურებელსაც იმავეს ურჩევდნენ.

ფოტო ლევან ჩიტაიშვილი

ეთნიკური სამოსის დეტალების გამოყენება მაღალ მოდაშიც არაა უცხო. მაგალითად, Proenza Schouler-ისთვის ინდიელი ტომების კულტურული ელემენტები ხდება ხშირად შთაგონების წყარო, Givenchy-ის Ricardo Tischi-მ 2011 წლის მაღალი მოდის კოლექციაში იაპონური ცეკვის სტილი და წერო გაიხსენა – როგორც იღბლისა და უკვდავების სიმბოლო იაპონურ კულტურაში, Karl Lagerfeld-ის 2011 წლის წინასაშემოდგომო კოლექცია Paris-Byzance-ი კი, ბიზანტიის იმპერიის კულტურას ეძღვნებოდა.

თუმცა თითოეულ ამ კოლექციაში ნაციონალურ ტანსაცმელს მხოლოდ ელემენტის სახე ჰქონდა, ახალი კოლექციის კონცეფციას განსაზღვრავდა, შთაგონებასავით მუშაობდა და ერთ შინაარსობრივ ხაზში კრავდა მთელ კოლექციას.

„სამოსელ პირველს“ კი მსგავსი ამოცანა არ აქვს. ამ მაღაზიაში ამბობენ, რომ მათი ძველქართული ტანსაცმელი მოდერნიზებულია და ბევრი თანამედროვე ელემენტითაცაა გაჯერებული. თუმცა, თითოეული მოდელი სასცენო კოსტუმის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე თუნდაც წვეულებისთვის განკუთვნილი, სადღესასწაულო სამოსისას.

თამუნა ინგოროყვას კოლექციიდან

„ნოვა სტუდიოს“ კოლექციიდან

„დღეს ქართული მოდა ტრიალებს პატარა, დახშულ წრეში – ეს არის ჩვენება, მერე არის ტელეშოუ და მერე ისევ ჩვენება. ეს არ არის არც შემოქმედებითი პროცესი და არც კომერციული“.

ფოტოები ზურა ეურვიანის

რა თქმა უნდა, მონაწილეობით“, – ამბობს თამარ ალავიძე, რომელიც Facebook-ზე FashionSnack-ის სახელით მუდმივად აქვეყნებს მოდის ინდუსტრიის სიახლეებს, მათ შორის, მსოფლიო დიზაინერების ახალ კოლექციებსა და მათ მიმოხილვებს.

მოდის ინდუსტრიის განვითარებისთვის ინდივიდუალური დიზაინერების კრეატიულობისა და კონცეპტუალური ხედვის გარდა, წარმოების აწყობა და ინვესტიციების ზრდაც აუცილებელია. ეს სფერო ხელოვნების უკიდურესად კომერციალიზებული ფორმაა.

„ეს არ არის მეცნიერება კოსმოსის შესახებ, თუ არ აწარმოებ, ვერაფერს გაყიდ და ვერც მოდის კვირეულებზე ჩამოსულ ბაიერებს შესთავაზებ ბევრ რამეს“, – აღნიშნავს დიზაინერი ნინო ჩუბინიშვილი.

პროდუქტიულობის მისაღწევად კი შრომისმოყვარეობასთან ერთად საკმაოდ დიდი თანხებია საჭირო. ხარისხიანი პროდუქციის შექმნა ხარისხიან ქსოვილებსა და ტექნიკას მოითხოვს.

„კარგი საკერავი მანქანის შეძენა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ბევრს შეიძლება ძალიანაც უნდა, რომ უკეთესი ტექნიკით შეკეროს, მაგრამ ამის ფინანსური საშუალება არ აქვს“, – აღნიშნავს დალი ჩიტალაძე.

„ახალგაზრდა დიზაინერებს სრულფასოვანი ვებსაიტის გაკეთებისთვის საჭირო ფინანსებიც კი არ აქვთ და ვერც მაღალი ხარისხის ფოტოებს იღებენ“, – ამბობს თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორი სოფო მამარდაშვილი და მიიჩნევს, რომ სწორედ დამწყები დიზაინერების პოპულარიზაციის და დახმარებისთვის იყო მნიშვნელოვანი მათ მიერ ორგანიზებულ კვირეულზე „ახალბედების“ ჩვენებების გამართვა.

ინდუსტრიას მოდის კვირეულებთან, შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხული-ზაფხულის კოლექციებთან, დიზაინერების მაღაზიებთან ერთად, კიდევ ორი რამ ქმნის: მოდის კრიტიკა და მოდის ჟურნალები. ქართულ ბაზარზე არსებული ერთადერთი პრიალა ჟურნალი მოდის შესახებ კი – ჟურნალი „ამარტა“ მხოლოდ კვარტალში ერთხელ გამოდის, ხოლო ქართულ მოდაზე ინტენსიურად მხოლოდ მაშინ წერს, როდესაც მოდის კვირეული იმართება. სხვა შემთხვევაში „ამარტას“ ძირითადი თემა უცხოელი დიზაინერები და მსოფლიო მოდის ახალი ტენდენციებია.

„საჭიროა, მოდის კრიტიკოსებიც გაჩნდნენ – ადამიანები, რომლებიც იცნობენ მოდის ისტორიას, ერკვევიან ხელოვნებაში, ზოგადად, მოდის ინდუსტრიის დინამიკაში, სისტემატურად ეცნობიან სიახლეებს, შეუძლიათ, შეაფასონ შემოქმედის ნამუშევარი და რაც მთავარია – არგუმენტირებულად“, – ამბობს თამარ ალავიძე.

მოდის კვირეულებისა და ქართველი დიზაინერების მაღაზიების მომრავლება იმის ნიშანია, რომ პროცესი ქართული მოდის ინდუსტრიაშიც დაიძრა. თუმცა, ის, რომ მცირე ზომის ქართულ ბაზარზე ორ-ორი მოდის კვირეული იმართება, ამ სფეროს უფრო კომიკურს ხდის, ვიდრე – სერიოზულს.

„მერე მიდის ლაპარაკი: ის იმასთან არის, ეს ამასთან არის. იქნებ, დავთმოთ ამბიციები და გავერთიანდეთ?“- აღნიშნავს დალი ჩიტალაძე.

„თუ ნიუ-იორკის მოდის კვირეული იტევს 238 დიზაინერის კოლექციის ჩვენებას, ვფიქრობ, თბილისის მოდის კვირეულმაც უნდა მოახერხოს 40-მდე დიზაინერის დატევა“, – ფიქრობს თამარ ალავიძე.

თუმცა კვირეულები გაერთიანებას არ აპირებენ. შესაბამისად, გაზაფხული-ზაფხულის კოლექციებსაც, წესით, მარტიდან ისევ ორ-ორჯერ ვნახავთ.

ორივე ჯგუფი ქართული მოდის განვითარებას ისახავს მიზნად.

„ჩვენი პრიორიტეტია არა შოუ, არამედ ქართული მოდის ბრენდისა და მეტიც – ქართული მოდის ინდუსტრიის შექმნა“, – განმარტავს საქართველოს მოდის კვირეულის ერთ-ერთი ავტორი, მაკა მეტრეველი.

თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორი, სოფო მამარდაშვილიც ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია made in Georgia ცნობილ და პრესტიჟულ იარლიყად ჩამოყალიბდეს.

სწორი კვება

ნაჯღაბი მაჰიდი, მეტი თევზი

ჭარბი წონის ეპიდემიას ამერიკა სწორი კვების ახალი პრინციპებით უპირისპირდება. რეკომენდაციებით სავსე 112-გვერდიანი დოკუმენტი ასეთი პირდაპირი და მკაცრი არასდროს ყოფილა.

ქეთი ძნელაძე

ბროკოლის, სტაფილოს, წიწაკის, ვაშლისა და მოცვის ილუსტრაციების ფონზე სამთავრობო პრეზენტაცია ვაშინგტონში ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება ხოლმე.

1980 წლიდან მოყოლებული სწორედ ხუთ წელიწადში ერთხელ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჯანმრთელობის სამსახურის ექსპერტებისგან შემდგარი საბჭო სწორი კვების ძირითად პრინციპებს აქვეყნებს.

როგორ შევამციროთ ქრონიკული დაავადებების რისკი, როგორ დავაბალანსოთ საკუთარი წელის გარშემოწერილობა და დავამარცხოთ ჭარბი წონა სწორი კვებითა და ფიზიკური ვარჯიშით – საბჭოს მიზანი ყოველი მორიგი დოკუმენტის გამოქვეყნებისას უცვლელია, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ყოველწლიურად ახალ დეტალებზე აკეთებს აქცენტს.

როგორც პრესა წერს, სწორი კვების ბოლო სახელმძღვანელო ასე ამომწურავი და პირდაპირი მანამდე არასდროს ყოფილა. მიზეზი საკითხის სერიოზულობაა: ამერიკაში ამბობენ, რომ ქვეყანაში ჯანმრთელობის საყოველთაო კრიზისია, ჭარბი წონა კი უკვე ეპიდემიაა – ზრდასრული მოქალაქეების უმრავლესობა და სამიდან ერთი ბავშვი ჭარბწონიანი და მსუქანია.

„მიირთვით მეტი ბოსტნეული და ხილი;

გადაუმუშავებელი ხორბლით ჩაანაცვლეთ რაფინირებული მარცვლეული;

მიიღეთ უცხიმო ან დაბალცხიმიანი რძე და რძის პროდუქტები – იოგურტი, ყველი, ანდა სოიოს სასმელები;

გაამრავალფეროვნეთ ცილის შემცველი საკვები, მიიღეთ მეტი ზღვის პროდუქტი, ცხოველის და ფრინველის მხოლოდ უცხიმო ხორცი, უმარილო თხილეული და მარცვლეული.

მინიმუმამდე დაიყვანეთ მარილის და შაქრის შემცველობა თქვენს დღიურ რაციონში და ამისთვის ყურადღებით წაიკითხეთ შეფუთულ საკვებზე დაკრული ეტიკეტები;

ისიამოვნეთ ჭამით, მაგრამ მკვეთრად შეამცირეთ პორციები, ამისთვის კარგი იქნება, თუ ტელევიზორის წინ ჭამაზეც იტყვით უარს," – ასეთია ძირითადი აქცენტები 112-გვერდიანი სახელმძღვანელოდან, რომლის შედგენაც მთავრობას ამჯერად 500 ათას დოლარზე მეტი დაუჯდა.

რევოლუციური ამ რჩევებში არაფერია. თუმცა, ვრცელ დოკუმენტს უფრო თამამად დასმულ აქცენტებს დიეტოლოგები და კვების ექსპერტები მაინც ამჩნევენ.

„აქამდე რეკომენდაციებში უბრალოდ წერდნენ „მიირთვით მეტი ხილი და ბოსტნეული." მაგრამ ეს ორაზროვანი განცხადება იყო. შეიძლება, ის ასეც გაგეგო: „დაუმატეთ თქვენს ჰამბურგერს ერთი ნაჭერი პომიდორი", – აღნიშნავს კვების სპეციალისტი მარგო უტენი. ახალ სახელმძღვანელოში კი პირდაპირ წერია, რომ ხილისა და ბოსტნეულის დღიური რაციონი ადამიანებმა ცხოველისა და

კვების ინდუსტრია საკუთარ ინტერესებს იცავს

პირველი პრეცედენტი, როცა ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია კვების ინდუსტრიას, 1977 წელს დაფიქსირდა. მაშინ სენატის სპეციალურმა კომისიამ ამერიკელებისთვის კვების ზოგადი დებულებები ჩამოაყალიბა. დოკუმენტში ეწერა, რომ ადამიანებს არ უნდა მიეღოთ ნაჯერი ცხიმები, ანუ საგრძნობლად უნდა შეემცირებინათ ხორცის დოზა.

ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ ხორცის მწარმოებელი მთელი ინდუსტრია ფეხზე დადგა. მათი პროტესტი იმდენად გამწვავდა, რომ კონგრესში საგანგებო მოსმენებიც გაიმართა, რის შემდეგაც ხელისუფლება იძულებული გახდა, რეკომენდაციის ტონი შეერბილებინა: "აირჩიეთ ისეთი საქონლის, ფრინველისა და თევზის ხორცი, რომელიც ნაკლებ ნაჯერ ცხიმებს შეიცავს".

„ამით შეიქმნა პრეცედენტი. 1980 წელს გამოქვეყნებულ სწორი კვების დებულებებში ხორცის ნაცვლად ევფემიზმი – ნაჯერი ცხიმი გამოიყენეს. კვების ოფიციალური დოკუმენტის შემდეგი რედაქციებიც მსგავსი ევფემიზმებითაა სავსე. ხელისუფლებას სხვა გზა არ აქვს. კონკრეტული საკვები რომ დაასახელონ, რომლის შემცირებაცაა საჭირო, კვების ინდუსტრიის გაცეცხლებას დაიმსახურებენ, ეს კი არც ერთ, ცენტრისკენ გადახრილ მთავრობას არ აწყობს", – ამბობს კვების სპეციალისტი და წიგნის „კვების პოლიტიკის" ავტორი, მერიონ ნესტლი.

ფრინველის ცხიმიანი ხორცის ხარჯზე უნდა გაზარდონ.

კვების სახელმძღვანელო ფედერალური მთავრობის ოფიციალურ პოლიტიკას გამოხატავს. ეს დოკუმენტი გავლენას ახდენს თითოეულ იმ გადაწყვეტილებაზე, რასაც კვებასთან დაკავშირებით იღებს მთავრობა – სასკოლო კაფეტერიების რაციონზე, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამებზე, საკვების ეტიკეტირებასა და რეკლამაზე. ამიტომ ყველაზე მეტად ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას კვების ინდუსტრიის წარმომადგენლები ელიან, დევიზი – „ისიამოვნე ჭამით, მაგრამ მიირთვი ცოტა" – ხომ, პირველ რიგში, მათ ბიზნესს ვნებს. შესაბამისად, კვების სპეციალისტები ამბობენ, რომ ჯერ კიდევ 1980 წლიდან – პირველი ასეთი სახელმძღვანელოს გამოქვეყნებიდან – მოყოლებული, მთავრობა სწორედ კვების ინდუსტრიას უწევს ანგარიშს და პირდაპირ არასდროს ამბობს – მაინც რა ინგრედიენტებზე უნდა თქვან ადამიანებმა უარი იმისთვის, რომ თუნდაც ინფარქტი ანდა სიმსივნე აიცილონ თავიდან.

ეს ნაკლი წლევანდელ სახელმძღვანელოსაც აქვს. მერიონ ნესტლი, წიგნის „კვების პოლიტიკის" ავტორი, წერს: „ამ ვრცელ დოკუმენტს კარგად უნდა ჩაუღრმავდე, რომ ეს რეკომენდაციები შენს ენაზე თარგმნო. მაგალითად, წერია – „შეამცირეთ მყარი ცხიმის რაოდენობა". ეს ნიშნავს იმას, რომ უარი უნდა თქვათ ნამცხვარზე, ტკბილ ორცხობილაზე, პიცაზე, ყველზე, გადამუშავებულ და ცხიმიან ხორცზე, ნაყინზე. „ნაკლები შაქარი" ნიშნავს ნაკლებ – გაზიან, ხილიან სასმელებსა და ენერგოსტიმულატორებს. მაშინ, რატომ არ ამბობენ ამ ყველაფერს სახელმძღვანელოში პირდაპირ? – პოლიტიკის გამო, ცხადია".

ამ მიზეზით ვაშინგტონში სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის სამინისტროებს არასამთავრობო ორგანიზაცია Physicians Committee for Responsible Medicine სასამართლოში უჩივის და აცხადებს, რომ ბიოქიმიური ტერმინებითა და მინიშნებებით სავსე ტექსტი, მოსახლეობას აბნევს.

თუმცა, კრიტიკის მიუხედავად, სახელმძღვანელოში მაინც უამრავი კონკრეტული ფაქტია. მაგალითად, იმ ნაწილში, როცა ამერიკელებს მყარი ცხიმების შემცირებას ურჩევენ, გარკვევით წერია, რომ გადამუშავებული ხორცი (ძეხვი, ბეკონი, სოსისი) არა მხოლოდ მყარი ცხიმების საბადოა, არამედ სწორი და მსხვილი ნაწლავის სიმსივნესა და გულსისხლძარღვთა დაავადებებთანაცაა კავშირში. „იმისთვის, რომ შეამციროთ მყარი ცხიმების რაოდენობა, ამერიკელების უმრავლესობამ უნდა შეამციროს ამ ცხიმების შემცველი საკვების მიღება და ჩაანაცვლოს ისინი ნაკლებ ცხიმიანი საკვებით, (მაგალითად უცხიმო რძით)".

სურსათისა და წამლის ადმინისტრაცია (FDA) აცხადებს, რომ კომპანიებს აიძულებს, სწორი კვების ახალი პრინციპები საკვების წარმოებაში გაითვალისწინონ. სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის სამსახურები კი აპირებენ, ულუფების შემცირებასა და ცხიმების, მარილისა და შაქრის რეგულირებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები რესტორნებთან გამართონ.

ექსპერტი მარგო უტენი აცხადებს, რომ „კომპანიები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეცვლიან რამეს, თუ მათ ძალიან მკაცრად დაელაპარაკებიან".

წინა სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ მარილთან დაკავშირებით უამრავი კომპანია წავიდა კომპრომისზე. მათ შორის იყო ცნობილი „ჰაინეცი", „ქემბელ სუფი" და „კრაფტ ფუდსი". ახლა ისინი ბევრად ნაკლები მარილის შემცველობის საკვებს აწარმოებენ.

თუმცა, პრობლემა არა მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესების საკითხისადმი დამოკიდებულებაა. მკვლევარები ამბობენ, რომ დღიური რაციონის კარდინალური ცვლილება რიგით ამერიკელებსაც გაუჭირდებათ. პიცაზე, შემწვარი ხორცით გაჯერებულ ჰამბურგერებზე, ტკბილ ორცხობილებსა და ნაყინზე, გაზიან გამაგრილებელ სასმელებსა და თუნდაც ნაკლებ მარილზე რომ თქვან ადამიანებმა უარი, შეიძლება, ამას წლებიც დასჭირდეს.

ინიციატივები, ბებმები და კლიმატი

მარკ მალენი

Greenpeace-ის აქტივისტები ატარებენ პერფორმანსს უშველებელ სამაშველო რგოლთან

ფოტო ჯენრი რეგენრი / REUTERS

ახლახან მთავრობამ გარემოს დაცვის სამინისტრო გააუქმა. ახსნა-განმარტებების უმრავლესობა მისაღები იყო. სამინისტროს სამსახურებმა შესაძლოა, სხვაგან მართლაც უფრო ეფექტიანად იმუშავონ. მინისტრს კი კვლავ ექნება ადგილი მინისტრთა კაბინეტში. ეს მოხდა იმავე კვირას, როდესაც პრეზიდენტს პარლამენტში ყოველწლიური გამოსვლა ჰქონდა. მას არც საქართველოს გარემოს დაცვა და არც გლობალური კლიმატის ცვლილებები არ უხსენებია.

პრეზიდენტმა ახსენა საქართველოს მოქალაქეების პრობლემები გაზრდილ ფასებთან და უმუშევრობასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა მთავრობის მიღწევები ბევრ სფეროში და შემდეგ განაცხადა, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა 2015 წლისთვის ახალ მიზნებს მივაღწიოთ. ყველა თანხმდება, რომ ეს მიზნები დადებითია და თითოეული მათგანი შეიძლება, გავაერთიანოთ სიტყვაში „მოდერნიზაცია“.

ამავე დროს, ნებისმიერი, ვინც არსებულ მეცნიერულ აღმოჩენებს იცნობს, ხვდება, რომ კაცობრიობის და ჩვენი თაობის წინაშე მდგარი მთავარი გრძელვადიანი პრობლემა კლიმატის ცვლილებაა. კლიმატი იცვლება ბუნებრივი საწვავის გამოყენების გამო. ცვლილებები იწვევს ომებს, ტანჯვასა და ეკონომიკურ კოლაფსს. მსოფლიოს ყველა სხვა პრობლემა ადვილად გადასაწყვეტია, რადგან მათი იზოლირება შესაძლებელია. კლიმატის ცვლილება

კი ვერანაირი ცალკეული ინიციატივით ვერ მოგვარდება. მას ვერ მოვაგვარებთ ერთ სფეროში ან სექტორში განხორციელებული რეფორმებით. იდეა, რომ მთავრობებმა ელექტრონული მანქანები შეიძინონ, შესანიშნავია, მაგრამ მისი გახმოვანების შემდეგ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. არც ის უთქვამთ, თუ რანაირად მოერგება ეს სიახლე სხვა ყველაფერს. სად არის ის გენერალური გეგმა, რომლის ნაწილსაც ეს ინიციტიავა შეადგენს?

ზოგიერთმა ძალიან მდიდარმა ადამიანმა და კორპორაციამ მილიონობით დოლარი დახარჯა, რომ მეცნიერების დასკვნები კლიმატის ცვლილებების შესახებ ეჭვქვეშ დაეყენებინა. იმიტომ, რომ ეს მათ მოკლევადიან ინტერესებში შედის. სამწუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია ყველაზე მეტად ამერიკაში შეიმჩნევა. ბოლო ათწლეულის მანძილზე მეცნიერებს ნათელი პასუხები ჰქონდათ, მაგრამ დაქირავებული ექსპერტები ცდილობდნენ ზედმეტი კითხვების წამოჭრას. მათ მეცნიერული დასკვნის პირდაპირ უარყოფა არ შეეძლოთ, მაგრამ ისინი უბრალოდ გვაჩეჩებდნენ რაღაც კითხვებს. ეს კითხვები კი საკმარისი იყო ზოგიერთი ადამიანისთვის, რომ პრობლემა დაევიწყებინათ. ამჟამად არ არსებობს განათლებული, პატიოსანი ადამიანი, რომელსაც კლიმატის ცვლილების არ სჯერა. დაახლოებით 100 წლის წინ ეპტომ სინკლერმა თქვა: „ძნელია ადამიანს გააგებინო რაღაც, როდესაც მას ხელფასს სწორედ იმაში უხდიან, რომ ეს რაღაც ვერ გაიგოს.“ ვფიქრობ, პრობლემიდან თავის არიდების დრო აღარ არის.

ჩვენი ცხოვრება მნიშვნელოვნად გამარტივდა იმით, რომ დავამარცხეთ კორუფცია, გავაუქმეთ ლიცენზიების და ნებართვების აუცილებლობა. მაგრამ შედეგად მივიღეთ უამრავი მანქანა ქუჩებში. რაღაც პერიოდის განმავლობაში, საქართველოში სამშენებლო ბუმი იყო, მაგრამ შენობებს, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, არ ჰქონდათ იზოლაცია, რაც გათბობის ხარჯებს შეამცირებდა. გავხსენით ჩვენი ბაზრები ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა აქვთ და რომლებსაც საქართველო ამ ეტაპზე კონკურენციას ვერ გაუწევს. საქართველომ ამას შეიძლება უპასუხოს გენეტიკურ ინჟინერიაზე დამყარებული მაღალპროდუქციული სოფლის მეურნეობის შექმნით. ეს კი ბუნებრივ საწვავს მოითხოვს. იმ დროს, როცა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა უკმაყოფილოა თავიანთი გადაჭარბებით, საქართველოში ყველაფერზე მარტივ პასუხად „უფრო მეტი, უფრო სწრაფი და უფრო დიდი“ მიაჩნიათ.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოზე შეტევა მაშინ განხორციელდა, როდესაც ნავთობის ფასმა თავის ისტორიულ სიმაღლეებს მიაღწია.

რამდენიმე ათწლეულის შემდეგ გავიხსენებთ, თუ რას ვაკეთებდით წარსულში და გაგვიკვირდება, რატომ ვერ ვხედავდით ამ აშკარა სიმართლეს და არაფერს ვშვრებოდით მის გამოსასწორებლად.

მსოფლიოს ნავთობზე დამოკიდებულება აძლიერებს დიქტატორებს და ჩვენ დიქტატორებზე დამოკიდებულებად გვაქცევს. თუ ჩვენ გვსურს, რუსეთი ნაკლებად აგრესიული ქვეყანა იყოს, მაშინ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ნავთობზე მსოფლიო მოთხოვნა დაეცემა. ნათელია, რომ წყალდიდობებისა და მეწყერების მომატება კლიმატური ცვლილების შედეგია, და ეს განსაკუთრებით მძიმედ პაკისტანს დაეტყო - მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად სტაბილურ ქვეყანას. სუდანში მიმდინარე ომებს ბევრი ადამიანი კლიმატის ცვლილებას აბრალებს.

როდესაც კლიმატის ცვლილების მოგვარებაზე მიდგება საქმე, აღმოვაჩენთ, რომ ყველა ეს ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხი იმდენად გადაჯაჭვულია ერთმანეთზე, რომ უბრალოდ ინდივიდუალური მიზნების დასახვა და იზოლირებული ინიციატივების დაფინანსება ვერაფერს უშველის. პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა არის გრძელვადიანი პროგრამის დაგეგმვა და ყველა სექტორში დასახული მიზნების შეფასება – იმის დადგენა, თუ რამდენად უწყობენ ან არ უწყობენ ხელს გარკვეული ინიაციტივები კლიმატის ცვლილების შეჩერებას. ეს არის ის, რასაც განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა აკეთებს და რისი გაკეთებაც საქართველოში ჩვენც გვმართებს შთამომავლობისთვის.

პრობლემის გადაჭრა იმაზე მეტ თანამშრომლობას მოითხოვს, ვიდრე ჩვენი სახეობის არსებებს აქამდე განუხორციელებიათ, მაგრამ ჩვენ ახლა გვაქვს შესაბამისი ცოდნა და კომუნიკაციის შესაძლებლობები, რომ ეს შევძლოთ. ამისთვის კი, პირველ რიგში, პრობლემა უნდა ვაღიაროთ; განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა უნდა აღიარონ და მოითხოვონ, რომ ეს საკითხი უფრო აქტიურად განიხილებოდეს და სამთავრობო პოლიტიკის ნაწილად იქცეს. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ გავიხსენებთ, თუ რას ვაკეთებდით წარსულში და გაგვიკვირდება, რატომ ვერ ვხედავდით ამ აშკარა სიმართლეს და არაფერს ვშვრებოდით მის გამოსასწორებლად. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გვქონდეს გარემოს დაცვის სამინისტრო. ეს ნიშნავს იმას, რომ კლიმატის ცვლილება ჩვენი ეროვნული დისკუსიის ნაწილად უნდა ვაქციოთ. ამ შემთხვევაში, ჩვენი შვილები აღარ გაიხსენებენ, თუ როგორ შეგნებულად ვუწევდით იგნორირებას მათ მთავარ პრობლემას და როგორ მოიმკეს მათ ამ შეცდომების ნაყოფი.

ჩინელი პოეტი ლუ სინი:

„იმედი სოფლის ბილიკს ჰგავს
თავდაპირველად გზას ვერ ხედავთ
მაგრამ შემდეგ, ხალხი ბევრჯერ
მოდის და ერთსა და იმავე ადგილზე
აბიჯებს.
გზაც ჩნდება“.

ქვრივის ბრძოლა მემკვიდრეობისთვის

ინტერვიუ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივთან,
ინა გუდავაძესთან

თქვენი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თქვენ რამდენიმე ქვეყნის – საქართველოს, გიბრალტარის, ლიხტენშტეინის, ბრიტანეთის და ამერიკის სასამართლოებში არკვევდით მისი ქონების და მემკვიდრეობის საკითხებს. ახლა რა ეტაპზე ხართ?

გიბრალტარის სასამართლო განიხილავდა ჩვენს დავას ჯოზეფ ქეისთან, პროცესი ერთი თვე გაგრძელდა და ის ჩვენ მოვიგეთ.

ბადრის სიკვდილის მერე, მის აქტივებზე პრეტენზია ჯოზეფ ქეის აღმოაჩნდა. მან ისარგებლა იმით, რომ ის ბადრის ნდობით აღჭურვილი პირი იყო და ამ სტატუსით ბადრის აქტივები მიითვისა.

ჩვენ არ გვქონდა არანაირი საბუთი და არც ვიცოდით ამ აქტივების მმართველობის სტრუქტურის შესახებ, რამაც ქეის საქმე გაუადვილა. მან ისარგებლა ამ უპირატესობით და ხელში ჩაიგო ძვირადღირებული ქონება – პრესტიჟული ფიშერის კუნძულები შტატებში, მშენებარე დასახლება ესპანეთში და რამდენიმე უფრო პატარა აქტივი, მათ შორის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

გიბრალტარის სასამართლოში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ქეის საბუთები გაყალბებული ჰქონდა. დავა ამჟამად ამერიკის სასამართლოში გრძელდება. ჯოზეფ ქეი, ცნობილ ადვოკატ ემანუელ ზელცერთან ერთად აგრძელებს საბუთების გაყალბებას და ახლა ცდილობენ შტატებში მოიგონ ის, რაც გიბრალტარის სასამართლოში წააგეს. სხვათა შორის, ქეი ნიუ-იორკის სასამართლოზე არ გამოცხადდა, მან ჯერ დაავადება მოიმიზეზა, შემდეგ კი საქართველოდან შტატებში რეისების არარსებობა. ჩვენი გათვლებით, ეს პროცესი ზაფხულისთვის უნდა მორჩეს.

თქვენი მეუღლის გარდაცვალებიდან მალევე ქეიმ გამოაცხადა, რომ ის პატარკაციშვილის ანდერძის აღმასრულებელია. თქვენ ამის შესახებ არაფერი გსმენიათ?

არაფერი ვიცოდი. ჯოზეფმა შექმნა ის სტრუქტურები, სადაც ბადრის აქტივები იყო შეტანილი, რამაც მას მისცა საშუალება ეთქვა, რომ აქტივები მას ეკუთვნოდა.

ლონდონელი ექსპერტის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც ლონდონის სასამართლომ აღიარა, ამტკიცებს, რომ ყველა დოკუმენტი გაყალბებული იყო ბადრის გარდაცვალების შემდეგ, რომ ყველა საბუთი 2008 წლის 12 თებერვლის შემდეგ მომზადდა. კომპიუტერულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ანდერძის 12 და მინდობილობის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა ბადრის გაყალბებული ხელმოწერებით.

იცოდით ანდერძის არსებობის შესახებ?

არასოდეს განგვიხილავს ანდერძის საკითხი. ერთხელ დაიწყო ბადრიმ ლაპარაკი და გავაჩერე, რა დროს შენი ანდერძია-მეთქი. ეს იყო და ეს.

ბორის ბერეზოვსკი, რომელთანაც ბადრი პატარკაციშვილმა 2006 წელს ეკონომიკური „გაყრა“ გამოაცხადა,

ამტკიცებს, რომ „გაყრა“ მხოლოდ ერთგვარი ფანდი იყო, რათა თავიანთი ბიზნესი რუსული სადაზვერვო სამსახურისგან დაეფარათ. ახლა ბერეზოვსკი აცხადებს, რომ სინამდვილეში არაფერი შეცვლილა და რომ საერთაშორისო ბიზნესიმპერიის ნახევარი მას ეკუთვნის.

ბადრის სიკვდილის შემდეგ ბერეზოვსკიმ მთხოვა, ხელი მომეწერა დოკუმენტზე და დამედასტურებინა მისი და ბადრის პარტნიორობა.

მე ვიცოდი, რომ მას და ბადრის საქმიანი ურთიერთობები ჰქონდათ, თუმცა არ ვიცოდი, რა სახის. მსმენოდა ასევე მათი ფინანსური გაყრის შესახებ, რომელიც 2006 წელს გამოაცხადეს. მეტი არაფერი ვიცოდი, მაგრამ ამის გარკვევისთვის სათანადო დრო არ იყო, ეს ხდებოდა ბადრის გარდაცვალებიდან ძალიან მალე, ზუსტად იმ დღეს, როცა ბადრი თბილისში უნდა გადმოგვეყვანა.

საქმის გარკვევის თავი არ მქონდა და ხელი მოვაწერე ამ დოკუმენტს.

დრო გავიდა, მეც ჩავიხედე დოკუმენტებში და ჩემი ხელმოწერა გამოვითხოვე უკან. ახლა სასამართლოში ვარკვევთ ფინანსურ ურთიერთობებს.

რა ეწერა იმ დოკუმენტში?

დოკუმენტში ეწერა, რომ ბადრი და ბორია იყვნენ პარტნიორები და რომ მე, როგორც ქვრივი, ვარ ბორიას პარტნიორი. როგორც მერე მივხვდი, ეკონომიკური გაყრა მართლაც შედგა. ახლა ეს საქმე ლონდონის სასამართლოში განიხილება. პროცესი, სავარაუდოდ, მომავალ წელს გაიმართება.

სხვა ქონებასთან და აქტივებთან ერთად, ჯოზეფ ქეის მმართველობაშია „ტელე იმედი“. როგორ აღმოჩნდა ტელევიზია ქეის მმართველობაში და რა ეტაპზეა დავა?

„იმედის“ და მთაწმინდის პარკის საქმე საერთაშორისო არბიტრაჟმა უნდა განიხილოს. „იმედის“ მმართველობის სტრუქტურა ძალიან ჩახლართულია. ტელევიზია ბადრიზე არ იყო გაფორმებული. ყველამ იცოდა, რომ ბადრის ეკუთვნოდა, მაგრამ უშუალოდ მასზე არ იყო გაფორმებული.

ვისზე იყო ტელევიზია გაფორმებული?

სხვადასხვა სტრუქტურაზე და გოგი ჯაოშვილზე, რომელიც ამჟამად საქართველოში არ არის და მასთან კავშირი არ მაქვს.

ახლა საერთაშორისო არბიტრაჟმა უნდა გადაწყვიტოს, შემეძლება თუ არა ამ საქმის ხელში აღება.

როცა სასამართლოებს მიმართავთ, ვისი სახელით ჩივით, როგორც ქვრივი?

სასამართლოს მივმართავ არა მარტო როგორც ქვრივი, არამედ ოჯახის სახელით. მე, ჩემი შვილები, ქალბატონი ნათელა და ბადრის და-ძმა ერთად გამოვდივართ.

ჟურნალ „Vanity Fair“-თან ინტერვიუში, თქვენ ამბობდით, რომ ბადრი პატარკაციშვილს პოლიტიკაში წასვლა ბორის ბერეზოვსკიმ გადააწყვეტინა. გარდა ბერეზოვსკის დარწმუნებისა, რამ იმოქმედა მის გადაწყვეტილებაზე, რა უნდოდა მას პოლიტიკაში?

ადვილია ბერეზოვსკის გავლენის ქვეშ მოხვედრა, მან იმოქმედა ბადრის გადაწყვეტილებაზე. თუმცა ბადრი არ იყო ადვილად მართვადი ადამიანი, მას უნდოდა არა მხოლოდ ქველმოქმედებით დახმარებოდა ამ ქვეყანას, არამედ თვითონაც რამე ეკეთებინა.

მე ვარწმუნებდი, არ წასულიყო პოლიტიკაში, რომ ეს მისი საქმე არ იყო, ვეუბნებოდი ეკეთებინა ის, რაც მან იცოდა და შეეძლო, რომ პოლიტიკა სხვა სფეროა, რომ ეს არის პროფესია, რომელშიც დილეტანტობა არ შეიძლებოდა.

მას უნდა ეკეთებინა ის, რაც კარგად გამოსდიოდა. ის არ იყო მზად პოლიტიკისთვის.

ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ზელცერმა წარმოადგინა თქვენი მეუღლის მეორე ქორწინების მოწმობა და ანდერძი, სადაც მისი 14 წლის ვაჟი, დევიდია ნახსენები. თქვენ იცოდით ამ ქორწინების შესახებ?

მიჭირს ამ თემაზე საუბარი. მართალია რომ არსებობს ბიჭი, დავით პატარკაციშვილი, რომელიც მე ვაღიარე და მემკვიდრეების სიაში წერია.

„ადვილია ბერეზოვსკის გავლენის ქვეშ მოხვედრა, მან იმოქმედა ბადრის გადაწყვეტილებაზე – წასულიყო პოლიტიკაში“.

ქორწინების მოწმობა კი, მოსკოვის სასამართლომ არ სცნო.

რატომ აღიარეთ?

ძალიან ჰგავს ფიზიკურად. ჩემმა დედამთილმა და მულებმაც დამიდასტურეს, რომ ის მართლაც ბადრის შვილია. მანამდე არ მეუბნებოდნენ, ჩემს გრძნობებს უფრთხილდებოდნენ.

როდის დამთავრდება მემკვიდრეობისთვის ბრძოლა?

რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ეს სასამართლოებზეა დამოკიდებული. საქმეების მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე, პროცესები სულ მცირე მომავალ წლამდე გაგრძელდება.

ესაუბრა ნანა საჯაია.

ახალი მედიის ოპტიმისტები და პესიმისტები

ახალი მედიის მთავარი ძალა საზოგადოების განწყობების ასახვა და თანამოაზრეთა დაახლოების ხელშეწყობაა.

გიორგი ცხადაია

ბოლო დროს მომხდარი რევოლუციების და საპროტესტო აქციების კვალდაკვალ გაიზარდა იმის რწმენა, რომ ინტერნეტსა და ახალ მედიას სოციალური პროტესტის გაძლიერება შეუძლია. ახალი მედიის ენთუზიასტები იქამდეც მიდიან, რომ ახალ მედიას პროტესტის წარმოშობის მიზეზად ასახელებენ. ამ წარმოდგენის მიხედვით, ინტერნეტი თვისებრივად თავისუფალი და „დემოკრატიული" კომუნიკაციის საშუალებას გვაძლევს, ამიტომ იგი ეწინააღმდეგება ძალაუფლების ავტორიტარულ ფორმებს და ქმნის „ნაპრალებს", რომლის მეშვეობითაც რეჟიმით უკმაყოფილოები თავიანთ პოზიციას ხმამაღლა გამოხატავენ და ერთმანეთთან თანამშრომლობენ. საწინააღმდეგოს ამტკიცებენ ახალი მედიის სკეპტიკოსები. ისინი მიიჩნევენ, რომ ინტერნეტს საზოგადოებაში თვისებრივი ცვლილებების განხორციელება არ ძალუძს, იგი, უბრალოდ, ერთ-ერთი საშუალებაა წარმოშობილი სოციალური პროტესტის გამოსახატავად.

ახალი მედიის ენთუზიასტებსა და სკეპტიკოსებს შორის დებატები წამყვანი ბეჭდური გამოცემების და ბლოგების (ვებ) ფურცლებზე მიმდინარეობს. ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი პოზიცია წარმოშობით ბელარუს მკვლევარს ევგენი მოროზოვს და ცნობილ კანადელ ჟურნალისტს მალკოლმ გლადუელს აქვთ. ორივე მათგანი სკეპტიკოსების ბანაკს მიეკუთვნება. ამავდროულად, მოროზოვი, გლადუელისგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ ინტერნეტს ადამიანთა ორგანიზების წამახალისებელი, გარკვეული შესაძლებლობები მაინც აქვს.

ხალხი ზეიმობს მუბარაქის გადადგომას, კაირო, თაჰრირის მოედანი, 11 თებერვალი 2011

ფოტო: ალალუნ ბაჰრმანი / REUTERS

გლადუელის სტატია „პატარა ცვლილება: რატომ ვერ მოხდება რევოლუციის „გატვიტერება" ჟურნალ „ნიუ-იორკერში" 2010 წლის ოქტომბერში დაიბეჭდა და მისი ძირითადი არგუმენტი სოციალური მედიის საჯარო ხასიათს ეხებოდა. გლადუელი ამტკიცებს, რომ სოციალური მედია, მათ შორის, „ფეისბუკი" და „ტვიტერი", ე.წ. „სუსტი კავშირების" გასაბმელად იდეალური საშუალებებია, თუმცა ისინი ვერ ცვლიან ადამიანებს შორის არსებულ ე.წ. მტკიცე კავშირებს. „სუსტი კავშირები" მოიცავს ისეთ ნაცნობებს, რომლებთანაც, როგორც წესი, ემოციური კავშირი არ გვაქვს და მათი პირადი ცხოვრების შესახებაც არც ისე ბევრი ვიცით, მაშინ როდესაც „მტკიცე კავშირები" მოიცავს ახლო მეგობრებს და ნათესავებს. სოციალური ქსელები, გლადუელის მტკიცებით, საზოგადოებას ეხმარება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინოვაცია, ინტერდისციპლინარული პროექტების წამოწყება, მყიდველებისა და გამყიდველების ერთმანეთთან დაკავშირება, სასიყვარული ურთიერთობების წამოწყება და ა.შ. ხოლო, როდესაც საქმე სოციალურ და პოლიტიკურ პროტესტს ეხება, მტკიცე კავშირების გარეშე არაფერი გამოდის.

მტკიცე კავშირების სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის დასადასტურებლად გლადუელს მოჰყავს ამერიკის სამხრეთში 60-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო უფლებების დასაცავად და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ წარმოებული საპროტესტო კამპანიები. აფროამერიკელი სტუდენტების მასობრივი პროტესტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ოთხმა საუკეთესო მეგობარმა ერთ-ერთ ადგილობრივ პაბში სეგრეგაციული კა-

ნონები გააპროტესტა. ისინი ყოველ ღამე ერთ-ერთი მათგანის ოთახში იკრიბებოდნენ და გეგმავდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მომდევნო დღეს. შედეგად, ოთხი სტუდენტის წამოწყებული აქცია ათობით ათასი აფროამერიკელი და მათი მხარდამჭერი თეთრკანიანების მასობრივ პროტესტად გადაიქცა.

ახალი მედიის დემოკრატიული პოტენციალის წინააღმდეგ, გლადუელის მეორე მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ინტერნეტი და სოციალური ქსელები დეცენტრალიზებულია. „სამოქალაქო უფლებების მოძრაობის“ აქტივისტები მკაცრი იერარქიული და ცენტრალიზებული კონტროლის პირობებში მოქმედებდნენ. მათი წარმატება სწორედ შრომის განაწილებისა და მკაცრი დისციპლინის შედეგი იყო. გლადუელის აზრით, დეცენტრალიზირებულ ქსელებში მოქმედი ინტერნეტ აქტივისტები კი ასეთი ხარისხის კოორდინაციას და, შესაბამისად, ეფექტიანობას ვერ აღწევენ.

ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში (სადაც მათი უმრავლესობა ბარაკ ობამას უჭერდა მხარს), ირანის მწვანეთა მოძრაობის აღმავლობა, ლიონის და ლონდონის ქუჩის პროტესტები და ახლა უკვე ეგვიპტის რევოლუციაც ახალი თაობის მიერ წამოწყებული გრანდიოზული ცვლილებების დასაწყისია.

ორივე ზემოთგანხილული პოზიციის რადიკალიზმი ყურადღების მიღმა ტოვებს ახალი მედიის და სოციალური ქსელების მთავარ სიძლიერეს – თანამოაზრეების პოვნის წახალისებას. მართალია, სოციალური მედია ადამიანებს „სუსტი კავშირების“ შეძენაში უფრო მეტად ეხმარება, მაგრამ ამ სუსტი კავშირების მთავარი ღირსება მხოლოდ „მეტი ინფორმაციის მიღება, ან სამსახურის შოვნის გაადვილება კი არ არის, არამედ საერთო პოზიციების მქონე ადამიანების დაახლოებაა. ახალი მედიის სკეპტიკოსები სათანადოდ ვერ აფასებენ „სუსტი კავშირების“ მნიშვნელობას, მაშინ, როდესაც

სოციალური ქსელები ადამიანებს ეხმარება არა მხოლოდ თანამოაზრეების პოვნაში, არამედ საზოგადოებაში გამეფებული განწყობების უკეთ აღქმაში.

ახალი მედიის სკეპტიკოსებს არ ეთანხმება ინგლისელი ბლოგერი და პოლიტიკური კომენტატორი ენდრიუ სალივანი. მან ტუნისის რევოლუციას „ტვიტერის რევოლუციაც“ კი უწოდა (რასაც ევგენი მოროზოვის საკმაოდ უხეში გამოხმაურება მოჰყვა). 2009 წლის ივნისში, ირანში მიმდინარე ოპოზიციური პროტესტის დროს, სალივანი ბლოგზე წერდა, რომ ახალი მედია მოქალაქეებს ეხმარება, გვერდი აუარონ ხელისუფლებისგან კონტროლირებულ მეინსტრიმ მედიას, დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი და მოახდინონ საკუთარი თავის ორგანიზება. „ხალხს ვეღარ შეაჩერებენ“, აცხადებდა სალივანი. იგი პროტესტების ტალღას უკავშირებდა ახალ თაობას, რომელიც „ახალ ტექნოლოგიებს ძველი ფორმებისა და წესრიგის შესაცვლელად გამოიყენებს“. ამ თეორიის მიხედვით, ახალგაზრდების მაღალი აქტივობა 2008 წლის ახალი მედიის ენთუზიასტები აჭარბებენ, როდესაც ამბობენ, რომ ინტერნეტი მყისიერად აყალიბებს სოციალურ პროცესებს (ანუ მყისიერად ცვლის ცნობიერებას).

ამავდროულად, სოციალური ქსელები ადამიანებს ეხმარება არა მხოლოდ თანამოაზრეების პოვნაში, არამედ საზოგადოებაში გამეფებული განწყობების უკეთ აღქმაში. დღეს ბლოგების, ფეისბუკის კომენტარების, „ტვიტების“, ფორუმების კითხვა თანამედროვე ჟურნალისტების საყვარელ საქმიანობად იქცა. სწორედ ამიტომ, ისინი ვირტუალურ სივრცეში ასახულ მოვლენებს ხშირად ახალი ტექნოლოგიების განმათავისუფლებელი პოტენციალის დასტურად მიიჩნევენ. მაგალითად, ჟურნალისტებს შეცდომით ეგონათ, რომ ირანული პროტესტის მთავარი მამოძრავებელი ძალა „ტვიტერი“ იყო, მაშინ როდესაც ირანში იმ დროისთვის „ტვიტერზე“ მხოლოდ 19 235 ოფიციალურად დარეგისტრირებული მომხმარებელი იმყოფებოდა.

მეორე მხრივ, ახალი მედიის ენთუზიასტებს იმაში შეიძლება დავეთანხმოთ, რომ თანამოაზრეების უკეთ პოვნა და საზოგადოების განწყობის დადგენას გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანების აზროვნების ცვლილება შეუძლია. თანამედროვე ადამიანი თავს აღარ გრძნობს სოციალურ და კულტურულ გარემოზე მიჯაჭვულ არსებად. მას თავისი აზრები უკვე თამამად შეუძლია გამოთქვას არა მხოლოდ სამეგობროში ან თუნდაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, არამედ მთელი მსოფლიოს გასაგონად. ეს კი ზრდის იმის ალბათობას, რომ ადამიანი მოწყდება თავის უშუალო გარემოს და დაიწყებს საკუთარი ცხოვრების თავიდან კონსტრუირებას. ინტერნეტი განსხვავებული, მიუღებელი ან რადიკალური აზრის მქონე ადამიანებს ანახებს, რომ ისინი მარტონი არ არიან და მათ ცვლილების განხორციელება შეუძლიათ. ახალი თაობის სოციალური და პოლიტიკური აქტივობის გაზრდაც სწორედ ამ ფენომენით შეიძლება აიხსნას: ახალგაზრდები გრძნობენ, რომ ინტერნეტის დახმარებით, მათ თავიანთი ღირებულებების (რომლებიც ხშირად არ არის ძველი თაობის ან გაბატონებული რეჟიმის ღირებულებების იდენტური) გამოხატვა და გავრცელება უფრო ადვილად და ეფექტურად შეუძლიათ.

ახალი მედიის სკეპტიკოსებს აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ მაგალითად, ტუნისის და ეგვიპტის რევოლუციების გამომწვევი მთავარი მიზეზი ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი იყო და არა ახალი ტექნოლოგიების გაჩენა. ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს და კრიტიკულად უნდა გავიაზროთ ის ცვლილებები, რომელიც ინფორმაციულმა საზოგადოებამ მოიტანა. ახალი მედიის ნამდვილი პოტენციალის დანახვისთვის სიდინჯე, რადიკალური ნიჰილისტური თუ ოპტიმისტურ-უტოპიური განცხადებებისგან თავის შეკავება და მოთმინება გვჭირდება. ბოლო დროს ამ თემაზე გამართულ საჯარო დებატებში, სამწუხაროდ, ეს თვისებები იშვიათად ჩანდა.

ცეხვა სიხვდილის შემდეგ, განკოჩნინება სიხვდილამდე

ბერლინის 61-ე საერთაშორისო კინოფესტივალი – მოთელილი თემებით და გაუთლელი არტ-პოლიტიკით

დავით ბუხრიკიძე

კადრი ვიმ ვენდერსის ფილმიდან „პინა“

„ბერლინალესთან“ თერთმეტწლიანი და საკმაოდ რთული „რომანის“ შემდეგ, წლევანდელი ფესტივალი გამონაკლისი აღმოჩნდა, როცა გარკვევით ვიცოდი, რა და რატომ უნდა მენახა. პუნქტი პირველი: მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქორეოგრაფის, პინა ბაუშის შესახებ დოკუმენტური ფილმი, რომელიც რეჟისორმა ვიმ ვენდერსმა დიდი ხნის წინ დაიწყო და მისი სიკვდილის შემდეგ დაამთავრა; პუნქტი მეორე: კინომანებისთვის კარგად ცნობილი, მაგრამ მაყურებლისთვის თითქმის უცნობი უნგრელი რეჟისორის, ბელა ტარის შავ-თეთრი ფილმი „ტურინული ცხენი“; პუნქტი მესამე (აშკარად სუბიექტური): ცნობილი ბრიტანელი მსახიობის, რალფ ფაინსის რეჟისორული გაბაასება ყველაზე დიდ თანამემამულესთან – უილიამ შექსპირთან – „კორიოლანოსის“ თაობაზე.

სამრეწველო ქალაქში მოცეკვავენი

კლასიკოსმა ვიმ ვენდერსმა, რომლის გამოჩენა ნებისმიერ კინოფესტივალზე უკვე ცალკე აღებული არტეფაქტია, პინა ბაუშის შესახებ გადაღებული ფილმით, თითქოს საკუთარი შემოქმედებითი კრიზისიც დაძლია. ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ისინი დიდი მეგობრები იყვნენ, რამაც თავისებური გაგრძელება გასულ წელს გა-

რაფლ ფაინსის ფილმ „კორიოლანოსის“ გადაღებები

დაღებულ დოკუმენტურ ფილმ „პინაში“ ჰპოვა. არაფრით გამორჩეულ, ნაცრისფერ ვუპერტალში ნიუ-იორკიდან დაბრუნებულმა ქორეოგრაფმა საკუთარი ცეკვის თეატრი დააარსა. „ტანცთეატრში“ (გერმანულად „ცეკვის თეატრი“) სხეულის განუზომელი შესაძლებლობები აღმოაჩინა.

სცენები სპექტაკლებიდან „კურთხეული გაზაფხული“, „კაფე მიულერი“, „პალერმო, პალერმო“, „კონტაქტჰოფი“ და სხვა, სამგანზომილებიანი ფორმატით კიდევ უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მხოლოდ მოცეკვავეთა მსხვილი ხედით აღბეჭდილ სახეებს ვხედავთ. მათ მეტყველ ჟესტებს, რომელშიც უცნაურ და ჩუმ სასოწარკვეთას გრძნობთ. მათ ცხოვრებაში რაღაც ძალიან დიდი და ძვირფასი დამთავრდა.

სხვა ყველაფერი ცეკვის სტიქიას ეთმობა. ცეკვა ყველგან: შემოდგომის ბაღებში, მდინარის პირას, საცურაო აუზთან, ქვიშის კარიერის თავზე, ცარიელ ორანჟერეაში, მიტოვებული ქარხნის ტერიტორიაზე, ხმაურიანი ქუჩების გზაჯვარედინზე... ფილმში ცეკვა უფრო შინაგან მდგომარეობას ნიშნავს და ამდენად,

ფოტო: კრისტიან ჩარისიუსი / REUTERS

რეჟისორი რალფ ფაინსი, ბერლინალე 2011

უკვე ფორმალური და ზუსტი კონცეფცია კარგად არის გამოკვეთილი. ვერც ოდნავ შესამჩნევი იუმორი, ვერც ოპერატორისა და მხატვრის ბრწყინვალე ნამუშევარი, ვერც ლანდშაფტის, არქიტექტურისა და ცეკვის მოულოდნელი შერწყმა, ვერ ანელებს იმ დრამატულ პოეზიას, რომელიც ფილმიდან მოდის...

პოლიტიკური შექსპირი, შავ-თეთრი ეგზისტენცია და ისევ ბედკრული ირანი

კარგად აწონილ-დაწონილი პოლიტიკა რომ „ბერლინალეს“ განუყოფელი ნაწილია, ეს საკონკურსო პროგრამამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. სერბეთში საკმაოდ იაფად გადაღებული რალფ ფაინსის „კორიოლანოსი“ უფრო აქტუალური და პოლიტიკურია, ვიდრე მაგალითად, ანდრეას ფაიელის ფილმი „ვინ, თუ არა ჩვენ“, რომელშიც 60-70-იანი წლების გერმანიაში მემარცხენეთა საშიში „გამოღვიძებაა“ ნაჩვენები. ცნობილი ლიტერატორისა და შემდგომში მრავალი ტერორისტული აქტის მომწყობის, გუდრუნ ენსლინის მაგალითზე რეჟისორი თანამედროვე ევროპაში რევოლუციური უტოპიის შეუძლებლობას წარმოაჩენს.

შექსპირის შედარებით ნაკლებად ცნობილი ტრაგედიის ეკრანიზაცია უფრო თანამედროვე პოლიტიკური კრიზისითა და ძალადობით დაღლილი სამყაროს ანარეკლია. შექსპირი ფაინსის ინტერპრეტაციით გაცილებით დაუნდობელია, ვიდრე ჰარლემის უბანი ან ძველი რომი. ფილმში პატრიცების ნაცვლად თანამედროვე

კადრი ბელა ტარის ფილმიდან „ტურინული ცხენი“

კოსტიუმებში გამოწყობილ პოლიტიკოსებს ვხედავთ, რომლებიც ხალხით ისევე მანიპულირებენ, როგორც ძველი რომაელები. შექსპირის ტექსტი და მონოლოგები მოქცეულია სატელევიზიო ნიუსების ჩარჩოებში, რაც, ალბათ, ირონიაა. მთავარსარდალ კორიოლანოსს თავად რალფ ფაინსი ასახიერებს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ლონდონის ერთ-ერთ თეატრშიც ითამაშა. ტულუს ოფიდიუსს სათავგადასავლო-ისტორიულ ფილმებში გამობრძმედილი მსახიობი ჟერარ ბატლერი, ხოლო კორიოლანოსის დედას, ძლიერ და ამბიციურ ვოლუმნიას, ასევე სახელოვანი ბრიტანელი – ვანესა რედგრეივი ასახიერებს.

ირანული ფილმი „ნადერი და სიმინი, განშორება“ (რეჟისორი აჰგარ ფარჰადი ჯერ კიდევ ორი წლის წინ „ვერცხლის დათვით“ დააჯილდოვეს) „ბერლინალეზე“ უკვე გარკვეულ უპირატესობას გულისხმობდა. მით უმეტეს, დაპატიმრებული ჯაფარ პანაჰის მხარდამჭერი აქციების ფონზე. ორი ოჯახური წყვილის განქორწინებები – ერთი ელიტური და მეორე ღარიბი, ზუსტად წარმოაჩენს ირანული საზოგადოების სოციალურ, მორალურ და არა მითო-პოეტურ სურათს, რასაც ირანელი რეჟისორები ხშირად თავს აფარებდნენ. იგავისა და პოეზიის ნაცვლად, ფარჰადი დაუნდობელ სიმართლეს და ღირსებას ირჩევს. ფილმში ირეკლება, აგრეთვე, დიდი ევროპული კინემატოგრაფის ეთიკური და მხატვრული ტრადიციები, რომელმაც „ბერლინალეს“ სპეციალურ პროგრამაში წარმოდგენილი ბერგმანიც კი გამახსენა.

და ბოლოს, ბელა ტარის ბრწყინვალე შავ-თეთრი ფილმის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ „ტურინულ ცხენში“ სამი პერსონაჟია: კაცი, ქალი და... ცხენი. სადღაც მიყრუებულ ხუტორში მცხოვრები მამა-შვილი თითქოს აპოკალიფსის მოლოდინშია. განუწყვეტელი ქარი, ყოველდღიური ოჯახური საქმიანობით შევსებული უსასოობა, კარტოფილის ლამის რიტუალური ჭამა და აღსასრულის მომლოდინე ცხენი – სულ ეს არის, მაგრამ მაგია იმაშია, რომ ის ნიცშეს მოთხრობის მიხედვით შეთხზულ ისტორიაში კაცობრიობისა და კულტურის აღსასრულს ხედავს. „არ მაინტერესებს არც პრიზები და არც წარმატების მოლოდინი მაქვს, რადგან ყველაფერი ამაოა!“ – განაცხადა მან პრესკონფერენციაზე.



რეჟისორი ბელა ტარი

იქნებ ბერლინის კინოფესტივალის მთელი მითები აქტუალურ და არაპოლიტკორექტულ კინოზე სწორედ რომ გაუთლელი არტპოლიტიკის უარყოფაა, რომელსაც დიდი ხანია ემსხვერპლნენ ბელა ტარის რანგისა და შეხედულებების რეჟისორები.

მიშელ ობამა შვილებს FACEBOOK–ის გამოყენებას უკრძალავს

ამერიკის პირველი ლედი საკუთარ ქალიშვილებს Facebook–ის გამოყენების ნებას არ აძლევს. ამის შესახებ მიშელ ობამამ ტელეკომპანია NBC–ს შოუ Today–ს ეთერში განაცხადა. პირველი ლედის თქმით, იგი ბავშვებს სოციალური ქსელით სარგებლობას იმ შემთხვევაშიც აუკრძალავდა, მათი მამა ამერიკის პრეზიდენტი რომ არ ყოფილიყო. „მე არ მომწონს, როდესაც მცირეწლოვანი ბავშვები Facebook–ით სარგებლობენ, ეს ის არ არის, რაც მათ ნამდვილად სჭირდებათ",–აღნიშნა მან. კითხვაზე ოდესმე დართავს თუ არა შვილებს საკუთარი პროფილის გახსნის ნებას, ობამამ უპასუხა, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის დატოვებს ოჯახი თეთრ სახლს და რამდენი წლისები იქნებიან მაშინ გოგონები. Facebook–ის წესებით, ქსელზე დარეგისტრირება მხოლოდ 13 წელს ზემოთაა ნებადართული, ბარაკ ობამას შვილები კი 12 და 9 წლისანი არიან.

„რევოლუციონერი" TWITTER–ის ფასი გაიზარდა

Twitter-ის ხელმძღვანელობა სერვისის გაყიდვასთან დაკავშირებით ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს. უცხოური მედიის ცნობით, შეძენის ორი მთავარი მსურველი ინტერნეტ-გიგანტები Google და Facebook არიან. ცნობილია სავარაუდო ფასიც – პოტენციური მყიდველები მზად არიან, Twitter-ში 10 მილიარდი დოლარი გადაიხადონ. ცნობისთვის – გასულ წელს Twitter 3,7 მილიარდი ღირდა, 2009 წლის შემოდგომაზე კი მისი ფასი მილიარდი დოლარიც არ იყო.

წამყვანი ინტერნეტ-კომპანიების Twitter-ით დაინტერესება და მისი ფასის ასეთი ზრდა სრულიად ლოგიკურია – ბოლო დროა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა თუ ინფორმაციის ოპერატიულად გავრცელებაში Twitter უდიდეს როლს ასრულებს. მისი საშუალებით ინტერნეტ-მომხმარებლებს და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს რეალურ დროში შეუძლიათ მოვლენების განვითარებისთვის თვალის მიდევნება.

სწორედ ეს მოხდა Wikileaks-ის დამფუძნებლის, ჯულიან ასანჟის სასამართლო პროცესის გაშუქებისას. Twitter-ის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა ტუნისისა და ეგვიპტის მოვლენების შემდეგ. ამ ქვეყნებში რეჟიმის ცვლილებას „Twitter-ის რევოლუციებსაც" კი უწოდებენ. სწორედ მიკრობლოგების სერვისზე იგეგმებოდა საპროტესტო აქციები და ხდებოდა დემონსტრანტების მოქმედებების კოორდინაცია. Twitter-ის პოპულარობას ხელს უწყობს ისიც, რომ სერვისს აქტიურად იყენებენ ცნობილი ადამიანები, მათ შორის – რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, ეგვიპტელი ნობელიანტი

მოჰამედ ელ ბარადეი, მომღერალი ქეითი პერი.

2010 წელს კომპანიის მოგება 45 მილიონი დოლარი იყო. წელს, სავარაუდოდ, ეს რიცხვი 150 მილიონამდე გაიზრდება. სერვისს ამჟამად დაახლოებით 200 მილიონი მომხმარებელი ჰყავს.

სტივ ჯობსი სიახლეებს ამზადებს

ავადმყოფობის მიუხედავად, Apple–ის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი სტივ ჯობსი კომპანიის მართვაში აქტიურ მონაწილეობას აგრძელებს. 55 წლის ჯობსი მეორე თაობის iPad–ის და iPhone–ის მეხუთე ვერსიის გამოშვებისთვის ემზადება.

IPad 2–ის წარმოება უკვე დაწყებულია. ახალს, წინა ვერსიისგან განსხვავებით, ვიდეოკამერა, მეხსიერების გაზრდილი მოცულობა და უფრო მძლავრი პროცესორი ექნება. მცირე კორექტივები შევა დიზაინშიც. რაც შეეხება iPhone–ის ახალ, ბიუჯეტურ ვერსიას, იგი, სავარაუდოდ, 200 დოლარი ეღირება, ამჟამინდელ მეოთხე ვერსიაზე ორჯერ უფრო კომპაქტური და მსუბუქი იქნება და სახელად iPhone nano ერქმევა. iPhone nano–ს მთავარი მიზანი Android–ის ბაზაზე შექმნილი სმარტფონებისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევა იქნება. საქმე ისაა, რომ Android –ზე დაფუძნებული ე.წ. „გუგლოფონები" ბოლო დროს სულ უფრო პოპულარული ხდება. რაც მთავარია, მათ შორის საკმაოდ ბევრია ნაკლებად ძვირადღირებული მოდელებიც. ბიუჯეტური iPhone nano–ს შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ „გუგლოფონებზე" პირველი უარყოფითი გავლენა უკვე მოახდინა. 5%–ით შემცირდა Motorola–ს აქციების ფასი, რომელიც Android–ის ბაზაზე შექმნილ ტელეფონებს ამერიკაში ჰყიდის. სხვათა შორის, უკანასკნელ კვარტალში Motorola–მ 4,9 მილიონი სმარტფონი გაყიდა, Apple–ს შემთხვევაში კი მაჩვენებელი 16 მილიონზე მეტია.

TOUCHPAD – IPAD–ის „მკვლელი" HP–სგან

ამერიკულმა კომპანია Hewlett-Packard–მა ახალი პლანშეტური კომპიუტერი TouchPad წარადგინა. შემქმნელები

ამტკიცებენ, რომ იგი ამ სეგმენტის ყველაზე პოპულარულ პროდუქტს Apple–ის iPad–ს ღირსეულ კონკურენციას გაუწევს. კომპანიაში აცხადებენ, რომ უკვე მიმდინარე წელს 50 მილიონზე მეტ TouchPad–ს გაყიდიან. HP–ს პლანშეტური კომპიუტერი 700 გრამს იწონის და 24,6 სანტიმეტრის სიგრძისაა. მისი მახასიათებლები კი სრულად ემთხვევა iPad–ისას. კომპიუტერის ერთ მოდიფიკაციას მხოლოდ Wi-Fi–ს, მეორეს კი – 3G–ს მხარდაჭერაც ექნება. მოწყობილობა კომპანია Palm–ის ოპერაციულ სისტემას webOs–ს იყენებს. ეს კომპანია Hewlett-Packard–მა გასულ წელს 1,2 მილიარდ დოლარად იყიდა.

MICROSOFT–თან პარტნიორობა – NOKIA–ს რეანიმაციის გეგმა

მობილური ტელეფონების უმსხვილესმა მწარმოებელმა Nokia–მ Microsoft–თან სტრატეგიული თანამშრომლობის დაწყების შესახებ ოფიციალურად განაცხადა. პროგრამა, ძირითადად, Windows Phone 7–ის ბაზაზე ახალი სმარტფონების შექმნას გულისხმობს. კომპანიის გენერალური დირექტორის სტივენ ელოპის თქმით, ეს ნაბიჯი Nokia–ს ძველი პოზიციების დაბრუნებასა და მომხარებლებისთვის სრულიად ახალი პროდუქტების შეთავაზებაში დაეხმარება. ელოპი თვლის, რომ Windows Phone–ის მხარდაჭერა კომპანიისთვის შექმნილ ვითარებაში ყველაზე რეალური გამოსავალია.

კომპანია საკუთარი ოპერაციული სისტემების Symbian–ისა და MeeGo–ს გამოყენებაზე უარს არ ამბობს, თუმცა ისინი მეორე პლანზე გადაინაცვლებს. კომპანია წელს დაახლოებით 150 მილიონი Symbian–ზე აწყობილი ტელეფონის რეალიზაციას გეგმავს, 2012 წელს კი Windows Phone 7–ზე დამყარებული პირველი აპარატი გამოვა.

ახალ ინიციატივას კმაყოფილებით ჯერჯერობით მხოლოდ კომპანიების ტოპ–მენეჯერები შეხვდნენ. ელოპის გადაწყვეტილებით აღშფოთებულები არიან Nokia–ს აქციონერები, რომლებიც უახლოეს შეკრებაზე გადატრიალების მოწყობას გეგმავენ. 9 მათგანმა ღია წერილი გამოაქვეყნა და ყველა აქციონერს 2011 წლის 3 მაისს გასამართ კრებაზე მხარდაჭერისკენ მოუწოდა. წარმატების შემთხვევაში, ჯგუფი პირობას დებს, რომ კომპანიას განვითარების ინოვაციური გზით წაიყვანს. პირველ რიგში, კი ისინი Nokia–ს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის სტივენ ელოპის გადაყენებას და მის ნაცვლად მობილური ინდუსტრიის წარმომადგენლის დანიშვნას გეგმავენ.

საქმე იმაშია, რომ სტივენ ელოპი, რომელიც Nokia–ს დირექტორთა საბჭომ კომპანიის ხელმძღვანელად გასული წლის შემოდგომაზე დანიშნა, Microsoft Business Division–ის ყოფილი დირექტორია. Microsoft–თან სტრატეგიული თანამშრომლობის გამოცხადების შემდეგ კი ბევრმა ექსპერტმა მას Microsoft–ის „ტროას ცხენი“

უწოდა. თავად ელოპი ამ ფაქტს უარყოფს და ამბობს, რომ მას არ აქვს კომპანიის კურსის ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილება და ამას დირექტორთა საბჭო ხმის მიცემის გზით განსაზღვრავს. ელოპი ამბობს, რომ სწორედ ასე მოხდა Microsoft–თან პარტნიორობის გაფორმებაც.

კომპანიების პარტნიორობის შესახებ განცხადების შემდეგ Nokia–ს აქციების ფასი14%–ით შემცირდა.

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

ლიბერალი

სპეციალური შეთავაზება

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი **ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!**

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: **(899) 48 62 41**
ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: **subscribe@liberali.ge**

სექსუალური სხოვრების თავისებურებანი

ლაშა ბუღაძე, მწერალი

„ქალი სიმულირებული ორგაზმის შემდეგ“, ხოაო კარიტა

ნუ დავმალავთ, ისედაც ყველასთვის ცნობილია, რომ ქალებს ზოგჯერ მშვენივრად გამოსდით ორგაზმის სიმულირება. ზოგჯერ კი – მოდი, პირდაპირ ვთქვათ – შემაშფოთებლად არადამაჯერებლად.

ორგაზმის სიმულაციას რამდენიმე მიზეზი აქვს და ყველა ეს მიზეზი, როგორც წესი, მამაკაცის პატივისცემითაა განპირობებული. სიმულირებენ, რათა ვაჟკაცმა ვაჟკაცად ჩათვალოს თავი; სიმულირებენ, რადგან ხედავენ, როგორ ირჯება ეს საწყალი და უნდათ, ასე მაინც გამოხატონ მადლიერება; სიმულირებენ უბრალო ტაქტის გამო, ანგარების მიზნითაც და, ბოლოს და ბოლოს, იმიტომაც, რომ ეს ყველაფერი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს.

თუმცა ზოგისთვის სიამოვნებისა თუ ორგაზმის სიმულაცია პროფესიული საქმიანობის ნაწილიცაა – მაგალითად, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებისთვის. გაიხსენეთ თუნდაც ლუის ბუნუელის „დღის ლამაზმანი“ – რაც უფრო უკეთ ასრულებენ თავიანთ როლებს კახპები, მით უფრო მეტ ფულს იხდიან მამაკაცები. ჯერ კიდევ როდის თქვეს ვიქტორიანული ეპოქის მრავალტანჯულმა ბოზებმა: ჭეშმარიტ შეგრძნებებს ერიდე, მხოლოდ ითამაშე, თორემ ჭკუიდან შეიშლებიო.

თუმცა, ვიქტორიანელი გოგოებისგან განსხვავებით, ჩვენი ეპოქის მედიცინა სრულად სხვა მოსაზრებაზე დგას; ის ამბობს, რომ ფსიქიკასა და, ზოგადად, ორგანიზმს სწორედ ორგაზმის პერმანენტული სიმულაცია უქმნის პრობლემებს და არა პირიქით. ამასაც კი გვირჩევენ – სჯობს, უმალ საერთოდ სექსზე თქვა უარი, ვიდრე მუდმივ სიმულაციებს მიმართოო.

მე კი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩემს ადამიანურ მოვალეობად მიმაჩნია ამ გაფრთხილების შეხსენება ჩვენი საპარლამენტო ოპოზიციისათვის – პოლიტიკური ორგაზმის სიმულირება ზოგადად ოპოზიციური ვნებიანობისთვისაა სახიფათო! თავსაც დაიღუპავთ და სხვებსაც ჩაუკლავთ ტესტოსტერონებს!

დასაწყისში ხომ ჩამოვთვალე ორგაზმის სიმულაციის რამდენიმე ყველაზე ცნობილი მიზეზი, – აი, სწორედ ეს მოგივიდათ პრეზიდენტის პარლამენტში მისვლისას; მესმის, განა არა, გინდოდათ, რაც შეიძლება, მეტი პატივი გეცათ, კაცს კაცად... უფრო სწორად, პრეზიდენტს დემოკრატიულ პრეზიდენტად ეგრძნო თავი, – ვნებად დაიღვარეთ, იყვირეთ და იხმაურეთ, ხელები იქნიეთ და რაც შეგეძლოთ (და როგორც გევალებოდათ), ყველაფერი ჰქენით... მაგრამ ჯანმრთელობა? ჯანმრთელობაზეც ხომ უნდა გეფიქრათ? შეგახსენოთ, როგორ დაასრულა „დღის ლამაზმანში“ კატრინ დენევმა? განა არსებობს სადმე წყვილი, რომელიც ორგაზმის სიმულირებით შეინარჩუნებს იდილიურ ერთობას?

ვფიქრობ, ერთადერთი, რაც გადაგარჩენთ, ვნების ჩამკლავი თვითგვემითი პროცედურების ჩატარებაა. და კიდევ: არათუ ხელისუფლებასთან, არამედ საერთოდ – პოლიტიკურ სექსზე უნდა თქვათ უარი. რაც მეტს იყვირებთ, თქვენი ვნება მით უფრო არადამაჯერებელი, ხელოვნური და სასაცილო იქნება. თან მრისხანე სექს-პარტნიორსაც მუდმივად სხვებისკენ გაექცევა თვალი. ამიტომ... მონასტერში, მონასტერში, ძვირფასო ოფელიებო...

ყველა უნდა იცნობდეთ

გიო ახვლედიანი

ასე, თვალსა და ხელს შუა, იბადებიან ფეხბურთის ვარსკვლავები.

ჰოდა, უნდა იცნობდეთ – ჯეკ ვილშირი, ინგლისის ახალი იმედი.

პატრა ბიჭი, პატარა ქალაქიდან.

ჯეკ ვილშირის შესახებ წინა კვირაშიაც მოგახსენებდით, რახან ის პირველად გამოიძახეს ინგლისის ნაკრებში დანიელებთან სათამაშოდ. მაშინ მხცოვანმა ჟურნალისტმა, მისტერ ლოუტონმა დაწერა, კოპენჰაგენში ორი რამის გამო მივდივარ, სანავსადგურო რესტორნის დაუვიწყარი საჭმელების კიდევ ერთხელ გასასინჯად და ჯეკ ვილშირის საყურებლადო.

ვილშირი ახლა ცხრამეტი წლისაა და ათი წელია, რაც „არსენალში“ თამაშობს, თუ „ბოლტონში“ ხანმოკლე გაქირავებას არ მივიღებთ მხედველობაში. ანუ, მეთოფეთა ყველა ასაკის გუნდი გაუვლია. როგორც ჩვენში იტყვიან, არის ტვინით დაყურსული ბიჭი და, რაც მთავარია, დაბადებული ფეხბურთელად.

ის, ორი წელიწადია, „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ჩანს, ხან როდის და ხან როდის. ყოველთვის ამბობდნენ, კაი გაიზრდებაო, მაგრამ როგორც ჩანს, ახლა გარდამტეხი დღეები დგას.

საქმე ისაა, რომ ოთხშაბათ საღამოს ჩრდილო ლონდონში ჩემპიონთა ლიგის დიდი თამაში იყო, „არსენალი“-“ბარსელონა“, რომელსაც მგონი მთელმა მსოფლიომ უყურა. და ხუთშაბათს დილით მთელი მსოფლიო ამბობდა, რომ იმ ოცდაორ კაცში წინა საღამოს რომ დარბოდა „აშბარტონ გროუვის“ მინდორზე, საუკეთესო სწორედ ჯეკ ვილშირი იყო.

ეს უცნაურია და სენსაციური. იმიტომ, რომ „ბარსელონას“ წინააღმდეგ თამაში დღეს მართლაც ღვთის რისხვას უდრის. მიდი და ეთამაშე, ყველამ ვიცით, რაც არის დღევანდელი „ბარსელონა“, ლამაზი სიკვდილი, უძლიერესი, ლამაზი სიკვდილი. გკლავს და გსპობს მოცარტის მუსიკის თანხლებით.

ჰოდა, როცა დავიდ ვილიამ პირველად გაუტანა „არსენალს“, ყველამ იფიქრა, ისევ ძველ ისტორიას მივყვებით, „არსენალი“ კარგია, მაგრამ იმაში რასაც „არსენალი“ თამაშობს და რასაც არსენ ვენგერი ფეხბურთს ეძახის, სწორუპოვარი და განუმეორებელი სწორედ „ბარსელონაა“ და არა „არსენალიო“.

ასეც იყო, მაგრამ „არსენალმა“ ეს თამაში მოიგო. ჯეკ ვილშირს გოლი არ გაუტანია, მაგრამ როცა მოედანზე ხავი და ინიესტა არიან, მესი კი თავის ჩვეულ კოსმოსურ რამეებს აკეთებს, ხოლო მეტოქის გუნდს შეუძლია, ორმოცდახუთი უწყვეტი პასით გამოგიყვანოს მოთმინებიდან, და შენ კი ჯეკ ვილშირი დაგამახსოვრდება, ძალიან დიდი რამეა.

არსებობს პრაქტიკულად უშეცდომო თამაში და არსებობს უშეცდომო თამაში. ეს უკანასკნელი დღევანდელ ფეხბურთში თითქმის წარმოუდგენელია, პირველი კი რჩეულთა ხვედრია.

პრაქტიკულად უშეცდომო თამაში, რომელიც მატჩის მსვლელობაზე ახდენს გავლენას.

ჰოდა, რაც ოთხშაბათს ჯეკ ვილშირმა გაიკეთა, სწორედ ეგ იყო.

ვილშირს იოლი და სადა მოძრაობები აქვს და მისი რბილი პასი ყოველთვის მწვავეა.

„ბარსელონასთან“ თამაშში, მას ჩაუჭრეს მხოლოდ ორი პასი.

ეს დიდებული შედეგია და რაც კი „არსენალს“ საგოლე მომენტები ჰქონდა, ყველა მისი წამოწყებული იყო.

სწორედ ისეთი ვარსკვლავია, მხოლოდ ინგლისში რომ იბადებიან: რომელიღაც საგრაფოში, პატარა ქალაქში, მუშათა კლასის ოჯახში და ფეხბურთსაც რომ ძველებურად სწავლობენ. მერე, არსენ ვენგერის ხელში რომ მოხვდები....

ეჰ, გზას აღმაფრენაც რომ მისცა.

ეს ხომ მხოლოდ გზის დასაწყისია. პრემიერ-ლიგაში იმდენი კარგი ფეხბურთელია, რომ სტადიონზე მისულ კაცს თვალები დაურბის.

ძველად, თბილისში იყო ასეთი გამოთქმა, სლავაზე სიარული, მიშაზე სიარული. შეიძლება ვთქვათ, რომ ჯეკ ვილშირზე სიარულიც დიდებულია, თუნდაც „არსენალს“ არ გულშემატკივრობდე.

ჯეკ ვილშირი

რა ემართება ვაჟას?

კახა თოლორდავა

დარწმუნებული ვარ, რომ ერთადერთი თბილისელი არ ვარ, ვისაც ვაჟას ამბავი აკვირვებს. იმაშიც ლამის დარწმუნებული ვარ, რომ ვაჟას ბედზე უკვე ფიქრობენ იქ, სადაც საჭიროა. შეიძლება, უკვე გადაწყვეტილიც კი აქვთ მისი ბედი, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ, – რა ემართება ვაჟას? ტყუილუბრალოდ ცდილობთ, თქვენი ნაცნობი ვაჟას სახის და მათი ბიოგრაფიის გახსენებას, თქვენს ნაცნობ ვაჟაზე ვერაფერს დავწერ, სამაგიეროდ, ყველასთვის ნაცნობ ვაჟაზე შეგეკითხებით, ვაჟა-ფშაველაზე, უფრო კონკრეტულად კი ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.

ჯერ კიდევ ჯეელობიდან მიკვირდა ვაჟას ამბავი, – დამეთანხმებით, ყველაფერი აქვს სიგრძე, სიგანე, ადგილმდებარეობა, პოტენციალი, ჩემო ბატონო... მაგრამ რად გინდა, ის იმ ბავშვივითაა, სულ რომ ნიჭიერს ეძახდნენ, მაგრამ არაფერი მისგან რომ არ გამოვიდა. ნამდვილად არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. იმას კი ვუშვებ, რომ ალბათ არიან ჭკვიანი და მცოდნე ვიღაც-ვიღაცები, ვინც ამის ახსნას მოახერხებს, თუმცა ამდენი წელი გავიდა და ვერცერთ ასეთ ვინმეს ვერ გადავეყარე. ამის მაგივრად ყველა ნაცნობ-მეგობარს ჯიუტად ვეკითხები ხოლმე, – გამაგებინეთ ერთი, კაცო, რა ემართება ვაჟას, რატომაა ასეთი ათვალწუნებული, უყურადღებოდ მიტოვებული, გამოუყენებელი, მხოლოდ ავლა-ჩავლისთვის და კონკრეტული დესტინაციისათვის განწირული-მეთქი! პასუხს ვერავინ მაძლევს, პირიქით, თვითონვე მეკითხებიან ხოლმე: ჰო, მართლა, რატომ მოხდა ასე?!

ამ ბოლო დროს, როდესაც საბოლოოდ გადავწყვიტე, ერთი-ორი სიტყვა შემეწია ვაჟასთვის, რამდენჯერმე ფეხით ავიარ-ჩამოვიარე მთელი ეს მხარგრძელი პროსპექტი (უფრო ადრე კი, ლამის მთელი ზაფხულის განმავლობაში, ველოსიპედით დავქროდი იქ). ვიფიქრე, იქნებ რამე ისეთს „გამოვკრა“ ტვინი, რაც ადრე არ შემიმჩნევია-მეთქი. არაფერიც! ისევ ისე აუთვისებელია პროსპექტის ბოლოში მისი გამყოფი, გამწვანებული ზოლი, ისევ დაუფასებელია მისი მომხიბვლელად ფართო ტროტუარები, ისევ ისეთი მოწყენილი, მოდუნებული და უსახოა, როგორც ყოველთვის, ადამიანურ სითბოს, მის შემოქმედებით ფანტაზიას მოკლებული. სულ მგონია, რომ ულან-ბატორში უნდა იყოს ასეთი ქუჩები. ულან-ბატორს არაფერს ვერჩი, იქ საერთოდ არ ვყოფილვარ. უბრალო ამოჩემებაა.

მოკლედ, ვაჟას მიხედვა სჭირდება და ყოველ იქ ავლა-ჩავლაზე ოსტაპ ბენდერის ვასიუკივით წარმოვიდგენ ხოლმე პროსპექტს, – არაერზაცულ რეჟიმში მომუშავე ადამიანების მიერ ახლად დაგეგმარებულს, შემოქმედებითად ათვისებულს, სხვადასხვა იდეით გამდიდრებულს, თამამი არქიტექტურული თუ

ვაჟა-ფშაველას გამზირი, თბილისი 2011

ფოტო: ბარბარა ქორბაგიერი

დიზაინერული იდეების მისაღებად მზად მყოფს, გარე კაფეებით და აქეთ-იქით მოხეტიალე ტურისტებით გაძეძგილს. ვასიუკი ტყუილუბრალოდ არ მიხსენებია.

რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ ასეთი რამეები ასე მარტივად არ ხდება, და რომ ამ ყველაფერს უზარმაზარი სახსრები ესაჭიროება, მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ მოცემული მომენტი მიმაჩნია საკვანძოდ ვაჟას ბედის საბოლოოდ გადაწყვეტის საქმეში. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ თბილისი აღარაა „ზემოდან მიტოვებული“ ქალაქი, მისი ბედით დაინტერესებული არიან და ვაჟას პოტენციალის მქონე პროსპექტი აშკარად საინტერესო მასალა უნდა იყოს ყველასთვის, ვინც „მე ამისგან გავაკეთებ“ ჟინითაა შეპყრობილი. მეორე კი ისაა, რომ ეს პოტენციალი მრავალი სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შემოქმედებითად თანამშრომლობის და ამოუწურავი ექსპერიმენტების საშუალებას იძლევა. მე რომ ქალაქის ის მესვეური ვიყო, ვისაც „=ვაჟას საკითხის“ გადაწყვეტა დაავალეს, აუცილებლად შევეცდებოდი, ამ საქმის პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ ი თ ბ ი ლ ი ს ე ლ ე ბ ი ს აზრი მომესმინა. და ვინაიდან ქალაქში სრულიად ახალი “მაგნიტური ველის“ გაჩენა დაგვევალებოდა, ყველაფერს მოვიმოქმედებდი იმისათვის, რომ ვაჟა სწორედ თბილისელების მიერ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, თბილისურ პროსპექტად გადაგვექცია, მიუხედავად მისი აშკარა საბჭოთა იერისა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შესაძლებელია.

როგორც ხედავთ, დღევანდელ ტექსტში ცოტა წავიოცნებე, მაგრამ ოცნება არავის აუკრძალავს ჩვენთვის, არა?

ჰო, სხვათა შორის, კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს, – ხომ ვერავინ მეტყვის, რატომ მოჭრეს ხეები აღმაშენებლის პროსპექტზე?

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE